

შეზღუდული  
შესაძლებლობის მქონე  
ახალგაზრდების  
სოციალური ინკლუზიის  
და დამოუკიდებლობის  
ხელშეწყობა

ტრენინგის სახელმძღვანელო

თბილისი  
2015

ავტორი: მაგული შაღაშვილი, საქართველოს სოციალურ მუშაკთა ასოციაციის წევრი, კონსულტანტი შეზღუდული შესაძლებლობის საკითხებში

ენობრივი რედაქტორი: მაია იანტბელიძე  
დიზაინი: გიორგი ხარებავა

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ახალგაზრდების სოციალური ინკლუზიის და დამოუკიდებლობის ხელშეწყობა ტრენინგის სახელმძღვანელო

**ქართულ ენაზე**

წინამდებარე სახელმძღვანელო მომზადებულია პროექტის - “შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ახალგაზრდების სოციალური ინკლუზიის მხარდაჭერა” - ფარგლებში, რომელიც ხორციელდება ჩეხეთის არასამთავრობო ორგანიზაციის - „ადამიანი გაჭირვებაში“, საქართველოს სოციალურ მუშაკთა ასოციაციის, ბავშვთა და ახალგაზრდობის განვითარების ფონდისა და ბავშვთა და ახალგაზრდობის ეროვნული ცენტრის თანამშრომლობით, ჩეხეთის განვითარების სააგენტოს დაფინანსებით. ამ სახელმძღვანელოში წარმოდგენილი მოსაზრებები ეკუთვნის ავტორს და სრულად არ არის აუცილებელი ასახავდეს პარტნიორებისა და დონორის ოფიციალურ თვალსაზრისს.

**Author:** Maguli Shagashvili, Member of Georgian Association of Social Workers, Consultant in the field of disability

**Language Editor:** Maia Iantbelidze

**Cover Design:** Giorgi Kharebava

**Support to Social Inclusion and Independent Living of Youth with Disability  
Training Handbook**

**In the Georgian Language**

This publication was accomplished in the framework of the project “Support of Social Inclusion of Youth With Disability” implemented by Czech NGO “People in Need” in partnership with Georgian Association of Social Workers, Children and Youth Development Fund and Children and Youth National Center. The project is funded by Czech Development Agency. The opinions expressed in this publication are those of the author and do not necessarily reflect the views of the Partners and the Donor.

ISBN 978-9941-0-8401-0

# სარჩევი

წინასიტყვაობა .....	4
1. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ახალგაზრდების სოციო-ეკონომიკური მდგომარეობა და განათლებაზე ხელმისაწვდომობა .....	7
2. შეზღუდული შესაძლებლობის ისტორია .....	15
3. შეზღუდული შესაძლებლობის მოდელები .....	21
4. შშმ პირებთან ურთიერთობის და კომუნიკაციის ძირითადი პრინციპები და სტრატეგიები .....	25
5. სოციალური ინკლუზია .....	36
6. შშმ ახალგაზრდების დამოუკიდებელი ცხოვრების ხელშეწყობა .....	75

## წინასიტყვაობა

ტრენინგის სახელმძღვანელო მომზადებულია პროექტის - “შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ახალგაზრდების სოციალური ინკლუზიის მხარდაჭერა” - ფარგლებში, რომელიც ხორციელდება ჩეხური არასამთავრობო ორგანიზაციის - „ადამიანი გაჭირვებაში“, საქართველოს სოციალურ მუშაკთა ასოციაციის, ბავშვთა და ახალგაზრდობის განვითარების ფონდისა და ბავშვთა და ახალგაზრდობის ეროვნული ცენტრის თანამშრომლობით, ჩეხეთის განვითარების სააგენტოს დაფინანსებით. ტრენინგის სახელმძღვანელო მომზადებულია საქართველოს სოციალურ მუშაკთა ასოციაციის მიერ. ტრენინგი მიზნად ისახავს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ახალგაზრდების სოციალური ინკლუზიისა და დამოუკიდებლობის ხელშეწყობას სოციალური დამოკიდებულებების, პროექტების, პროგრამებისა და მომსახურებების გაუმჯობესების გზით.

იმედი გვაქვს, რომ სახელმძღვანელო დახმარებას გაუწევს ამ სფეროში მოღვაწე პრაქტიკოსებს თავიანთი საქმიანობის უკეთ განხორციელებაში, რაც, თავის მხრივ, წვლის შეიტანს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ახალგაზრდების გაძლიერებაში.

ია შეყრილაძე  
საქართველოს სოციალურ მუშაკთა  
ასოციაციის დირექტორი

## ავტორის წინასიტყვაობა

ჰკითხეთ ადამიანებს, რა არის შეზღუდული შესაძლებლობა და მრავალ ერთმანეთისგან განსხვავებულ პასუხს და შეხედულებას მიიღებთ. ზოგი იტყვის, რომ შეზღუდული შესაძლებლობა პიროვნების პირადი ტრაგედიაა; ზოგი - რომ სამედიცინო პრობლემაა; ზოგი კი იმას, რომ შეზღუდული შესაძლებლობა ცხოვრების ნაწილია და მიღებული უნდა იყოს, როგორც მრავალფეროვნების ერთ-ერთი ასპექტი. მნიშვნელოვანია, გავარკვიოთ, თუ რას ნიშნავს ადამიანებისთვის შეზღუდული შესაძლებლობა, რა როლი აქვს გარემოსა და სოციუმს ბარიერების და სტერეოტიპების შექმნაში ან აღმოფხვრაში, როგორია საზოგადოება, ორგანიზაცია, სახელმწიფო პოლიტიკა, რომელიც რეალურად ეფუძნება სოციალურ ინკლუზიას და ხელს უწყობს შშმ ახალგაზრდების დამოუკიდებლობას. მხოლოდ ამის გაკეთების შემდეგ იქნება შესაძლებელი შშმ ახალგაზრდების სრულ ჩართულობასა და მათი უფლებების რეალიზებაზე ორიენტირებული პროგრამების, მომსახურებებისა და პოლიტიკის დაგეგმვა და განხორციელება.

წინამდებარე სახელმძღვანელო განიხილავს, თუ როგორ იცვლებოდა საზოგადოების დამოკიდებულება და სოციალური კეთილდღეობა შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ადამიანების მიმართ ისტორიის სხვადასხვა ეტაპზე და როგორ ახდენდნენ გავლენას სოციალური ნორმები და ღირებულებები მათ სოციალურ ინკლუზიაზე. ასევე, სახელმძღვანელო განიხილავს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ახალგაზრდების სოციალური ინკლუზიის ხელშესაწყობად სხვადასხვა ასპექტს.

იმედს ვიტოვებ, რომ სახელმწიფოთა სასარგებლო იქნება როგორც სფეროში მომუშავე პროფესიონალებისათვის, ასევე, სხვა დაინტერესებული პირებისათვის.

**მაგული შაღაშვილი**

საქართველოს სოციალურ მუშაკთა ასოციაციის წევრი,  
კონსულტანტი შეზღუდული შესაძლებლობის საკითხებში

# 1. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ახალგაზრდების სოციალ-ეკონომიკური მდგომარეობა და განათლებაზე ხელმისაწვდომობა

შეზღუდული შესაძლებლობების მქონე (შშმ) ახალგაზრდები მსოფლიო ახალგაზრდობის ყველაზე მარგინალურ და ღარიბ ფენას წარმოადგენენ. იუნესკოს მონაცემებით, განვითარებად ქვეყნებში შშმ ბავშვთა 98% არ დადის სკოლაში და შშმ გოგონათა 99% წერა-კითხვის უცოდინარია.

მთელ მსოფლიოში ხშირია გამოცდილება, როდესაც შშმ ახალგაზრდები წყვეტენ ზოგად განათლებას, ტოვებენ სკოლას და, საბოლოოდ, რჩებიან დასაქმებისა და ეკონომიკის მიღმა. ახალგაზრდა შშმ ქალები და მამაკაცები, როგორც წესი, განვითარებულ ქვეყნებშიც კი, უფრო მეტ დისკრიმინაციასა და მძიმე სოციალურ, ეკონომიკურ და სამოქალაქო უთანასწორობას განიცდიან, ვიდრე მათი თანატოლი ახალგაზრდები, რომელთაც არ აქვთ შეზღუდული შესაძლებლობა. მრავალ ქვეყანაში მცხოვრები შშმ ახალგაზრდებისთვის ასეთი გარიყვა, იზოლაცია, ისევე როგორც განათლების მიღებისა და ეკონომიკური განვითარების შესაძლებლობის არარსებობა, ყოველდღიურ გამოცდილებას წარმოადგენს.

შშმ ახალგაზრდებს შორის უფრო მეტად გამოხატულია განსხვავება განათლებაში, დასაქმებასა და ურთიერთობებში. ზრდასრული შშმ პირების მსგავსად, შშმ ახალგაზრდებიც ვერ სარგებლობენ იმავე უფლებებით და არც სხვადასხვა პროდუქციაზე და მომსახურებაზე მოუწვდებათ ხელი თანაბრად, რაც მათი არა შშმ თანატოლებისთვის შესაძლოა თავისუფლად ხელმისაწვდომი იყოს. საერთაშორისო საზოგადოებამ გაითვალისწინა ეს გარემოება, ბარიერები და 3-წლიანი მოლაპარაკებების შემდეგ, 2006 წლის დეკემბერში,

გაეროს გენერალურმა ასამბლეამ მიიღო შშმ პირთა უფლებების კონვენცია, რათა უზრუნველყო შშმ პირებისთვის, მათ შორის ახალგაზრდებისთვის, იგივე უფლებები, რაც საზოგადოების ნებისმიერ სხვა წევრს გააჩნია. საქართველოს მთვარობის მიერ კონვენციის რატიფიცირება მოხდა 2013 წლის დეკემბერში. კონვენციის ეფექტური დანერგვისთვის საჭიროა ყველა სექტორის მიზანმიმართული ძალისხმევა, რათა გარანტირებული იყოს შშმ ახალგაზრდობის თანაბარი უფლებებით მონაწილეობა, როგორც ზოგადი მიმართულების, ისე შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებზე გათვლილ სპეციალურ პროგრამებში. ახალგაზრდებს (15-24 წლის ასაკის, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მონაცემებით) შორის შეზღუდული შესაძლებლობების გავრცელებისა და მათი საცხოვრებელი პირობების შესახებ ემპირიული კვლევების მონაცემები ძალიან მწირია. შეფასებები გვიჩვენებს, რომ მსოფლიოში 180-დან 220 მილიონამდე შშმ ახალგაზრდაა და მათი 80% განვითარებად ქვეყნებში ცხოვრობს.

## სიღარიბე

მსოფლიოს სიღარიბეში მცხოვრებთა ძირითად ნაწილს ახალგაზრდები შეადგენენ - მათგან თითქმის 209 მილიონს დღეში 1 აშშ დოლარზე ნაკლები თანხა აქვს ცხოვრებისთვის, 515 მილიონი კი დღეში 2 აშშ დოლარზე ნაკლებით არსებობს. შშმ ახალგაზრდები ორმაგად არახელსაყრელ მდგომარეობაში იმყოფებიან, რადგან უფრო სავარაუდოა, რომ შშმ პირები სიღარიბეში ცხოვრობენ, მათ შორის განვითარებული ქვეყნების მოქალაქეებიც, როგორცაა, მაგალითად, აშშ. გარდა ამისა, ოჯახებს, რომელთა წევრი შშმ პირია, როგორც წესი, სხვა ოჯახებზე უფრო დაბალი შემოსავალი აქვთ და გაცილებით დიდი რისკი არსებობს, რომ ისინი სიღარიბის ზღვარს ქვემოთ ცხოვრობდნენ.



როცა მშობლები ან ოჯახის წევრები საკუთარ თავზე მომვლელის როლს იღებენ, მათგან ერთ-ერთ მშობელს ან ოჯახის წევრს მაინც სამსახურისთვის ან საარსებო საშუალებების მოსაპოვებლად წარმოებული საქმიანობისთვის თავის დანებება უწევს, რადგან სახელმწიფოს მხრიდან დახმარება შეზღუდულია, საზოგადოებრივი ინფრასტრუქტურა მიუწვდომელი, ხოლო ფინანსური ხელმოკლეობის გამო არ შეუძლიათ, პერსონალური ასისტენტები დაიქირაონ.

### ოჯახური სიტუაცია

ახალგაზრდების უმეტესობისთვის მათი ოჯახი ცხოვრების ცენტრალური რგოლია. ზოგიერთი ოჯახი, რომელსაც შშმ ბავშვი და ახალგაზრდა ჰყავს, ამ მიზეზით უფრო მტკიცე და შეკრული ხდება, მაგრამ სხვა ოჯახებისთვის ეს შეიძლება სერიოზული გამოწვევა იყოს. ბევრგან შშმ ბავშვიანი ოჯახები მნიშვნელოვანი სოციალური სტიგმის გავლენას განიცდიან. ბევრ ქვეყანაში სოციალური დისკრიმინაცია და ნეგატიური დამოკიდებულება გაბატონებული მცდარი შეხედულებების, სტერეოტიპებისა და მითებისგან გამომდინარეობს, თითქოს, შეზღუდული შესაძლებლობები წარსული ცოდვებისთვის მოვლენილი სასჯელის ან წყევლის შედეგია. საზოგადოების წევრებმა, რომელთაც მსგავსი ნეგატიური დამოკიდებულება გააჩნიათ, შეიძლება გამიჯნონ საკუთარი თავი შშმ პირის ოჯახის წევრებისგან და მნიშვნელოვნად შეამცირონ ახალგაზრდა ინდივიდების საზოგადოებრივ ცხოვრებაში მონაწილეობისა და სოციალური ინკლუზიის შესაძლებლობები. უხერხულობისა და სირცხვილის გამო, ასეთ საზოგადოებაში მცხოვრები შშმ ბავშვიანი ოჯახები მათ სახლში მალავენ, რითაც უზღუდავენ ურთიერთობას დანარჩენ საზოგადოებასთან (Inclusion International, 2006).

ბევრ ოჯახს მიაჩნია, რომ მათ შვილებს დაცვა სჭირდებათ, რითაც ახშობენ მათ დამოუკიდებლობას, რასაც მოსდევს დაბალი თვითშეფასება და იდენტობის გრძნობის დაქვეითება. მსგავსი დამოკიდებულება შშმ ახალგაზრდას ხელს უშლის სრულად გამოავლინოს საკუთარი პოტენციალი. დამოუკიდებლად მცხოვრები შშმ ახალგაზრდების თანაფარდობა მთლიან მოსახლეობასთან მიმართებით მნიშვნელოვნად დაბალია. შშმ ახალგაზრდები ხშირად თავისივე ოჯახში უმწეო მდგომარეობაში არიან, ვინაიდან, სავარაუდოდ, შშმ ადამიანები უფრო ხშირად განიცდიან ფიზიკურ და სექსუალურ ძალადობას, ვიდრე დანარჩენი საზოგადოება. ბევრი მათგანი შეიძლება მოზარდობის ასაკში იყოს ინსტიტუციონალიზებული, რადგან შეზღუდული რესურსების პირობებში ან ხანდაზმული ასაკის მშობლების შემთხვევაში, მათი ოჯახებისთვის ძალიან რთულია შშმ ინდივიდის მოვლა, მისი ასაკის მატებასთან ერთად.

## განათლება

ყველა ახალგაზრდისთვის საკუთარი პოტენციალის რეალიზაციისთვის განათლება გადამწყვეტია. მიუხედავად ამისა, იუნესკოს შეფასებით, განვითარებად ქვეყნებში მცხოვრები შშმ ბავშვების 98% არ დადის სკოლაში და გოგონათა 99% წერა-კითხვის უცოდინარია. მოზარდობის ასაკის დადგომის პერიოდისთვის, შშმ ახალგაზრდების დიდი ნაწილი წერა-კითხვის უცოდინრობის რისკის ქვეშ დგება, რაც მათ შემდგომი განათლების, დასაქმებისა და შემოსავლის მოპოვების შესაძლებლობას უზღუდავს. ზოგ ოჯახს არ მიაჩნია, რომ შშმ ახალგაზრდებმა განათლება უნდა მიიღონ, ისინი ხშირად ფიქრობენ, რომ შშმ ადამიანებს სწავლის უნარი არ გააჩნიათ. ისეთ ოჯახებშიც კი, რომლებშიც მათ მხარს უჭერენ და ხელს უწყობენ, განათლების მისაღებად შშმ ახალგაზრდები მძიმე

გამოწვევების წინაშე დგებიან. საგანმანათლებლო დაწესებულებები მათთვის ხშირად ხელმიუწვდომელია, არ გააჩნიათ შესაბამისი გარემო, შშმ სტუდენტებს არ უზრუნველყოფენ აუცილებელი პირობებით და დამხმარე მოწყობილობებით. შშმ სტუდენტებისთვის განკუთვნილი შესაბამისი პროგრამები, ძირითადად, ზოგადსაგანმანათლებლო მომსახურების მიღმა განიხილება, ანუ სპეციალური განათლება ხშირად საშუალო განათლებაზე უფრო დაბლა დგას, რაც იზოლაციაში ამყოფებს შშმ სტუდენტებს. შესაძლებელია, რომ ამის შედეგად მათ ვერ მიიღონ სასურველი, სრულფასოვანი განათლება და ვერ განივითარონ უნარები. ამგვარი ბარიერები შშმ ახალგაზრდების სკოლიდან ნაადრევად გამოსვლის მიზეზი ხდება, საკუთარ თანატოლებზე უფრო ადრე, ამით კი მათი სამომავლო პერსპექტივები იზღუდება. დაუსრულებელი სასკოლო განათლება და სამომავლო უმაღლესი განათლების ხელმიუწვდომლობა, ასევე შემზღუდველია პროფესიული გადამზადების კურსების გავლისთვისაც.

## **განათლების ხელმისაწვდომობა საქართველოში მცხოვრები შშმ ბავშვებისა და ახალგაზრდებისთვის**

საქართველოში სპეციალური სასწავლო საჭიროებების მქონე (სსსმ მოსწავლე), ბავშვებისა და ახალგაზრდების უფლებები, საყოველთაო განათლებასა და სოციალური კეთილდღეობის სისტემაზე ხელმისაწვდომობის შესახებ, დაცულია გაეროს ორი მნიშვნელოვანი საერთაშორისო კონვენციით - ბავშვის უფლებათა კონვენცია და შშმ პირთა უფლებების კონვენცია და ასევე, საქართველოს ორი მნიშვნელოვანი კანონით: შშმ პირთა სოციალური დახმარებისა და ზოგადი განათლების შესახებ. აღნიშნული კონვენციებისა და კანონების საფუძველზე შშმ ბავშვს აქვს უფლება იყოს

ჩართული ზოგადსაგანმანათლებლო სისტემაში და მიიღოს საჭირო სოციალური მომსახურება, რომელიც უზრუნველყოფს მის განვითარებასა და სოციალურ ინკლუზიას.

იკვეთება მნიშვნელოვანი სისტემური ხარვეზები - არ არსებობს კავშირი სკოლამდელი დაწესებულების პერსონალსა და განათლების სამინისტროს მულტიდისციპლინურ გუნდთან. კანონი ზოგადი განათლების შესახებ ყველა ბავშვს ანიჭებს განათლების მიღების უფლებას, თუმცა ყველა სკოლა არ არის მზად, რომ მიიღოს შშმ ბავშვი და ხდება ბავშვის ფორმალურად ჩარიცხვა განათლების სისტემაში. გაკვეთილებზე დასწრების მონიტორინგი კი სუსტად ხდება; მხოლოდ დღის ცენტრებში მყოფი ბავშვებისთვის კი, ფაქტობრივად, არაფორმალური განათლება ანაცვლებს ფორმალურს.

ზოგადი განათლების სისტემაში გვაქვს სპეციალიზებული სკოლა-პანსიონები (რომელთაც განათლების გარდა მზრუნველობის/აღმზრდელობითი დატვირთვაც აქვთ), სპეციალიზებული კლასები და რესურს-ოთახი. აღსანიშნავია, რომ სპეციალიზებული კლასი ინტეგრირებული სწავლების ფორმაა, ხოლო რესურს-ოთახი წარმოადგენს ინკლუზიური განათლების ნაწილს, რომელშიც სპეციალური მასწავლებელი დამატებით უნდა მუშაობდეს შშმ (სსსმ) მოსწავლესთან.

## **დასაქმება და ფინანსური დამოუკიდებლობა**

მრავალი შშმ ახალგაზრდა ბავშვობიდან ზრდასრულ ასაკში გადასვლის პერიოდში ცვლილებებისა და გაურკვეველობის რთული პრობლემების წინაშე დგება, პირველ რიგში, წარმატებული დასაქმების მიღწევისა და დამოუკიდებელი ცხოვრების სფეროებში. რადგან ახალგაზრდა საზოგადოებრივ ასპარეზზე მონაწილეობისა და ურთიერთობებისგან გარიყულია იმ ასაკში, რომელშიც იგი

ფორმალურ განათლებას უნდა იღებდეს, მისთვის შეიძლება განსაკუთრებით რთული გახდეს რეალურ სამყაროში ზრდასრულ, დამოუკიდებელ ცხოვრებაში გადასვლა, რადგან არის დისკრიმინაციითა და გარშემომყოფთა დამოკიდებულებით განპირობებული ბარიერების წინაშე აღმოჩენის ალბათობა. განვითარებულ ქვეყნებში, რომლებშიც კარგად არის განვითარებული 18 წლამდე და სკოლის ასაკის ახალგაზრდების თანადგომის სერვისები, ინდივიდუალური-ზეზული მხარდაჭერისა და სერვისების მოულოდნელი შეწყვეტა და შესაფერისი პირობებისთვის ბრძოლის აუცილებლობა შეიძლება რთულ ბარიერად გადაიქცეს. შშმ ახალგაზრდებისთვის, უთანასწორობასთან ერთად, ამ სისტემების მიუწვდომლობა, გარდამავალ პერიოდს კიდევ უფრო რთულსა და წინაღობებით აღსავსეს ხდის, ვიდრე მათი არა შშმ თანატოლების შემთხვევაშია. ზოგადად, ეკონომიკური კრიზისებისა და მუშახელის შემცირების პერიოდებში, ახალგაზრდები ყველაზე ხშირად აღმოჩნდებიან ხოლმე დასაქმებასთან დაკავშირებული გაურკვევლობისა და მუშაკთა შერჩევის პროცესის უთანასწორობის პირისპირ.

საზოგადოებაში ფუნქციონირებისთვის აუცილებელი უნარებისა და კვალიფიკაციის ნაკლებობა შშმ ახალგაზრდებს დასაქმების შესაძლებლობას უზღუდავს. შშმ ახალგაზრდებში უმუშევრობის დონე ყველა საზოგადოებაში უფრო მაღალია, ვიდრე არა შშმ ახალგაზრდებში. მიუხედავად იმისა, რომ განათლებისა და უნარების განვითარების რესურსების უკმარისობას შეუძლია გავლენა მოახდინოს შრომის ბაზარზე მათ კონკურენტუნარიანობაზე, ყველაზე მეტად მაინც შეზღუდული შესაძლებლობების მიმართ უარყოფითი დამოკიდებულება და ამის საფუძველზე არსებული დისკრიმინაცია არის გავრცელებული, რაც შშმ პირების წარმატებული დასაქმებისათვის ძირითად დაბრკოლებას წარმოადგენს. შშმ ახალგაზრდების მიმართ ნეგატიური და მცდარი შეხედულებები დამსაქმებლებისა, რომლებსაც მიაჩნიათ, რომ შშმ ახალგაზრდები ნაკლებად

პროდუქტიულები არიან, ვიდრე მათი თანატოლები და რომ მათ ძალიან დიდი დახმარება სჭირდებათ, გავლენას ახდენს დამქირავებლის იმიჯზე. ასევე, დამსაქმებლებს შეიძლება აღელვებდეთ დაქირავების ხარჯები (მაგ. პანდუსების მოწყობა, ხელმისაწვდომი კომპიუტერული ტექნოლოგიები და ა.შ.) და ეს მნიშვნელოვან ბარიერებს შეიძლება უქმნიდეს დასაქმების მსურველ შშმ ახალგაზრდებს. მათ შეცდომის დაშვების უფლებას ნაკლებად აძლევს დასაქმების ბაზარი და თუ პირველივე სამსახურში წარმატებას ვერ მიაღწიეს, მაშინვე სამსახურისთვის შეუფერებლად აცხადებენ.

### სქესობრივი და სოციალური ურთიერთობები

ხშირად შშმ ახალგაზრდებისთვის მიუწვდომელია ინფორმაცია რეპროდუქციული ჯანმრთელობის შესახებ ან ისეთი არაადეკვატური საშუალებებით ვრცელდება, როგორებიცაა მიუწვდომელი კლინიკები, ბექდვითი ან ელექტრონული მედია საშუალებები, ან სერვის-პროვაიდერები, რომლებსაც შშმ ახალგაზრდებთან ურთიერთობა არა აქვთ. საზოგადოების მიერ მათი სქესობრივი ცხოვრების უფლების აღიარების ნაკლებობა შშმ ახალგაზრდებისთვის რამდენიმე ნეგატიური შედეგის მქონეა. ბევრი შშმ ახალგაზრდა ამ ნეგატიურ შეხედულებას, როგორც ფაქტს ისე იღებს და აღიქვამს და საერთოდ თავს იკავებს სქესობრივი და ინტიმური ურთიერთობებისგან. სხვა შშმ ახალგაზრდებს შეიძლება ჰქონდეთ ეს ურთიერთობები, მაგრამ შესაბამისი განათლების გარეშე შეიძლება მაღალი რისკის აქტივობებში ჩაერთონ. ბევრ საზოგადოებაში ასევე იზღუდება და უარყოფილია შშმ ადამიანების უფლება იყოლიონ შვილები, ზოგჯერ კანონითაც კი. შშმ პირთა უფლებების კონვენციის 23-ე მუხლი აღიარებს შშმ ადამიანების უფლებას დაამყარონ ურთიერთობები, დაქორწინდნენ, შექმნან ოჯახი და გააჩინონ ან იშვილონ ბავშვი.

## 2. შეზღუდული შესაძლებლობის ისტორია

დღესდღეობით ჩვენ ვერ შევძლებთ შეზღუდული შესაძლებლობების გააზრებას, თუ არ გვეცოდინება, როგორ ექცეოდა კაცობრიობა ფიზიკური და ფსიქიკური შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ადამიანებს ისტორიის მანძილზე. ამ უკანასკნელის შესწავლას შეუძლია სიღრმისეულად გაგვანალიზებინოს, თუ როგორ ეგუებოდა და ექცეოდა შშმ პირებს საზოგადოება, ჯეროვნად შეგვაფასებინოს საკუთარი დამოკიდებულება, რათა გავარკვიოთ, რა ვისწავლეთ წარსული გამოცდილებიდან.

### ძველი საბერძნეთი და რომი

ძველმა ბერძენმა ფილოსოფოსებმა, არისტოტელემ და პლატონმა, პირველებმა დაიწყეს ევგენიკაზე მსჯელობა. ბერძენები რეალობას განიხილავდნენ, როგორც ფიზიკური, ფსიქიკური და სოციალური კეთილდღეობის ერთობლიობას. ისინი კარგს ლამაზისგან განასხვავებდნენ, ხოლო ინდივიდუალურ ღირებულებას - საზოგადოების მორჩილებისგან. მნიშვნელოვანი იყო, რომ მათ მიერ მიღებული ევგენიკის იდეა ასახავდა მათ შეხედულებებს სახელმწიფოს შესახებ, რომლებიც პასუხობდა ქალაქის-სახელმწიფოს მოთხოვნას ჯანმრთელ მოქალაქეებზე ელიტური მმართველი კლასისა და არმიის ჩამოსაყალიბებლად.

ძველი საბერძნეთი (მოგვიანებით კი, რომი) შშმ პირებს საზოგადოებრივსა და სპორტულ ღონისძიებებზე მასხარებად/დაცინვის ობიექტებად იყენებდა, როგორც ეს ჰეპატუსის ოლიმპიური თამაშების შემთხვევაში ხდებოდა.

მიუხედავად იმისა, რომ რომაელები შშმ პირების მიმართ სოციალური გარიყულობის/იზოლაციის და მარგინალიზაციის პრაქტიკით ბერძნებისგან არ განსხვავდებოდნენ, ისინი მაინც პირველები იყვნენ, ვინც შშმ ადამიანებს იურიდიული მხარდაჭერა შესთავაზეს. ადრეული რომაული კანონები იცავდა შეზღუდული ინტელექტუალური შესაძლებლობის მქონე პირების ქონებრივ უფლებებს, მათ ენიშნებოდათ მეურვეები სხვადასხვა საქმეების მოსაგვარებლად. ეს მნიშვნელოვანი კანონი უფლებას აძლევდა ყოფილ ადამიანებს, რომლებსაც მეტყველების უნარი ჰქონდათ, სამოქალაქო და სოციალურ საზოგადოებაში ინტეგრირებულნი ყოფილიყვნენ. მათ შეეძლოთ დაქორწინება, ქონების ფლობა, პირად და თავიანთ ეკონომიკურ ცხოვრებასთან დაკავშირებით გადაწყვეტილებების მიღება.

მოგვიანებით რომაული კანონი კიდევ უფრო პროგრესული გახდა, როცა იუსტინიანეს კოდექსმა შშმ პირების კლასიფიკაცია მოახდინა მათი შეზღუდული შესაძლებლობების სიმძიმის მიხედვით. კანონმდებლობის ეს ნაწილი საფუძვლად დაედო ევროპული ქვეყნების უმრავლესობის კანონს მე-16-დან მე-18 საუკუნემდე.

## შუა საუკუნეები

შუა საუკუნეები ხასიათდება შშმ პირების მიმართ შერეული და წინააღმდეგობრივი შეხედულებებით. ისინი მათ ხატავდნენ გარიყულ ადამიანებად, ჯადოქრობაში ჩართულ დემონებად, მაგრამ ამავე დროს, როგორც საბრალო ქმნილებებს, რომლებსაც მოწყალება და საქველმოქმედო დახმარება სჭირდებოდათ. ყველაზე გაბატონებული იყო შეხედულება, რომ შშმ პირები იყვნენ ზებუნებრივი არსებები, ემმაკისეულები და ჯადოქრები. ამ კონტექსტში, ეპილეფსია, ისევე როგორც, ფსიქიური აშლილობის შემთხვევები, აღქმული



იყო, როგორც ეგზორციზმის/ ბოროტი ძალის განდევნის და რელიგიური რიტუალების საშუალებით განკურნებადი სენი. საფრანგეთი ძალიან კარგი მაგალითია ქვეყნისა, რომელიც უმთავრესად, კათოლიკური ეკლესიით იმართებოდა და ბევრჯერ გახდა ჯადოქრების სიკვდილით დასჯის მოწმე. შშმ პირების დემონიზაციის პარალელურად, ეკლესიები და მომლოცველები ამ მსხვერპლთათვის თავშესაფრებს აწყობდნენ, ვიდრე ისინი არ განიკურნებოდნენ.

მეთორმეტე საუკუნე ხასიათდება გარიყული ადამიანების მიმართ საზოგადოებრივ - ორგანიზაციული გამოხმაურების დასაწყისად, როგორცაა, მაგალითად, კეთრით დაავადებული ადამიანებისთვის გარანტიების დაწესება. მეცამეტე საუკუნეში, გერმანიაში გაიხსნა პირველი თავშესაფარი ფსიქიკური დარღვევების მქონე ადამიანებისთვის. თუმცა, ამ დაწესებულებებს ძალიან მცირე ყურადღება ექცეოდა და მათი შექმნის ნამდვილ მიზეზს საზოგადოების მსგავსი “ავადმყოფებისგან”!! დაცვა წარმოადგენდა. ეჭვი არ არის, რომ შშმ ადამიანები, და განსაკუთრებით ისინი, ვისაც უცნაური ან ვიზუალურად განსხვავებული გარეგნობა ჰქონდა, ნებისმიერი საზოგადოებრივი მონაწილეობისაგან იზოლირებულნი იყვნენ.

### ადრეული თანამედროვე პერიოდი მეთვრამეტე საუკუნემდე

რენესანსის პერიოდმა მნიშვნელოვანი ცვლილება შეიტანა სპეციალური მოთხოვნილებების მქონე პირების საზოგადოებრივ სტატუსში. ამ პროგრესულმა პერიოდმა გამოკვეთა ურთიერთობები ადამიანებს, საზოგადოებასა და ღმერთს შორის და დააყენა მოთხოვნა, რომ სპეციალური ყურადღება მიჰქცეოდა ადამიანებს ფსიქიკური დაავადებებით, ეპილეფსიით და სენსორული დარღვევებით. თუმცა, ინსტიტუციურ პასუხში აისახა დროის შესაბამისი ფასეულობები, შედეგი კი მხოლოდ საზოგადოებისგან

იზოლირებული მოვლის შეთავაზება იყო. მაგალითად, მეთვრამეტე საუკუნის ინგლისის იურიდიულ ჩანაწერებში ასახულია დებატები იმის შესახებ, თუ რა არის მიზანი - შშმ პირების უსაფრთხოება თუ საზოგადოების დაცვა საფრთხეებისგან. ისინი ასახავს შშმ პირების იზოლაციას, ხოლო მათი განსჯა იმის საფუძველზე ხდება, თუ რა საფრთხეს წარმოადგენენ ისინი ადგილობრივი საზოგადოებისთვის.

თანამედროვე პერიოდისთვის, აგრეთვე, დამახასიათებელია მეცნიერული ცოდნის განვითარება. ამ ახალმა, უჩვეულო ხედვამ ხელი შეუწყო ინტელექტუალური შეზღუდული შესაძლებლობის და ფსიქიური დარღვევების მქონე ადამიანების განთავსებას იზოლირებულ ინსტიტუციურ დაწესებულებებში. მეცხრამეტე და მეოცე საუკუნეები ხასიათდება ინსტიტუციური მოვლის გაფართოებით ევროპასა და აშშ-ში.

### მეცხრამეტე საუკუნე

მეცხრამეტე და მეოცე საუკუნეებში გამოვლინდა საზოგადოებაში შშმ პირების პრობლემატური და მარგინალური სტატუსი. ამ პერიოდში მოხდა მნიშვნელოვანი და პოზიტიური ძვრები განათლებისა და მზრუნველობის მიმართულებით; პროგრამებით იყო უზრუნველყოფილი იზოლირებული ინსტიტუციური დაწესებულებები, რომლებიც ითვალისწინებდა სპეციალური სერვისების მიღებას საზოგადოებისგან განცალკევებით. ამ ურთიერთსაწინააღმდეგო ძალებმა მხარდაჭერა მიიღეს ევგენიკურ მოძრაობაში, რომელიც საზოგადოების გაძლიერებას იმ ადამიანების მხარდაჭერით ცდილობდა, რომლებსაც 'კარგი მემკვიდრეობითობა' ჰქონდათ და შვილები უნდა ჰყოლოდათ, ხოლო 'დეფექტური' ისტორიის მქონე ოჯახები არ უნდა გამრავლებულიყვნენ. მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისი

ევროპაში ხასიათდებოდა იზოლირებული ინსტიტუციური სკოლების რიცხვის სწრაფი ზრდით, რომლებიც განკუთვნილი იყო ფიზიკური და სენსორული შშმ ბავშვებისთვის. ყველაზე ცნობილი გამოგონებები იყო ბრაილის შრიფტი უსინათლოებისათვის და პროგრამული ინოვაციები ყრუ და ინტელექტუალური შშმ პირებისთვის.

### **მეოცე საუკუნის პირველი ნახევარი: ევგენიკა და ინსტიტუციონალიზაციის გაფართოება**

მეცხრამეტე საუკუნის ბოლოდან მეოცე საუკუნის შუა წლებამდე პერიოდი ევგენიკის გავლენას განიცდიდა. მოძრაობა გადაიზარდა ნეგატიურ ევგენიკაში და გამოიხატა 'რასობრივი სისუფთავის/ერთიანობის' კანონით, რომელიც კრძალავდა სხვადასხვა რასის ადამიანთა ქორწინებას და ითვალისწინებდა 'დეფექტური ახალშობილების' ევთანაზიას.

'გენოფონდის გაწმენდის' ყველაზე პოპულარულ საშუალებას და აშშ-ში ყველაზე ფართოდ გავრცელებულ იურიდიულ არჩევანს ევგენიკური სტერილიზაცია წარმოადგენდა. ამ უკანასკნელის პირველი კანონი მიიღეს 1907 წელს ინდიანას შტატში და მომდევნო ოც წელიწადში კიდევ თორმეტმა შტატმა მიიღო ეს კანონები.

### **მეოცე საუკუნის მეორე ნახევრიდან ოცდამეერთე საუკუნის დასაწყისამდე**

მეოცე საუკუნის მეორე ნახევრისთვის აშშ-ში მნიშვნელოვანი ცვლილებები მოხდა შშმ პირების ღირებულებასთან და

მათ მიმართ დამოკიდებულებასთან დაკავშირებით. აშშ-ში 1960-იანი წლების სამოქალაქო მოძრაობამ უბიძგა შშმ პირებს, ორგანიზებულად ებრძოლათ საკუთარი უფლებების დასაცავად. მსგავსი ვითარება აღინიშნებოდა მეოცე საუკუნის ბოლოს და ოცდამეერთე საუკუნის დასაწყისში. ისეთმა ქვეყნებმა, როგორებიცაა ინგლისი, ავსტრალია, კანადა და ისრაელი, მიიღეს კანონები, რომელთა მიზანი იყო შშმ პირების მიმართ დისკრიმინაციის შემცირება. სამოქალაქო უფლებების მოპოვება გლობალური ანტიდისკრიმინაციული და თანაბარი შესაძლებლობების კანონმდებლობის მიღების წინა ეტაპი გახდა.

საზოგადოება ერთხმად აღიარებს იმ ფაქტს, რომ ყველაზე გამორჩეულ საერთაშორისო მოვლენად იქცა გაერთიანებული ერების შშმ პირთა უფლებების კონვენციის შემუშავება და მიღება, რომელმაც აღიარა თანასწორობა, ღირსება, ავტონომია, დამოუკიდებლობა, ხელმისაწვდომობა და ინკლუზია, როგორც გასაღები იმისა, რომ მთელ მსოფლიოში უზრუნველყოფილი იყოს შშმ პირების თანაბარი სამოქალაქო უფლებების სრული რეალიზაცია. კონვენცია ძალაში შევიდა 2008 წლის 3 მაისს და გარკვევით ადგენს ადამიანის უფლებების მკაფიო ჩარჩოებს. იგი გამიზნულია მსოფლიო მასშტაბით შშმ პირების წინაშე არსებული კომპლექსური ბარიერების მოხსნისკენ. როგორც ოცდამეერთე საუკუნის პირველი კონვენცია, ის სწრაფად ხდება ერთ-ერთი იმ ხელშეკრულებათაგანი, რომლის რატიფიკაციასაც ყველაზე მეტი სახელმწიფო ახდენს ადამიანის უფლებათა დაცვის სისტემაში.

### 3. შეზღუდული შესაძლებლობის მოდელები

#### მორალური/რელიგიური მოდელი

შეზღუდულ შესაძლებლობებზე მორალური და რელიგიური შეხედულება ისტორიულად შეზღუდული შესაძლებლობების ადრეულ აღქმას წარმოადგენს. იუდეველები და ქრისტიანები შეზღუდულ შესაძლებლობებს ღმერთის ნებად მიიჩნევდნენ და ინდივიდზე ან ოჯახზე გარეშე, როგორც წესი, ზებუნებრივი ძალის მიერ მოვლენილ ცოდვად და სასჯელად. სხვა რელიგიების მიხედვითაც დაბადებისას თანდაყოლილი მდგომარეობა ასოცირებული იყო წინა რეინკარნაციის დროს ჩადენილ ქმედებებთან. არსებობდა კავშირი ცოდვასა ან ამორალურ საქციელსა და ფსიქოზის გამოძწევს მიზეზებსა ან სხვა ფსიქიურ დაავადებებს შორის. აქედან გამომდინარე, მისი განკურნება შესაძლებლად ითვლებოდა ეგზორციზმის აქტის ჩატარებით ან მსხვერპლშეწირვით, დევნის გამართლებით ან ცოდვილის მოკვდინებითაც კი.

#### საქველმოქმედო მოდელი

საქველმოქმედო მოდელი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირს სამუდამოდ განიხილავს "საწყალ, სამწუხარო" როლში. ეს ხაზს უსვამს და ხელს უწყობს პიროვნების უფრო სხვებზე დამოკიდებულებას, ვიდრე დამოუკიდებლობას - შეიძლება ითქვას, რომ ეს არის "სიკეთით მკვლევლობის" ერთ-ერთი ფორმა, რამეთუ ხელს უწყობს იმას, რომ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირმა შეიძლება დაკარგოს ცხოვრების ის უნარები, რომლებიც მას ქონდა და შედეგად, სხვებზე კიდევ უფრო მეტად დამოკიდებული გახდეს.

ამ მოდელის კონტექსტში, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირი წარმოდგენილია, როგორც "მამაცი" და "ქების ღირსი" მხოლოდ იმიტომ, რომ იგი ცხოვრობს ამ შეზღუდული შესაძლებლობით, წარმოადგენს "შეცოდების ობიექტს", რომელიც აიძულებს სხვებს, რომ მისცენ თანხა და მის მრავალრიცხოვან და ძვირადღირებულ საჭიროებებს უპასუხონ. ამ მოდელის მიხედვით, საზოგადოებაში არ ხდება ან სუსტად ხდება შშმ პირების დამოუკიდებლობის პოტენციალის აღიარება და ხშირად უგულვებელყოფილია მათი როლი იმ მომსახურებების შერჩევასა, რომელიც მათ სჭირდებათ ან სურთ.

### სამედიცინო მოდელი

შეზღუდული შესაძლებლობების სამედიცინო მოდელი გამოიკვეთა მეთვრამეტე საუკუნის შუა წლებში. მის მიღმა არსებული ძირითადი ვარაუდია, რომ შეზღუდული შესაძლებლობები გარკვეულ დარღვევებზეა დაფუძნებული. ფრანსის გალტონი, შეზღუდულ შესაძლებლობაზე მსჯელობისას, ცდილობს დააკავშიროს ის დაავადებისა და დარღვევების ფუნქციური შედეგის მდგომარეობასა და ხანგრძლივობასთან. 1950-ნი წლების დასაწყისში, შეზღუდული შესაძლებლობების ზოგად განმარტებას პათოლოგიისა ან დარღვევების იდენტიფიკაცია წარმოადგენდა. აქედან გამომდინარე, მედიკოსის უმთავრესი მიზანი იყო შეეფასებინა და დაედგინა შეფერხებასთან (ან შეფერხებებთან) ასოცირებული სამედიცინო 'დეფიციტი'.

### სოციალური მოდელი

სოციალური მოდელი წარმოიშვა შეზღუდული შესაძლებლობების სამედიცინო მოდელში არსებული

ხარვეზებისა და დისკრიმინაციის საპასუხოდ. ყველაზე საგულისხმო კრიტიკა ეკუთვნის მაიკ ოლივერს, რომელიც მიიჩნევდა, რომ შეზღუდული შესაძლებლობების, როგორც კატეგორიის, გააზრებისას იგი აუცილებლად სოციალურად და კულტურულად განპირობებულად უნდა მივიჩნიოთ. სოციალური მოდელი დაფუძნებულია ორი მნიშვნელოვან მოძრაობაზე: დამოუკიდებელი ცხოვრებისა და შეზღუდული შესაძლებლობების უფლებათა დაცვის მოძრაობა აშშ-ში. თუმცა, სოციალურ-პოლიტიკური პოზიციიდან, სოციალური მოდელი განიხილებოდა, როგორც შეზღუდული შესაძლებლობების უმცირესობის ჯგუფური მოდელი, რომელიც საზოგადოებას აკისრებდა პასუხისმგებლობას შშმ პირების საჭიროებებისა და მისწრაფებების უარყოფის გამო.

კონცეპტუალურად, სოციალური მოდელი ასოცირდება ფუნქციონირების, შეზღუდული შესაძლებლობებისა და ჯანდაცვის საერთაშორისო კლასიფიკაციის (ICF) ხელახალ განხილვასთან. მან გაიზიარა შეზღუდული შესაძლებლობების სხვა მოდელების გამოცდილება, განსაკუთრებით კი ნაგის კონცეპტუალიზაცია. ICF ეფუძნება ბიო-ფსიქო-სოციალურ მოდელს, რომლის თანახმად პიროვნების ფუნქციონირება და შეზღუდული შესაძლებლობები წარმოდგენილია, როგორც დინამიური ურთიერთქმედება ჯანმრთელობის მდგომარეობას, გარემოსა და პირად შინაარსობრივ ფაქტორებს შორის. ICF მოდელის პირველ განზომილებას წარმოადგენს სხეულის ფუნქციები და სტრუქტურები, რომლებიც განმარტებულია ჯანმრთელობასთან დაკავშირებული გამოცდილების კონტექსტში - სხეულის ფუნქციები მისივე სისტემების ფიზიოლოგიურ ფუნქციებს წარმოადგენენ (ფიზიოლოგიური ფუნქციების ჩათვლით), ხოლო სხეულის სტრუქტურები მისივე ანატომიურ ნაწილებს, როგორებიცაა ორგანოები, კიდურები და მათი კომპონენტები. დარღვევები არის სხეულის ფუნქციაში ან სტრუქტურაში არსებული პრობლემები, როგორებიცაა მნიშვნელოვანი ცვლილება ან დაკარგვა. ICF-ში ასახული დარღვევები მოიცავს სხეულისა და მისი ფუნქციის ბიო-

სამედიცინო სტატუსის საყოველთაოდ მიღებული სტანდარტებიდან გადახრას და შეიძლება დროებითი ან მუდმივი იყოს.

მოდელი განსაზღვრავს შემდეგ განზომილებებს - აქტივობა და მონაწილეობა ჯანმრთელობის მდგომარეობის კონტექსტში: აქტივობა არის ინდივიდის მიერ ამოცანის ან ქმედების შესრულება; მისი შეზღუდვა განმარტებულია, როგორც სირთულე, რომელიც შეიძლება შეხვდეს ინდივიდს აქტივობების განხორციელებისას. მონაწილეობა არის ჩართულობა ცხოვრებისეულ სიტუაციებში, ხოლო მისი შეზღუდვები არის პრობლემები, რომლებსაც შეიძლება განიცდიდეს ინდივიდი ცხოვრებისეულ სიტუაციებში ჩართულობისას.

ICF შეიძლება გამოყენებული იყოს ინდივიდუალურ, ინსტიტუციონალურ და სოციალურ დონეზე. ინდივიდუალურ დონეზე ის გამოიყენება ინდივიდის ფუნქციონირების დონის შესაფასებლად, მკურნალობის დასაგეგმად და ჩარევის მაქსიმალიზაციისთვის. ინსტიტუციონალურ დონეზე ICF შეიძლება გამოიყენონ განათლებისა და ტრენინგისთვის, დაგეგმვისა და განვითარებისთვის და ასევე, შედეგების შეფასების პროცესში. დაბოლოს, სოციალურ დონეზე, ვარაუდობენ, რომ ICF-ს გამოიყენებენ სახელმწიფო დახმარების კრიტერიუმების დასადგენად, როგორცაა სოციალური დაცვის ბენეფიტები, შეზღუდული შესაძლებლობის პენსია, მუშაკთა კომპენსაცია და დაზღვევა, სოციალური პოლიტიკის განვითარება, კანონმდებლობის გადახედვის ჩათვლით, საკანონმდებლო მოდელი, რეგულაციები და სახელმძღვანელოები და ასევე, ანტიდისკრიმინაციული კანონმდებლობის შემუშავება და საჭიროებების შეფასება.



#### 4. შშმ პირებთან ურთიერთობის და კომუნიკაციის ძირითადი პრინციპები და სტრატეგიები

ზოგიერთი შეზღუდული შესაძლებლობა ხილული და სრულიად აშკარაა. ადამიანები მობილობის შეზღუდვებით ხშირად სარგებლობენ ეტლებით, მობილობის სხვადასხვა დამხმარე მოწყობილობებით, ყავარჯნებით ან სხვა დამხმარე აღჭურვილობით. უსინათლო ან მხედველობა დაქვეითებული ადამიანები ხანდახან იყენებენ დამხმარე ცხოველებს ან თეთრ ხელჯოხებს. მაგრამ მრავალი სხვა შეზღუდული შესაძლებლობა უხილავია, როგორცაა სიყრუე, სმენის დაქვეითება, ფსიქიური დაავადება, აუტიზმი, გულისა ან რესპირატორული დაავადება. მნიშვნელოვანი პროგრესია მიღწეული დასაქმების, განათლებისა და ხელმისაწვდომობის მიმართულებით ბარიერების დასაძლევად, მაგრამ შშმ პირებთან რეალურ კომუნიკაციას და ურთიერთობას კვლავ სჭირდება ყურადღების მიქცევა. ბევრ ადამიანს ეშინია, რომ თავისდაუნებურად ისეთი რამ წამოსცდება, რაც შშმ პირს გულს ატკენს, ამიტომ არაფერს ამბობს და თვალს არიდებს მას.

#### ვერბალური კომუნიკაციისა და სიტყვების მნიშვნელობა

ენა ხშირად აყალიბებს ჩვენს აღქმას. მიდგომა „პიროვნება უპირველეს ყოვლისა“ („შშმ პირი“, „მხედველობა დაქვეითებული პირი“) ჩვენც და სხვებსაც გვეხმარება გავიხსენოთ, რომ შშმ პირები პირველ რიგში, ადამიანები არიან და უფრო მეტს ნიშნავენ, ვიდრე მათი შეზღუდული შესაძლებლობები. მნიშვნელოვანია, აღიწეროს ის, თუ რომელი შესაძლებლობა აქვს შეზღუდული პიროვნებას და არა ის, რას წარმოადგენს იგი.

გამოიყენეთ შემდეგი ტერმინები:	ნაცვლად:
შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირი	ხეიბარი, ინვალიდი
აქვს კოგნიტური/ინტელექტუალური შეზღუდული შესაძლებლობა	გონებრივად ჩამორჩენილია
აუტიზმი აქვს	ის აუტისტია
მას აქვს ფიზიკური შეზღუდული შესაძლებლობა	ის ხეიბარია
ეტლს იყენებს	ეტლზეა მიჯაჭვული
მას აქვს ემოციური შეზღუდული შესაძლებლობა	მას ემოციური დარღვევები აქვს
ხელმისაწვდომი პარკირება	ინვალიდების პარკირება

## შშმ პირებთან კომუნიკაციის ზოგადი რეკომენდაციები

- სრულიად მისაღებია წარდგენისას ხელი ჩამოართვათ შშმ პირს, იმ დროსაც კი, როცა მას ლიმიტირებული აქვს ხელის მოძრაობა ან ხელოვნური კიდური აქვს. მარცხენა ხელით ხელის ჩამორთმევაც სავსებით მისაღებია.
- თქვენ შეგიძლიათ დახმარება შესთავაზოთ შშმ პირს, მაგრამ დაიცადეთ, ვიდრე თქვენს შეთავაზებას დასთანხმდება. ამის შემდეგ ჰკითხეთ, როგორი სახის დახმარება იქნება მისთვის ყველაზე სასურველი.
- მიმართეთ შშმ პირს ზუსტად ისე, როგორც მიმართავდით ნებისმიერ სხვა ადამიანს იმავე სიტუაციაში. თუ ყველას სახელით მიმართავენ, მაშინ, რასაკვირველია, შშმ პირსაც სახელით უნდა მიმართოთ.
- მოდუნდით. უხერხულ მდგომარეობაში ნუ ჩავარდებით, თუ ჩვეულ გამოთქმებს გამოიყენებს, როგორებიცაა „მოგვიანებით გნახავთ“, ან „გსმენიათ ამის შესახებ?“, რომლებიც შშმ პირს უკავშირდება.
- დაუსვით კითხვები, თუ დარწმუნებული არა ხართ, რა უნდა გააკეთოთ.
- პირდაპირ პიროვნებასთან ისაუბრეთ და არა თანმხლები კომპანიონისა ან ქესტური ენის თარჯიმნის საშუალებით.
- როდესაც მხედველობადაქვეითებულ ადამიანს ხვდებით, ყოველთვის წარადგინეთ საკუთარი თავი და თქვენთან ერთად მყოფი ადამიანები. ჯგუფური საუბრის დროს არ დაგავიწყდეთ იმ პიროვნების წარდგენა, რომელსაც ესაუბრებით. უსინათლო მეგობართან ერთად სადილის დროს შესთავაზეთ მას თავის თეფშზე მოთავსებული საჭმლის აღწერა.

- ზრდასრულ ადამიანებს ასაკის შესაფერისად მოექცევი. შშმ პირებს სახელით მხოლოდ იმ შემთხვევაში მიმართეთ, როცა ყველა დანარჩენთან იგივე ფაზილიარული ურთიერთობა გაქვთ. არასოდეს გამოხატოთ მფარველობა ეტლში მჯდომი პიროვნების მიმართ თავზე ხელის გადასმით ან მხარზე ხელის დადებით.
- არასოდეს დაეყრდნოთ ან ჩაეჭიდოთ პიროვნების ეტლს ან მიეფეროთ მის დამხმარე ცხოველს. გახსოვდეთ, რომ შშმ პირებისთვის ეტლები მათივე სხეულის გაგრძელებაა. ასევეა დამხმარე ძაღლების შემთხვევაშიც. არასოდეს გადაიტანოთ დამხმარე ცხოველის ყურადღება მისი მოვალეობის შესრულებისგან, პატრონის ნებართვის გარეშე.
- ყურადღებით უსმინეთ, როცა მეტყველების დარღვევების მქონე პიროვნებას ესაუბრებით და დააცადეთ ვიდრე საუბარს დაასრულებს. თუ აუცილებელია, მოკლე კითხვები დაუსვით, რომელიც ასევე მოკლე პასუხებს მოითხოვენ. არასოდეს მოაჩვენოთ თავი, რომ ყველაფერი გაიგეთ; ამის ნაცვლად, გაიმეორეთ ის, რაც გაიგეთ და პიროვნებას პასუხის გაცემის საშუალება მიეცით.
- ეტლში მჯდომ ან ყავარჯნიან პიროვნებასთან საუბრისას, ისე განთავსდით, რომ თქვენი თვალები ერთ დონეზე იყოს.
- სმენადაქვეითებული პიროვნების ყურადღების მისაქცევად, მსუბუქად მხარზე შეეხეთ ან ხელი დაუქნიეთ. თვალებში უყურეთ და მკაფიოდ, აუჩქარებლად და გამოთქმით ილაპარაკეთ, რათა დაადგინოთ, შეუძლია თუ არა მას თქვენი ტუჩების მოძრაობის წაკითხვა. თუ ასეა, ეცადეთ თქვენს სახეს სინათლე ეცემოდეს და საუბრისას ის არ გქონდეთ ხელებით, სასმელით ან საკვებით დაფარული. თუ

პიროვნებას ყურის აპარატი უკეთია, ნუ წარმოიდგენთ, რომ მას თქვენი ხმის გარჩევა შეუძლია. არასოდეს არ უყვიროთ სმენადაქვეითებულს. უბრალოდ, თქვენი ნორმალური ხმის ტონით ისაუბრეთ.

### კომუნიკაციის მნიშვნელოვანი საკითხები უსინათლო ადამიანებთან

- დაელაპარაკეთ ადამიანს მასთან მიახლოებისას.
- უთხარით, ვინ ხართ და ხმას ნუ აუწევთ.
- ჯგუფში საუბრისას, არ დაგავიწყდეთ, საკუთარი თავისა და იმ პირის წარდგენა, რომელსაც ესაუბრებით.
- არ ეთამაშოთ ან მიეფეროთ დამხმარე ცხოველს, ან სხვა რამეზე გადაიტანოთ მისი ყურადღება, პატრონის ნებართვის გარეშე.
- პიროვნებასთან დაშორებისას, გააგებინეთ, რომ უკვე მიდიხართ.
- ნუ ეცდებით გაუძღვეთ პიროვნებას მისი ნებართვის გარეშე. უბრალოდ, მიეცით საშუალება ხელი მოგკიდოთ და გააკონტროლოს საკუთარი მოძრაობები.
- მიმართულების ახსნისას/მიცემისას, აღწერეთ ის; მიეცით პიროვნებას ის სიტყვიერი ინფორმაცია, რომელიც მხედველი ადამიანისთვის ვიზუალურად აშკარაა. მაგალითად, თუ საფეხურებს უახლოვდებით, უთხარით: რამდენი საფეხურია.

### კომუნიკაციის მნიშვნელოვანი საკითხები სმენადაქვეითებულ ადამიანებთან

- საუბრის დაწყებამდე, პირველ რიგში დარწმუნდით, რომ პიროვნების ყურადღება მიპყრობილი გაქვთ. თუ იგი თქვენთან ზურგშექცევით დგას, ყურადღების

მისაქცევად, უბრალოდ, ხელით მსუბუქად შეეხეთ მხარზე.

- ყოველთვის პირდაპირ სახეში უყურეთ პიროვნებას და ეცადეთ თქვენს სახეზე სინათლე ეცემოდეს, ჩრდილის გარეშე. გარკვევით ილაპარაკეთ, ნორმალური ხმით, ნუ დაღეჭავთ საღეჭ რეზინს და ნუ მოწევთ სიგარეტს საუბრისას. გამოიყენეთ მოკლე, მარტივი წინადადებები.
- თუ პიროვნება ჟესტური ენის თარჯიმნის დახმარებით სარგებლობს, საუბრისას მიმართეთ პირდაპირ მას და არა თარჯიმანს.
- თუ სმენადაქვეითებულ ადამიანს ტელეფონით ურეკავთ, დაიცადეთ ტელეფონმა ჩვეულებრივზე უფრო დიდხანს რეკოს. გარკვევით ისაუბრეთ და მზად იყავით, გაიმეოროთ დარეკვის მიზეზი და თქვენი ვინაობა.

### კომუნიკაციის მნიშვნელოვანი საკითხები მობილობის შეზღუდვების მქონე პირებთან

- ეცადეთ ისე მოთავსდეთ, რომ თქვენი თვალები ერთ დონეზე იყოს (სკამზე დაჯექით ან დაიხარეთ).
- ნუ მიეყრდნობით ეტლს ან სხვა დამხმარე მოწყობილობას.
- ეტლში მჯდომ ადამიანს ბავშვივით ნუ მოექცევით, ამით დაამცირებთ, მაგალითად, თავზე ან მხარზე ხელს ნუ გადაუსვამთ.
- იკითხეთ, სჭირდება თუ არა პიროვნებას დახმარება ეტლის გადაადგილებაში.
- თუ ადამიანს კარის გაღება უჭირს, დახმარება შესთავაზეთ.

- როცა პიროვნებასთან ტელეფონზე რეკავთ, დაიცადეთ ტელეფონმა დიდხანს რეკოს, რომ მას ტელეფონამდე მისვლის საკმარისი დრო ჰქონდეს.

### კომუნიკაციის მნიშვნელოვანი საკითხები მეტყველების დარღვევების მქონე პირებთან

- თუ თქვენ რაღაც ვერ გაიგეთ პიროვნების საუბრიდან, თავს ნუ მოაჩვენებთ, თითქოს ყველაფერი გაიგეთ. სთხოვეთ გაიმეოროს ნათქვამი და შემდეგ მისი წარმოთქმული ისევ თქვენ გაიმეორეთ.
- იმდენი დრო დაუთმეთ კომუნიკაციას, რამდენიც საჭიროა და მოთმინება გამოიჩინეთ.
- ეცადეთ ისეთი კითხვები დასვათ, რომლებიც მოკლე პასუხს ან თავის დაქნევას მოითხოვენ.
- კონცენტრირება მოახდინეთ და განსაკუთრებული ყურადღება გამოიჩინეთ, რომ პიროვნების გაგება გაგიადვილდეთ.
- ნუ შეეცდებით პიროვნების დახმარებას მისი წინადადებების დასრულებით. საშუალება მიეცით, პიროვნებამ თვითონ ილაპარაკოს.
- პიროვნების საუბრის გაგების რამდენიმე უშედეგო მცდელობის შემდეგ, ჰკითხეთ, თუ არის მისთვის უფრო მისაღები წერილობითი ან ალტერნატიული კომუნიკაციის საშუალებები.

### კომუნიკაციის მნიშვნელოვანი საკითხები ინტელექტუალური შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებთან

- გადადით ხმაურიანი ხალხმრავალი ადგილიდან, უფრო წყნარ ადგილზე.
- მზად იყავით ერთხელ ნათქვამის გასამეორებლად, სიტყვიერად ან წერილობით.

- გადამეტებული მფარველობისა და მეურვეობის გარეშე, ჰკითხეთ პიროვნებას, ხომ არ სჭირდება დახმარება ფორმების შევსებაში ან დაწერილი ინსტრუქციების გაგებაში. დაელოდეთ, რომ დახმარებაზე დაგეთანხმობთ. მიეცით დამატებითი დრო გადაწყვეტილების მოსაფიქრებლად.
- იყავით მომთმენი, მოქნილი და მხარდამჭერი. ნუ აჩქარდებით, ყველას მიეცით საშუალება, ერთმანეთს გაუგონ.

### დამოკიდებულებითი ბარიერები

შშმ პირების წინაშე არსებული ბარიერები მათი ყოველდღიური ცხოვრების ნაწილია. ეს ბარიერები სხვადასხვა ფორმას ღებულობენ, ფიზიკური ბარიერებიდან „სისტემურ ბარიერებამდე“ სამუშაო ადგილსა და საზოგადოებაში. მაგრამ შშმ პირების წინაშე არსებული ბარიერებიდან ყველაზე მძიმე დამოკიდებულებითი ბარიერია. დამოკიდებულებითი ბარიერები, ზოგადად, ასახავენ საზოგადოების დაბალ მოლოდინს. არა აქვს მნიშვნელობა, რა არის დამოკიდებულებითი ბარიერების მიზეზი (შიში, გაუგებრობა ან სიძულვილი), ისინი ხელს უშლიან საზოგადოებას, აღიაროს და შეაფასოს შშმ პირების სრული პოტენციალი.

დამოკიდებულებითი ბარიერები ზღუდავს შშმ პირების სამსახურის შოვნის შესაძლებლობას, რომ შეძლებენ თავისი მაღალი კვალიფიკაციის გამოყენებას. ამ ბარიერების გამო, შშმ პირებს მიაკუთვნებენ დაბალი კვალიფიკაციის მუშახელს ან განსხვავებულ სამუშაო სტანდარტებს უყენებენ, ზოგჯერ დაბალს, ზოგჯერ კი - უფრო მაღალს, რომ შეგნებულად მარცხი განაცდევინონ. დაბოლოს, ნეგატიური დამოკიდებულებითი ბარიერები ამცირებენ შშმ პირებს და აგრძნობინებენ შშმ პირს, იმაზეც მაღლიერი იყოს, რომ სამსახური აქვს და არ უნდა



მოელოდოს „თანაბარ ხელფასს, ბენეფიტებს, შესაძლებლობებსა და კეთილმოწყობილ სამუშაო ადგილებზე ხელმისაწვდომობას.“ შშმ პირები მრავალ დამოკიდებულებით ბარიერს აწყდებიან, როგორებიცაა: არასრულფასოვნება, გმირის თაყვანისცემა, უცოდინარონა/უვიცობა, გავრცელების ეფექტი, სტერეოტიპები, უკურეაქცია, უარყოფა და შიში.

- **არასრულფასოვნება** - ზოგჯერ შშმ პირებს „მეორეხარისხოვან მოქალაქეებად“ თვლიან მათი შეზღუდული შესაძლებლობის გამო. თუმცა, შშმ პირთა უმრავლესობას ისეთი უნარები აქვს, რომლებიც სრულიად არ „ზღუდავენ“ მათ სამუშაო გარემოში.
- **სიბრალოლი** - როდესაც შშმ პირები ეცოდებათ, ეს მფარველობაა. შშმ პირებს თანაბარი შესაძლებლობები უნდათ, რომ თვითონ გამოიმუშაონ საარსებო საშუალებები, მიაღწიონ დამოუკიდებლობას და კონკურენცია გაჩიონ შრომის ბაზარზე.
- **გმირის თაყვანისცემა** - „სიბრალოლის“ საპირისპირო რეაქციაა გმირის თაყვანისცემა. შშმ პირები არ მოელოან ჯილდოებს ყოველდღიური აქტივობების შესრულებისთვის. მათ ისწავლეს ადაპტირება, უნიკალური ცოდნისა და უნარების განვითარების გზით. ისინი თავის გზას დამოუკიდებლად მიიკვლევენ, როგორც ნებისმიერი სხვა ადამიანი.
- **უცოდინარობა** - შშმ პირებს ხშირად არ ეძლევათ შანსი წარმოაჩინონ თავიანთი უნარები პერსპექტიული სამსახურისთვის. დამსაქმებელი უმაღლეს მის შეზღუდულ შესაძლებლობაზე ამახვილებს ყურადღებას და მუშაკს შესაძლებლობასაც კი არ აძლევს, რომ წარმატებას მიაღწიოს.
- **გავრცელების ეფექტი** - ზოგი ადამიანი ფიქრობს, რომ თუ პიროვნებას შეზღუდული შესაძლებლობა აქვს, ის აუცილებლად სრულიად შეზღუდულია. აზრი, რომ

შეზღუდული შესაძლებლობა სხვა დანარჩენ შესაძლებლობებზე 'ვრცელდება' სინამდვილეს არ შეესაბამება. მაგალითად, ზოგი ადამიანი ხმას უწევს, როცა უსინათლო ადამიანს ესაუბრება ან არ მოელის, რომ ეტლში მჯდომი პიროვნება გონივრულად საუბრობს.

- **სტერეოტიპები** - სტერეოტიპები არის პოზიტიური ან ნეგატიური განზოგადება, რომელიც უარყოფს შშმ პირების რეალურ შესაძლებლობებსა და ძლიერ მხარეებს. ამის მაგალითებია ის აზრები, რომ უსინათლო ადამიანებს უფრო კარგად ესმით ან ეტლით მოსარგებლე პირები მორჩილები/დამყოლები არიან, ან განვითარების დარღვევის მქონე ადამიანები მიამიტები და გულკეთილები არიან, ან შშმ პირები სევდიანები არიან.
- **უკურეაქცია** - ბევრი ადამიანი ფიქრობს, რომ შშმ პირები სამსახურში შეღავათებით სარგებლობენ. სპეციალიზებული დამხმარე კანონები არ უწყობენ ხელს შშმ პირებისთვის უსამართლო შეღავათების გაწევას. მათ იგივე სამუშაო უნდა შეასრულონ, როგორც ნებისმიერმა, ამ პოზიციაზე დაქირავებულმა, სხვა თანამშრომელმა; თუმცა, მათ შეიძლება, უბრალოდ, სხვაგვარად შეასრულონ ეს სამუშაო. აქ კი უკვე შესაბამისი სამუშაო პირობებია საჭირო.
- **უარყოფა** - თუ შეზღუდული შესაძლებლობები აშკარად არ არის გამოხატული, როგორებიცაა: ფსიქიური მდგომარეობა, ეპილეფსია, სიმსივნე ან გულის დაავადება, ადამიანები უარს ამბობენ განსაკუთრებულ ხელშეწყობაზე, იმ მიზეზით, რომ ეს შეზღუდვები ნამდვილი შეზღუდული შესაძლებლობები არ არის.
- **შიში** - ბევრი ადამიანი თავს არიდებს შშმ ადამიანებთან კონტაქტს, რადგან ფიქრობს, რომ შესაძლოა ისეთი რამ გააკეთოს, რაც მათ გულს ატკენს. ისინი ნაკლებად აცნობიერებენ, რომ შიშმა შეიძლება წაართვათ შშმ პირებთან ურთიერთობის შესაძლებლობა და იმის

გათვალისწინება, რომ ყურადღება „პიროვნებაზე“  
გაამახვილონ, „შეზღუდული შესაძლებლობის“ ნაცვლად.

*დამოკიდებულებითი ბარიერები ადამიანებს შორის  
ურთიერთობის შეწყვეტას და შშმ პირთა იზოლირებას  
განაპირობებს.*

შშმ პირებთან ურთიერთობის რამდენიმე რჩევა:

- ეცადეთ შშმ პირს გახსნილი გონებით უსმინოთ და ჩასწვდეთ, რას გეუბნებათ, თუ რა შეუძლია და არა, ფიქრებში არსებული ყოველგვარი ცრურწმენის გარეშე.
- შშმ პირს აუცილებლად პირდაპირ ესაუბრეთ, ისევე როგორც ყველა დანარჩენ ადამიანს. ეს ვრცელდება მობილობის შეზღუდვის, ფსიქიკური და კოგნიტური დარღვევების მქონე, ასევე უსინათლო და ყრუ ადამიანებზე.
- ხელი ჩამოართვით შშმ პირებს და გაცვალეთ ბიზნეს ბარათები, ისევე როგორც ყველა სხვა ადამიანთან მოიქცეოდეთ. ნუ ჩავარდებით უხერხულ მდგომარეობაში, თუ თქვენი მცდელობა უპასუხო დარჩება.
- თუ მეტყველების დარღვევების მქონე ადამიანის საუბარს ვერ იგებთ, სთხოვეთ, გაიმეოროს ნათქვამი. თავს ნუ მოაჩვენებთ, რომ მისი ნათქვამი გაიგეთ. თუ ასე არ მოიქცევით, მოგვიანებით უხერხულ მდგომარეობაში ჩავარდებით, როცა ცხადი გახდება, რომ არ გესმით მისი.

## 5. სოციალური ინკლუზია

შეზღუდული შესაძლებლობები არ წარმოადგენს მხოლოდ ინდივიდის მახასიათებელს, არამედ ეს არის პიროვნების ურთიერთქმედება მის გარემოსთან. ადამიანებისთვის საზოგადოებრივ ცხოვრებაში მონაწილეობის საშუალების მიცემა დიდად შეუწყობს ხელს იმ ბარიერების გადალახვას, რომლებიც ხელს უშლიან შშმ პირებს ყოველდღიურ ცხოვრებაში. ეს ბარიერები ხშირად საზოგადოებაში გვხვდება. ზოგჯერ შშმ პირებს შინაგანი ბარიერებიც აქვთ, რომლებიც მათ საზოგადოებრივ ცხოვრებაში მონაწილეობას და ფუნქციონირებას სერიოზულად აფერხებს. მაგალითად, შესაძლებელია, რომ ადამიანები არ არიან მოტივირებულნი, რომ ხელი შეუწყონ საკუთარ განვითარებას ან თავდაჯერებულობა აკლიათ და ჰგონიათ, რომ ვერ შეძლებენ ახალი უნარების შეძენას. არა შშმ პირები მათ შიშით, შეცოდებით ან უპირატესობის გრძნობით პასუხობენ. მედია საშუალებები ხშირად აძლიერებენ ამ ვარაუდებს და ემოციებს. გარდა ამისა, ნეგატიური სახელები – „ინვალიდი“, „ჭკუასუსტი“, „ხეიბარი“ – ასახავს და აძლიერებს ცრურწმენებს.

### სოციალური იზოლაცია/გარიყულობა და სტიგმა

გარიყულ მდგომარეობაში ყოფნის გამოცდილება ხშირად ნეგატიურ ემოციებთან, წყენასთან, მარტობასთან, გაღიზიანებასთან, სირცხვილსა და შფოთთან ასოცირდება. ის შეიძლება გამოიხატოს ეპიზოდური ინტერპერსონალური ან თანატოლების მიუღებლობით. მიუხედავად იმისა, რომ ადამიანთა უმრავლესობას ცხოვრებაში ერთხელ მაინც გამოუცდია მიუღებლობა ამა თუ იმ ხარისხით, თუ ეს პროცესი

ხანგრძლივად გაგრძელდა ან მუდმივია, ის შეიძლება პრობლემა გახდეს. ადამიანთა მთელი ჯგუფის მიუღებლობას, რომელსაც შშმ პირები შეადგენენ, ნეგატიური ეფექტი მოჰყვება, განსაკუთრებით, თუ მას სოციალური იზოლაცია მოსდევს შედეგად.

მიუღებლობის პროცესი აისახება პიროვნულ უარყოფაში, სტიგმატიზირებული ჯგუფების მიმართ დისტანცირების, სტიგმატიზაციის განვითარებაში, ცრურწმენის გავლენით ჩამოყალიბებულ დამოკიდებულებაში. აქედან გამომდინარე, თავის საფუძველში სეგრეგაცია უგულვებელყოფის პროცესია, რომელიც სტიგმატიზაციით მთავრდება, როცა ადამიანთა კატეგორიის გამაერთიანებელი დამახასიათებელი თვისება თავისდაუნებურად განიხილება ამ კატეგორიას მიკუთვნებული ინდივიდებისგან განდგომის საფუძველად (რაც გამოიხატება მათთვის თავის არიდებაში, მათ გარიყვაში ან ურთიერთობის რაიმე სხვა სახით მინიმუმამდე დაყვანაში).

სოციალური იზოლაცია არის პროცესი, რომლის დროსაც გარკვეული ჯგუფები გარიყულნი არიან საზოგადოებისგან და არ ეძლევათ საზოგადოებრივ ცხოვრებაში სრულფასოვნად მონაწილეობის საშუალება მათი სიღარიბის, მწირი განათლებისა და შეუსაბამო ცხოვრებისეული უნარების გამო. ეს აშორებს მათ დასაქმების, შემოსავლის მიღებისა და განათლების შესაძლებლობებს, ისევე როგორც ასუსტებს მათ სოციალურ და სათემო ქსელებთან კავშირს. შშმ ადამიანებს მეტად შეზღუდული აქვთ წვდომა ზემდგომ და გადაწყვეტილების მიმღებ ორგანოებთან და, შესაბამისად, ძალიან მცირე შანსი აქვთ ზეგავლენა მოახდინონ იმ პოლიტიკაზე, რომელიც მათ ეხებათ ან აუმჯობესებს მათი ცხოვრების სტანდარტს.

სოციალური იზოლაციის რისკ-ჯგუფებს მიეკუთვნებიან:

- უსახლკარო ადამიანები
- ლტოლვილები და დევნილები
- მარტოხელა მოხუცები

- შშმ პირები
- უმუშევარი ადამიანები, განსაკუთრებით უმუშევრები ხანგრძლივი დროით
- ნივთიერებაზე დამოკიდებული პირები
- ეთნიკური უმცირესობები
- ლგბტ ჯგუფის წევრები

სოციალური იზოლაციის ფაქტორები:

- მწირი ფულადი სახსრების და სხვა მნიშვნელოვანი რესურსების ნაკლებობა
- საზოგადოების მხრიდან ადამიანთა გარკვეული ჯგუფებისა და კატეგორიების მიმართ დისკრიმინაცია - სტიგმა და სტერეოტიპები
- „ფიზიკური“ ბარიერები, როგორებიცაა არაადაპტური შენობები, ტრანსპორტის ნაკლებობა ან ადგილზე სერვისების/პირობების არ არსებობა
- საზოგადოებრივ ცხოვრებაში მონაწილეობისთვის საჭირო თავდაჯერებულობის არქონა და გაუბედაობა
- სოციალური და ეკონომიკური ჩართულობისთვის საჭირო უნარებისა და კვალიფიკაციის არარსებობა
- სოციალური ინკლუზიის სუსტი სისტემები და პროგრამები

### სოციალური ინკლუზიის განმარტებები

სოციალური ინკლუზია შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების კეთილდღეობის მნიშვნელოვან ელემენტად რჩება და გაერთიანებული ერების შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენციის ძირითად კომპონენტს წარმოადგენს. მიუხედავად ამისა, შეზღუდული შესაძლებლობისა და განვითარების დარღვევების მქონე პირები კვლავაც

მნიშვნელოვნად იზოლირებულნი არიან სოციალურად და მათი თანადგომის ქსელი და სოციალური გარემო ძირითადად, ოჯახის წევრებითა და პროფესიონალებით შემოიფარგლება.

მსოფლიოში სოციალური ინკლუზიის სხვადასხვა განმარტება გამოიყენება. სოციალური ინკლუზია არის ტერმინი, რომელიც შეიძლება გამოვიყენოთ მთელი რიგი დადებითი ქმედებების აღსაწერად, რომელთა შედეგადაც შესაძლებელი გახდება, რომ ყველა ადამიანს თანაბრად მიუწვდებოდეს ხელი სხვადასხვა რესურსსა და მომსახურებაზე.

*სოციალური ინკლუზია ხელს უწყობს ყველა ინდივიდის მონაწილეობას საზოგადოებრივ ცხოვრებაში, მხარს უჭერს ყველა ადამიანს, საკუთარი წვლილი შეიტანოს საზოგადოებრივ და კულტურულ ცხოვრებაში, გაიაზროს დისკრიმინაციის შესაძლებლობა და წინ აღუდგეს მისი ნებისმიერი ფორმით გამოვლინებას.*

გადაწყვეტილებების მიღების პროცესში მარგინალური და სიღარიბეში მცხოვრები ადამიანების გაზრდილი მონაწილეობის უზრუნველყოფით, მათ საშუალება ექმნებათ გაიუმჯობესონ საერთო კეთილდღეობა და ჩართულნი იყვნენ საზოგადოებრივ და პოლიტიკურ პროცესებში.

უოლკერმა (2011) სოციალური ინკლუზია მარტივად განსაზღვრა, როგორც „შშმ პირების სოციალური მიმდებლობა სკოლაში, სამსახურსა და საზოგადოებრივ გარემოში“. ეს განმარტება გამოკვეთს საზოგადოების სუბიექტურ დამოკიდებულებას შშმ პირების მიმართ.

სოციალური ინკლუზიის მკაფიო განსაზღვრებას შეუძლია ხელი შეუწყოს გამართულ კომუნიკაციას სერვისების მიმწოდებლებს, პოლიტიკოსებსა და მულტიდისციპლინარულ მკვლევრებს შორის. გარდა ამისა, ტერმინის მკაფიო

განმარტებას შეუძლია ხელი შეუწყოს იმ მრავალრიცხოვანი მეთოდების სტანდარტიზაციას, რითაც ისინი სოციალურ ინკლუზიას ზომავენ.

ყველაზე მარტივი განმარტებით, ინკლუზია არის „ჩართულობის მდგომარეობა“, თუმცა ის ცოტა უფრო კომპლექსურია.... ტერმინი „ინკლუზია“ გამოიყენება შეზღუდული შესაძლებლობის სფეროს აქტივისტების მიერ იმ იდეის გაძლიერებისა და პროპაგანდისთვის, რომელიც გულისხმობს ნებისმიერი ადამიანის ღია ჩართულობას, ყოველგვარი აკრძალვებისა და შეზღუდვების გარეშე.

ზოგიერთი განმარტების მიხედვით, ეს არის ადამიანების მიერ კუთვნილების, ჩართულობისა და ურთიერთკავშირის განცდის უზრუნველყოფის პრაქტიკა.

*სოციალური ინკლუზია - ადამიანის უნივერსალური უფლებაა, რომლის მიზანია, მოიცვას ყველა ადამიანი განურჩევლად რასის, სქესის, შეზღუდული შესაძლებლობისა ან სხვა ნიშნისა, რომელიც შეიძლება განსხვავებულად ჩაითვალოს.*

ეს ნიშნავს ყველა ადამიანის ღირებულებისა და მნიშვნელოვნების აღიარებას, ყველასათვის თანაბარი ხელმისაწვდომობისა და შესაძლებლობის მიცემას და ჩართულობის უზრუნველსაყოფად ყველა სახის დისკრიმინაციისა და ბარიერის მოხსნას.

ეთიკური თვალსაზრისით, ადამიანის უფლებები შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა წინაშე არსებული ბარიერების დაძლევისა და ინკლუზიის ხელშეწყობის საფუძველია. ამ კუთხით მიდგომამ უნდა უზრუნველყოს პოზიტიური პროცესები და შედეგები შშმ პირებისთვის, მათ მიმართ ღირსებითა და პატივისცემით მოპყრობის ჩათვლით და იმაზე ზრუნვით, რომ მომავალში საზოგადოებამ აღარასოდეს შეზღუდოს საკუთარი მოქალაქეები.



## სოციალური ინკლუზიის ინდიკატორები

როგორც ზემოთ იქნა აღნიშნული, სოციალური ინკლუზია ნიშნავს თითოეული მოქალაქის ჩართულობას, ყოველგვარი აკრძალვების გარეშე. სოციალური ინკლუზია საზოგადოებაში, ორგანიზაციაში, პოლიტიკაში შეიძლება გაიზომოს შემდეგი ინდიკატორების მიხედვით:

- წარმომადგენლობა – ყველა იმ ადგილას ყოფნა/დასწრება, სადაც არა უშუალო პირები არიან, საკლასო ოთხების, გამგეობის, ბიზნესის, თემის, საზოგადოებრივი ღონისძიებებისა და პოლიტიკური შეკრებების ჩათვლით
- არჩევანი – მრავალმხრივი გამოცდილებიდან გამომდინარე, სასურველი აქტივობების არჩევა და მათში ჩართვა
- კომპეტენცია – აღიარება ძლიერი მხარეებისა და შეტანილი წვლილის გამო, მეტის მიღწევის შესაძლებლობა
- პატივისცემა და ღირებული როლები – პიროვნებად აღქმა და მიღება ისევე, როგორც ღირებულ უშუალო პიროვნებად აღქმა და არა “ნორმიდან გადახრად” მიჩნევა
- მონაწილეობა – სხვა ადამიანებთან ურთიერთკავშირი, მრავალფეროვანი ურთიერთობები, იცნობდეს და იცნობდნენ, ღონისძიებაში მონაწილეობა და არა მხოლოდ დამკვირვებლის სტატუსით ყოფნა.
- კუთვნილება – ძლიერი გრძნობა, რომ ადამიანი სხვების მიერ დაფასებულია და აქვს შესაბამისი სოციალური ჯგუფის მიმართ მიკუთვნებულობის განცდა.

**სოციო-პოლიტიკური**

კანონები, კანონის დაცვის უზრუნველყოფა, საბაზრო ძალები, სახელმწიფო პერსპექტივები, მომსახურების მიწოდების ისტორია, სამართლებრივი შეცდომები

**თემი**

არსებობა და ხელშეწყობის - შესაბამის სერვისებზე, ტრანსპორტზე, ინლაინ კომუნიკაციებსა და რესურსებზე, სეფიდაცოკატობის

ჯგუფების არსებობა

ჯგუფის კულტურა, მისიის განაცხადი, მენეჯმენტის დამოკიდებულებები, პერსონალის ტრენინგის შესაძლებლობები

თემში არსებული ჯგუფების ორგანიზაციული კულტურები - სკოლები, დასაქმების ცენტრები, სამართალდაცავი ორგანიზები

ინდივიდუალური ან ოჯახის სოციო-ეკონომიკური სტატუსი, სოციალური კაპიტალი, ოჯახის კულტურა

კომუნიკაციის სერვისებზე ხელშეწყობის

**ინტერპერსონალური**

ურითიერობა პერსონალითან, ოჯახის წევრებთან, მეგობრებთან და ა.შ. ურითიერობა სოციალური ქსელის წევრებს პატრულების, ნდობის შირის და სოციალური კაპიტალის ხარისხი/დონე

სოციალური ქსელის წევრების დამოკიდებულება

**ინდივიდუალური**

ასაკი, სქესი, ფუნქციონირების ხარისხი, თვითმოტივაცია, ცოდნა, მიზნების დასახვა, თვითშეფასება, მართობის განცდა, მიკუთვნების განცდა

## სოციალური ინკლუზიის ბარიერები და მათი დაძლევის გზები

არსებობს მრავალი ფიზიკური ბარიერი, რომელიც ხელს უშლის შშმ პირების ჩართულობას. საზოგადოებრივი ტრანსპორტი, საავადმყოფოები, სკოლები, სავაჭრო ობიექტები, რელიგიური ღვთისმსახურების ადგილები ხშირად ხელმიუწვდომელია მობილობისა და სენსორული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისთვის. საკომუნიკაციო მედია და საინფორმაციო საშუალებები შეიძლება წარმოადგენდეს დაბრკოლებებს ადამიანებისთვის, რომელთაც მეტყველების, სმენისა და მხედველობის პრობლემები აქვთ, თუ ინფორმაცია არ არის წარმოდგენილი ხელმისაწვდომ ფორმატში, როგორცაა ბრაილი და მსხვილი შრიფტი მხედველობის დაქვეითების მქონე პირებისთვის ან აქტუური ენით მოსარგებლე კომუნიკაციის დარღვევების მქონე პირებისთვის.

განვითარების დარღვევების მქონე ადამიანებისთვის საზოგადოებრივ აქტივობებში და ორგანიზაციებში მონაწილეობის ძირითად ბარიერს დიდწილად დამოკიდებულების პრობლემა წარმოადგენს. ამასთან დაკავშირებულ ბარიერებს ხშირ შემთხვევაში საფუძვლად უდევს შემდეგი სტერეოტიპები:

- საზოგადოებას არ აქვს შშმ პირების მიმართ მიმღებლობა - ადამიანებს აშინებთ შშმ ადამიანები და ფიქრობენ, რომ მათ ძალიან ბევრი პრობლემა ან საჭიროება აქვთ, რომ საზოგადოებას მოერგონ.
- ისინი შეიძლება დაზიანდნენ - შშმ პიროვნებას შეიძლება ზიანი ადვილად მიაყენონ (უარყოფილი ან გამოყენებული იქნას, დაიჩაგროს, დაიკარგოს, და ა.შ.).
- ვისი საქმეა შშმ პირებთან ურთიერთობა და მათი მხარდაჭერა ქვეყანაში, ორგანიზაციაში, საზოგადოებაში

- უამრავი გასაკეთებელი სამუშაო ახლავს მათ მხარდაჭერას და ვინ უნდა აკეთოს ეს ყველაფერი?

- რესურსების არ არსებობა - არ არის საკმარისი რესურსები, თითოეულისთვის ცალკე გამოყოფილი თანამშრომელი, ტრანსპორტი და ა.შ., რომ ადამიანებს საზოგადოებასთან დაკავშირების საშუალება ჰქონდეთ. და რისთვის უნდა ვცადოთ ეს ყოველივე?
- ძალიან დიდი პასუხისმგებლობა - ვინ იქნება პასუხისმგებელი რამე რომ მოხდეს, მაგალითად, თუ პიროვნება საზოგადოებრივ აქტივობაში მონაწილეობის დროს დაშავდება.

სოციალური ინკლუზიის ბარიერების დასაძლევად საჭიროა შშმ პირის მომზადება ინკლუზიისთვის, კონკრეტული ბარიერების იდენტიფიცირება და მათ გადასალახად საჭირო ერთობლივი გეგმის შედგენა. ბარიერების გადასალახად, აგრეთვე მნიშვნელოვანია, საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლება და ინკლუზიური მიდგომების დანერგვა საზოგადოებაში/თემში, ორგანიზაციასა და სისტემებში.

პიროვნების ინკლუზიისთვის მოსამზადებელი უნარების განვითარება უნდა მოიცავდეს შემდგომ საკითხებს:

- მათი პოტენციალის, ძლიერი მხარეების და ინტერესების განსაზღვრას მათი აქტიური ჩართულობით; სასურველი მომავლის ხედვის ჩამოყალიბებაში მხარდაჭერის გაწევას.
- უნარების ტრენინგის რეალურ ცხოვრებისეულ მოვლენებში ჩართვა/გადატანას.
- იმ მოცულობით დახმარების უზრუნველყოფას, რომელიც საკმარისი იქნება პიროვნებისთვის წარმატების მიღწევის შანსის მისაცემად. გასათვალისწინებელია, რომ

კომპეტენცია მცდელობით მოდის, ხშირად წარუმატებლობიდან და ახალი მცდელობიდან.

- სხვა ადამიანებთან ურთიერთობისა და არჩევნის გაკეთების ყოველდღიური შესაძლებლობის უზრუნველყოფას.

## სოციალური ინკლუზია თემის/სოციუმის პერსპექტივიდან

თემში/სოციუმში ინკლუზია (ჩართულობა) განიხილება, როგორც შესაძლებლობა, რომ პიროვნებამ საზოგადოებაში იცხოვროს და დაფასდეს თავისი უნიკალურობისა და უნარების გამო, ისევე როგორც ყველა სხვა ადამიანი. თემში ინკლუზია მოიცავს შემდეგ პირობებსა და ფაქტორებზე ხელმისაწვდომობას:

- საცხოვრებლით უზრუნველყოფა
- დასაქმება
- განათლება
- ჯანმრთელობის სტატუსი
- გართობა/დასვენება
- სულიერება/რელიგია
- მოქალაქეობა და სამოქალაქო ჩართულობა
- ღირებული სოციალური როლი
- ურთიერთმხარდაჭერა
- თვითგამორკვევა

თემში ინკლუზიის (ან ყველა სხვა ადამიანის მსგავსად, ცხოვრების შესაძლებლობის) შედეგს წარმოადგენს შშმ ადამიანების საზოგადოებაში ყოფნა და მონაწილეობა, სხვათა

მსგავსად, შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის გარეშე. ინკლუზია თემში/სოციუმში წარმატებულია, როდესაც ადამიანებს:

- ურთიერთობა აქვთ ადამიანებთან, რომლებსაც არ უხდინან მათთან დროის გატარებისთვის
- შესაძლებლობა აქვთ გამოსცადონ სხვადასხვა სოციალური როლები, მეგობრობის ჩათვლით, საზოგადოებრივ პროგრესში წვლილის შეტანითა და ახალი უნარების შეძენით
- აქვთ შესაძლებლობა და რესურსები, რათა აკეთონ და წარმატებით შეასრულონ მათთვის მნიშვნელოვანი საქმეები
- აქვთ კუთვნილების განცდა

თემში/სოციუმში ინკლუზიის უპირატესობები ინდივიდისთვის:

- კეთილდღეობისა და თვითშეფასების გაზრდილი გრძნობა
- ხელმისაწვდომობა რესურსებზე და აქტივობებზე, რომლებიც არ არის ჯგუფურ სახლში
- გაფართოებული „ჰორიზონტები“ / ცხოვრებისეული გამოცდილება; სხვადასხვა გარემოში ჩატარებულ აქტივობებში მონაწილეობა
- მონაწილეობა – სხვა ადამიანებთან ურთიერთობა, ცნობადობა
- სიხარული/მღელვარება საზოგადოების ჯგუფთან კუთვნილების გამო
- ახალი მეგობრების შეძენის, ახალი და მრავალფეროვანი ურთიერთობების დამყარების შესაძლებლობა

- საზოგადოებაში მიღებული ქცევის წესების სწავლის სტიმული.

თემში/სოციუმში ინკლუზიის უპირატესობები საზოგადოებისთვის:

- მეტი მრავალფეროვნება ურთიერთობებში
- ადამიანების დასახმარებლად გასაწევი ხარჯის შემცირება, რადგან დახმარების მიმღები პირი არ არის დამოკიდებული ფასიან პროფესიონალზე
- შშმ პირებს შეუძლიათ გადაიხადონ გადასახადები, თუ სამსახური აქვთ.
- შშმ პირებს შეუძლიათ გაუზიარონ თავისი ნიჭი და ტალანტი საზოგადოებას.

**სოციალური ინკლუზია მომსახურების პერსპექტივით - როგორი უნდა იყოს მომსახურება, რომელიც ეყრდნობა სოციალურ ინკლუზიას**

ინკლუზიური მომსახურების გარემო უფრო ფართო მცნებაა, ვიდრე ადაპტირებული შენობები, ჟესტური ენის თარჯიმნით უზრუნველყოფა ან დოკუმენტების მსხვილი შრიფტით დაბეჭდვა; მომსახურების ინკლუზიური გარემო ეფუძნება პიროვნების პატივისცემას, თანასწორუფლებიანობასა და მხარდაჭერას.

ინკლუზიური მომსახურების გარემო იწყება იმ ინდივიდების ქმედებითა და დამოკიდებულებით, რომლებიც

უკვე იმყოფებიან ამ გარემოში.

მომსახურების მენეჯმენტი, რომელიც, უპირველეს ყოვლისა, იმაზე ფიქრობს, თუ რისი გაკეთება შეუძლია პიროვნებას, უფრო ინკლუზიურია, ვიდრე ის, რომელიც ფიქრობს მხოლოდ პიროვნების შეზღუდულ შესაძლებლობებზე.

მენეჯმენტი, რომლისთვისაც პირველ რიგში დგას ადამიანი, როგორც პიროვნება, უკვე აცნობიერებს, რომ ფიზიკური და გონებრივი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები, უპირველეს ყოვლისა, ადამიანები არიან და მხოლოდ შემდეგ შშმ პირები.

### ინკლუზიური მომსახურების ელემენტები

ინკლუზიური მომსახურების გარემო უზრუნველყოფს შშმ პირების პატივისცემას და მათდამი ღირსეულ მოპყრობას. ის არ უღრმავდება სამედიცინო ისტორიებსა და დიაგნოზებს, იცავს კონფიდენციალურ ინფორმაციას შემთხვევითი გაცვლა-გავრცელებისგან; ესაუბრება და უსმენს შშმ პირს; გაცნობიერებულია, რომ პირობების პერსონალური არჩევანი ხშირად ინდივიდუალური საჭიროებაა. ის მოქნილია, როცა ეს საჭიროა. ინფრასტრუქტურა - ბილიკები, კარები, ოთახები, სააბაზანო-საპირფარეშოები, სამზარეულოები, ინკლუზიური მომსახურების გარემო - მაქსიმალურად შეესაბამება თანამედროვე ხელმისაწვდომობის სტანდარტებს. ღონისძიებების დაგეგმვის, პროგრამების მოძიების ან შეხვედრის ადგილის შერჩევის დროს ითვალისწინებენ ხელმისაწვდომობას და აფასებენ განთავსების ადგილებს. როდესაც ადგილს უცვლიან მაგიდებს/დაფებს ან დაატარებენ გამაგრებულ სასმელებს, ყურადღებას აქცევენ, რომ ყველა ადამიანს, ვისაც აქვს მობილობის, სმენის, მხედველობის ან



კოგნიტური ტიპის შეზღუდული შესაძლებლობები, მუდმივად ჰქონდეს სივრცის დამოუკიდებლად გამოყენების შესაძლებლობა.

შეზღუდული შესაძლებლობების არსებობას არ უყურებენ როგორც “ნაკლს, დეფექტს”. პირიქით, შეზღუდული შესაძლებლობები განიხილება, როგორც მრავალფეროვნების სპექტრის ნაწილი, რომელიც ადამიანის მდგომარეობაში არსებობს. ზოგ შემთხვევაში, შეზღუდული შესაძლებლობები შეიძლება იყოს პოზიტიური გამოწვევა, რაც საშუალებას აძლევს თანამშრომლებსა და მონაწილეებს გაამდიდრონ და გააღრმავონ თავისი ცოდნა და უნარები. ინკლუზიური მომსახურების გარემოში, თანამშრომლებისა და მონაწილეების მუშაობის მიზანია უზრუნველყონ შშმ პირების სრული ჩართულობა. ყველა აცნობიერებს, რომ ინდივიდის აქტივობაში მონაწილეობისგან გათავისუფლება (მაგ. „არაუშავს თუ შეხვედრაზე არ მოხვალ, რადგან ხელმიუწვდომელ ადგილზე ტარდება.“) ან ინფორმაციის უარყოფა (მაგ. „არაუშავს, თუ ტრენინგი არ გესმის, მაინც არ არის ისეთი მნიშვნელოვანი“), იზოლაციაზე ორიენტირებული ქმედებებია.

*ინკლუზიური მომსახურების გარემოში, სრული მონაწილეობა მიზანი არ არის - ის ქმედებაა. ინკლუზიური მომსახურების გარემო ხედავს ინდივიდებს და არა სტერეოტიპებს.*

### სოციალური ინკლუზია პროექტის/პროგრამის ჭრილში

ნებისმიერი პროგრამის ან პროექტის მომზადების ან განხორციელების ფარგლებში კარგად უნდა გქონდეთ გაცნობიერებული, რომ შშმ პირებიც თქვენი სამიზნე ჯგუფის ნაწილია და პროექტის ყველა აქტივობაში უნდა იყვნენ ჩართული. ასევე, ინკლუზიისთვის უნდა გამოიყოს ბიუჯეტი და ჩაიდოს შეზღუდული შესაძლებლობების მონაცემები

დაგეგმვაში, მონიტორინგისა და შეფასების ანგარიშებში. გადამწყვეტი ნაბიჯია პროგრამის/პროექტის მონაწილე თანამშრომლების ტრენინგი. ისინი უნდა აცნობიერებდნენ შშმ პირების უფლებებს, საჭიროებებსა და შესაძლებლობებს. ამის შემდეგ ისინი შეძლებენ შშმ პირების იდენტიფიცირებასა და მათ ჩართვას ახალ ან მიმდინარე პროექტებში.

*შშმ პირებს უნდა მიეცეთ საშუალება მონაწილეობა მიიღონ მთლიანი პროექტის, პროგრამის ყველა ციკლში - დაგეგმვა, დანერგვა და შეფასება.*

წარმატებული მონაწილეობის უზრუნველსაყოფად, მათ წვდომა უნდა ჰქონდეთ დამხმარე აღჭურვილობებზე, საშუალებებსა და სამედიცინო სარეაბილიტაციო მომსახურებაზე. ასევე უნდა აღვნიშნოთ, რომ ყველა მათგანს არ დასჭირდება ეს მომსახურება ან მოწყობილობები, თუმცა ეს გადამწყვეტია მათი სრული ინკლუზიის პროცესისთვის.

*ინკლუზიის პროცესის ყველაზე მნიშვნელოვანი ნაბიჯია დამოკიდებულებითი, გარემოსა და ინსტიტუციონალური ბარიერების მოხსნა, რომლებიც ინკლუზიის შემაფერხებელია.*

შემდეგ მოდის შეზღუდული შესაძლებლობებისთვის სპეციფიკური მომსახურების მიმწოდებლების, შშმ პირების ორგანიზაციებისა და სამთავრობო ქსელების შექმნა. ისინი თქვენს ორგანიზაციას მრავალმხრივად დაეხმარებიან.

**პროექტის თანამშრომელთა ტრენინგის ელემენტები:**

- განიხილეთ ადგილობრივ მოსახლეობაში არსებული შეხედულებები და სტერეოტიპები შეზღუდული შესაძლებლობების შესახებ.

- გააცანით მათ შშმ პირებისთვის შესაფერისი მიმართვის ტერმინები.
- აუხსენით მათ, რომ შშმ პირებს უფლება აქვთ მონაწილეობა მიიღონ ცხოვრების ყველა სფეროში.
- მოახდინეთ შშმ პირების პროექტში მონაწილეობის ხელის შეშლელი ბარიერების იდენტიფიცირება.

თუ შშმ პირები არ არიან ჩართულები პროექტში, ეს იმის მიმანიშნებელია, რომ პროექტის თანამშრომლებს არა აქვთ გათვითცნობიერებული შშმ პირების საჭიროებები და უფლებები. ეს ბოროტი განზრახვით არ ხდება, უბრალოდ, ამ ადამიანების ჯგუფს ვერ ამჩნევენ, რადგან ისინი საზოგადოებაში ნაკლებად ჩანან. როგორც კი გავაცნობიერებთ ამ ადამიანების შესაძლებლობებს და საჭიროებებს, ძალიან მარტივი ხდება მათთვის პროექტების, პროგრამების 'გახსნა' და ბარიერების მოხსნა. მოტივირებული პერსონალი მთავარი პრიორიტეტია ინკლუზიის საკითხებზე მუშაობისას. ზოგმა მათგანმა საკითხი ადგილობრივ საზოგადოებასთან უნდა განიხილოს და პროექტის ბენეფიციარების იდენტიფიცირება მოახდინოს. ასე რომ, პროექტის, პროგრამის თანამშრომლების მგრძობელობის/სენსიტიურობის გაზრდა შშმ პირების უფლებებისა და საჭიროებების შესახებ, ერთ-ერთი უპირველესად გადასადგმელი ნაბიჯი უნდა იყოს.

დამოკიდებულების შეცვლა - უპირველესად, უნდა შეიცვალოს შშმ პირებთან დაკავშირებული სტერეოტიპები. ჩვენს გონებაში ყველას გვაქვს გარკვეული შეხედულებები შშმ პირების მიმართ - *“მათ სჭირდებათ დახმარება, სპეციალური მომსახურება, მათ არ შეუძლიათ სწავლა და ა.შ.”*. მაგრამ არის კი ეს მოსაზრებები სწორი? როდისმე გადაგვიმოწმებია ისინი რეალურად?

ცოდნა და უნარები- დიდი ცოდნა არ არის საჭირო იმისათვის, რომ დაიწყოს შშმ პირების ძირითად პროგრამებში, პროექტებში ჩართვა. პროექტის თანამშრომლების ამოცანაა

მომებნონ შშმ პირები პროექტის, პროგრამის განხორციელების არეალში და უზრუნველყონ მათი ჩართვა. ამისათვის მათ უნდა ესმოდეთ, თუ რა არის შეზღუდული შესაძლებლობა და რა სახის დარღვევები არსებობს. მათ, აგრეთვე, უნდა ესმოდეთ, როგორ უნდა მოუხსნან შშმ პირებს ბარიერები და რა სახის ცვლილებები უნდა გაკეთდეს ამ ადამიანების პროექტებში ჩასართავად. მაგალითად, რა არის საჭირო, რომ სმენადაქვეითებულმა ბავშვმა სკოლაში ისწავლოს? ან რა უნდა გააკეთოს ადგილობრივმა საავადმყოფომ, რომ ის ეტლში მჯდომი ადამიანისთვის მისასვლელად ხელმისაწვდომი გახდეს?

შშმ პირები პროექტის, პროგრამის მთელ ციკლში უნდა მონაწილეობდნენ - საყოველთაოდ ცნობილია, რომ საზოგადოებრივი განვითარების პროგრამის შემუშავება მასში სამიზნე ჯგუფის მონაწილეობის გარეშე წარუმატებლობისთვის არის განწირული. ინკლუზიური პროექტის, პროგრამის შემუშავება შშმ პირების მონაწილეობის გარეშე ასევე წარუმატებელი იქნება. ძირითადად, შშმ პირები საზოგადოების ყველაზე მარგინალურ ჯგუფს მიეკუთვნებიან და არ არიან მიჩვეულები, რომ მათი ესმოდეთ და უსმენდნენ. ეს დამატებითი გამოწვევაა, რადგან შშმ პირებს ხშირად არა აქვთ ზოგადი განათლება მიღებული, არ დადიან საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში და შეხვედრებზე, და შედეგად, ხშირად დაბალი თვითშეფასება აქვთ. მიუხედავად ამისა, ზოგ შშმ პირს საუბარი და აზრის გამოხატვა შეუძლია. დარწმუნებული უნდა იყოთ, რომ შშმ პირები დაგეგმვისა და განვითარების მთელ პროცესში უნდა მონაწილეობდნენ. შეხვედრა, რომელსაც შშმ პირები ან შშმ პირთა ფოკუს-ჯგუფები ესწრებიან, საგანგებო ორგანიზებას მოითხოვს. მოიწვიეთ ისინი პერსონალურად ან საზოგადოებრივი, რელიგიური ლიდერების, საზოგადოებისა თუ ოჯახის წევრების ან ადგილობრივი შშმ პირების ორგანიზაციებისა და შეზღუდული შესაძლებლობების პროგრამების საშუალებით. ეს შეიძლება იყოს პირველი

შემთხვევა, რომ შშმ პირები აღიარეს, როგორც ძირითადი პროექტების, პროგრამების პოტენციური ბენეფიციარები ან ჰკითხეს გამოეთქვათ საკუთარი აზრი, წუხილი და მოთხოვნები.

აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ შშმ პირებმა ხშირად თვითონ იციან პრობლემის გადაწყვეტის გზები, მშვენივრად შეუძლიათ დაინახონ საზოგადოებაში მათ წინაშე არსებული ბარიერები და საზოგადოებიდან მათი გარიყვის მიზეზები. შშმ ქალბატონებს შეუძლიათ მოგიტხრონ იმ ორმაგ დისკრიმინაციაზე, რომელსაც ოჯახში და საზოგადოებაში განიცდიან. ძალიან ხშირად, ადამიანები, რომლებიც მოგიყვებიან მათ წინაშე არსებული ბარიერების შესახებ, თვითონვე გიჩვენებენ ამ ბარიერების გადალახვის გზებსაც.

მათი ჩართულობის მიზანი უნდა იყოს სხვებისთვის სამაგალითოდ “მძლოლის სავარძელში ჯდომა”. სრულფასოვანი მონაწილეობა მათ უფლებას აძლევს ჩაერიონ დაგეგმვის პროცესშიცა და მომდევნო ეტაპზეც.

პროექტში მონაწილეობის სხვადასხვა დონე არსებობს. ეს არის მონაწილეობის ლიმიტირებული ფორმა, როდესაც შშმ პირები უბრალოდ ინფორმირებულები არიან გადაწყვეტილებების შესახებ, მაგრამ მაინც ათვითცნობიერებენ, რომ საზოგადოებაში არსებობენ. როდესაც ჩვენი პროგრამების დაგეგმვისა და განვითარების პროცესში რჩევას ვეკითხებით შშმ პირებს და აუცილებელ უკუკავშირს ვქმნით, ჩვენ მათ ვუსმენთ. შშმ პირების სრულფასოვანი მონაწილეობა დაგეგმვის პროცესს საჭიროებებზე მორგებულს ხდის, ისევე როგორც გეგმის იმპლემენტაცია და აქტივობების განხორციელება. ასეთ ჩართულობას ერთობლივი დაგეგმვისა და გადაწყვეტილების მიღების კოორდინაციით უზრუნველვყოფთ. სადაც შესაძლებელია, აუცილებლად უნდა შევიმუშაოთ სტრატეგიები და აქტივობები, რათა მიზანმიმართულად ჩავრთოთ შშმ პირები პროექტების, პროგრამისა და აქტივობების დაგეგმვის,

მონიტორინგისა და შეფასების მთელ პროცესში. საბოლოოდ, იდეალურ შემთხვევაში, ჩვენ უნდა ვცადოთ და ისეთ მდგომარეობას მივაღწიოთ, როდესაც შშმ პირებსაც ექნებათ საშუალება “მძლოლის სავარძელში” აღმოჩნდნენ. თუ ეს მოხდება, ისინი სხვებისთვის სამაგალითოები გახდებიან და ცვლილებების აგენტების ფუნქციას შეასრულებენ. ამის შედეგი კი რეალური გაძლიერება იქნება.

არსებობს სოციალური ინკლუზიის სამი დონე: დასწრება, მონაწილეობა და მიღწევა, რომლებიც ასევე ვრცელდება პროექტის, პროგრამის დაგეგმვისა და განხორციელების დროს. მაგრამ ნუ დაკმაყოფილდებით მხოლოდ დასწრებით. როგორც კი პროგრამის თანამშრომლები გააცნობიერებენ შშმ პირების შესაძლებლობებს, საჭიროებებსა და უფლებებს, მათ შეუძლიათ ადვილად მოახდინონ შშმ პირების იდენტიფიკაცია და გაითვალისწინონ მათი მონაწილეობა არსებულ პროექტებში. მიუხედავად ამისა, მნიშვნელოვანია იმის გაცნობიერება, რომ ინკლუზია პროცესია; ის დასწრებით იწყება: მაგალითად, შშმ ბავშვების იდენტიფიცირება და სკოლაში ჩარიცხვა ხდება. შემდეგი ეტაპია მონაწილეობა: შშმ ბავშვები რეალურად მონაწილეობენ კლასში, სხვა ბავშვების მიერ მიღებულნი არიან და მასწავლებლები მომზადებულნი არიან მათ დასახმარებლად. ბოლო დონეა მიღწევა: შშმ ბავშვები იღებენ ატესტატს და განაგრძობენ პროფესიული ან უმაღლესი განათლების მიღებას. ინკლუზიის პირველი ეტაპი, დასწრება, შედარებით ადვილი მისაღწევია, მაგრამ მონაწილეობისა და მიღწევისკენ ნაბიჯები მეტ ინვესტიციას და ტრენინგებს მოითხოვს. პროგრამაში არსებული ბარიერები უნდა გადაილახოს.

*უნდა გვახსოვდეს, რომ შშმ პირს კი არ სჭირდება საკუთარი თავის პროექტში ადაპტაცია, ჩვენ უნდა მოვახდინოთ ჩვენი პროექტების ადაპტაცია იმგვარად, რომ ყველა ადამიანს შეეძლოს მასში ჩართვა.*

## სოციალური ინკლუზია ორგანიზაციის ჭრილში

როგორ გამოიყურება ინკლუზიური ორგანიზაცია? შშმ პირების ინკლუზია არ მოიცავს მხოლოდ პროექტებში და პროგრამებში ინკლუზიას, არამედ გულისხმობს ორგანიზაციულ ღირებულებებს, სისტემებსა და პოლიტიკას. თანაბარი მონაწილეობის ბარიერები მხოლოდ პროექტების შიგნით არ არსებობს, არამედ ჩვენს საკუთარ პოლიტიკაში, ოფისებსა და ვებ-გვერდებზე.

*მდგრადი ცვლილებებისთვის ჩვენ არა მხოლოდ შეზღუდული შესაძლებლობების ინკლუზიაზე ორიენტირებული პროექტები და პროგრამები გვჭირდება, არამედ შეზღუდული შესაძლებლობების ინკლუზიური ორგანიზაციები.*

რა არის შეზღუდული შესაძლებლობების მიმართ ინკლუზიური ორგანიზაციების კრიტერიუმები? და რა სახის ცვლილებების პროცესებია საჭირო, რომ შეზღუდული შესაძლებლობების ინკლუზიური ორგანიზაცია ჩამოყალიბდეს? ამისთვის მნიშვნელოვანია შემდეგი:

**ცვლილების ხედვა** - სასურველი ცვლილების ნათელი ხედვა დაეხმარება ადამიანებს გაიაზრონ, თუ რატომ უნდა გააკეთონ რაღაც განსხვავებულად. ამ შემთხვევაში, მათთვის გადაცემული ინფორმაცია და ინსტრუქციები მეტ აზრს შეიძენს. მნიშვნელოვანია, გაკეთდეს მარტივი გეგმა იმისა, თუ როგორ უნდა იმუშაოს თქვენმა ორგანიზაციამ შშმ პირების ინკლუზიაზე. ეს იწყება ნათელი მიზნის დასახვით: მაგალითად, იმის მტკიცებით, რომ შშმ პირები თქვენი მიზნობრივი ჯგუფის წევრებად ითვლებიან და თქვენ იღწვით ყველა პროგრამაში მათი თანაბარი მონაწილეობისთვის. თუ შესაძლებლობა არსებობს, ეს გეგმა კოლეგებთან ერთად შეადგინეთ (ისინი თავს ცვლილების პროცესის მესაკუთრებად

იგრძნობენ, თუ პირადად მიიღებენ მონაწილეობას მისი შექმნის პროცესში).

**ხედვის გაზიარება** - ხედვა უნდა გაუზიაროთ ხშირად და მტკიცედ; მან უნდა მოიცვას ყველაფერი, რასაც აკეთებთ. თუ ხედვას ყოველდღიურად განიხილავთ, მაშინ გადაწყვეტილებები ადვილად იქნება მიღებული, პრობლემები კი გადაჭრილი, ადამიანებს დაამახსოვრდებათ ისინი და საპასუხოდ იმოქმედებენ. მნიშვნელოვანია, „მოდრაობაში საუბარი“ - რას აკეთებთ გაცილებით უფრო დამაჯერებელია, ვიდრე რას ამბობთ. ინკლუზიის ხედვის გაზიარება მრავალი გზით შეიძლება. რა თქმა უნდა, ამის ყველაზე ფორმალური გზა არის თანამშრომლებისთვის ტრენინგების/გადამზადების ორგანიზება, მაგრამ ამის გარდა, შეგიძლიათ ინკლუზიის საკითხების სხვა, არაფორმალური გზებით ხაზგასმა, როგორებიცაა თანამშრომლებთან შეხვედრები და ჯგუფური გასვლითი ღონისძიებები.

**დაბრკოლებების გადალახვა** - ზოგი ადამიანი ეწინააღმდეგება ცვლილებებს, ხოლო ზოგი პროცესი და სტრუქტურა ზღუდავს ცვლილებების გატარებას. მიუხედავად ამისა, მნიშვნელოვანია, რომ დაბრკოლებები დაიდლოს, რათა ადამიანები გაძლიერდნენ ხედვის ცხოვრებაში გასატარებლად. ყოველთვის გამოჩნდება რაღაც მიზეზი, რომელიც ხელს შეგვიშლის ვიმოქმედოთ: „შშმ პირების ინკლუზია ძალიან ძვირი ჯდება“; „დონორებს ეს არ მოეწონებათ“; „ჩვენ ისედაც ბევრი საკითხი გვაქვს მოსაგვარებელი“.

**ორგანიზაციული ცვლილებების განმტკიცება** - ცვლილებები უნდა ღრმად გაუჯდეს ორგანიზაციას და გახდეს რუტინული პრაქტიკის ნაწილი ორგანიზაციის ყველა ასპექტში. ხედვის უკან არსებული ღირებულებები ყოველდღიურ საქმიანობაში უნდა ჩანდეს. შეუსაბამეთ პოლიტიკა და სისტემები ახალ ხედვას ისე, რომ ადამიანები ავტომატურად გაძლიერდნენ და შეძლონ მათი შესრულება. ძალიან მნიშვნელოვანი ასპექტია, თუ შშმ პირების ინკლუზია



განმტკიცებულია ორგანიზაციულ სისტემებში, როგორებიცაა - დაგეგმვა, მონიტორინგი და შეფასება ან ტრენინგის სახელმძღვანელოებში, ასევე, ორგანიზაციის წესდებაში შეტანილი შეზღუდული შესაძლებლობების განმტკიცებით - მაგალითად, როგორ უნდა გაითვალისწინოთ შეზღუდული შესაძლებლობები თქვენი ორგანიზაციის საერთო პოლიტიკასა და სტრატეგიაში; როგორ უნდა ჩაიდოს შეზღუდული შესაძლებლობის თემა მონიტორინგის არსებულ სისტემაში და როგორ უნდა გახადოთ თქვენი ორგანიზაციის ადამიანური რესურსების მართვის მენეჯმენტი შეზღუდული შესაძლებლობების მიმართ კეთილგანწყობილი.

## შშმ პირების დასაქმებასთან დაკავშირებული სტრატეგიები

დამსაქმებლები, რომლებიც სამუშაო ადგილებზე შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ადამიანებისთვის მეგობრულ/კეთილგანწყობილ გარემოს ქმნიან, ამდიდრებენ და აძლიერებენ ორგანიზაციულ უპირატესობებს. ასეთებია: მრავალფეროვანი ლიდერობა, ინოვაცია, საყოველთაო მორალის ამაღლება და თანამშრომელთა შერჩევის შესაძლებლობა უფრო ფართო ქსელიდან. არსებობს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ადამიანების მიმართ კეთილგანწყობილი რამდენიმე სახის სტრატეგია სამუშაო ადგილას :

- აიღეთ კორპორაციული ვალდებულება, რომ თქვენს ორგანიზაციაში მიიღებთ შშმ პირებს, რომელიც 'ტოპ-მენეჯმენტით' იწყება და მთელ ორგანიზაციაში ვრცელდება.
- ეცადეთ გაფანტოთ მითები შშმ პირების შესახებ ორგანიზაციის ყველა დონეზე ტრენინგების ჩატარების საშუალებით.

- უზრუნველყავით პერსონალის უწყვეტი განათლება შეზღუდული შესაძლებლობების შესახებ, რათა მათ შეძლონ უახლესი ინფორმაციის გამოყენება.
- შექმენით პირობები, რომ ყველა საშუალება და სერვისი ხელმისაწვდომი იყოს თანამშრომლებისთვის.
- უზრუნველყავით შესაფერისი პირობები შშმ აპლიკანტებისთვისა და თანამშრომლებისთვის, რათა მათ თავისი შესაძლებლობების გამოვლენის საშუალება მიეცეთ.
- ხელმისაწვდომობისა და შესაფერისი პირობების შესახებ დამატებითი ინფორმაციისთვის მოიძიეთ ინფორმაცია პროფესიონალებისგან.
- აცნობეთ საზოგადოებრივ/ სათემო ორგანიზაციებს, რომ თქვენი ორგანიზაცია შეზღუდული შესაძლებლობების მიმართ კეთილგანწყობილია. სისტემატიურად მიაწოდეთ ინფორმაცია თქვენს საზოგადოებრივ გაერთიანებას ან სახელმწიფო დაწესებულებებში არსებული პოტენციური ვაკანსიების შესახებ შეზღუდული შესაძლებლობების საკითხებზე მომუშავე ორგანიზაციებსა და სააგენტოებს, რათა შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე აპლიკანტები გამოგიგზავნონ.
- ისარგებლეთ იმ უპირატესობით და სიძლიერით, რასაც მრავალფეროვანი სამსახურებრივი კოლექტივი იძლევა. მიიღეთ სამსახურში შშმ პირები.
- უზრუნველყავით ტრენინგების ჩატარება და დაწინაურების შესაძლებლობა შშმ პირებისთვის. ხელი შეუწყვეთ კვალიფიციურ შშმ პირებს დაწინაურდნენ მაღალ მენეჯერულ თანამდებობებზე.

**ხელმისაწვდომობა, როგორც სოციალური ინკლუზიის მნიშვნელოვანი ბაზისი**

- ადამიანთა უმრავლესობა სიტყვის - „ხელმისაწვდომობა“ - გაგებისას წარმოიდგენს პანდუსს, ავტომატურ კარებს და

ადაპტურ ლიფტს. მიუხედავად იმისა, რომ ისინი გარკვეულ წილად მისაწვდომობას უზრუნველყოფენ, ეს მაინც არ არის სრული სურათი, რადგან ხელმისაწვდომობა ყველა იმ თვისებას/დეტალს ნიშნავს, რომელიც ხელმისაწვდომ გარემოს ქმნის. ხელმისაწვდომობის სტანდარტები არამარტო ისეა შემუშავებული, რომ მათი გამოყენება მხოლოდ ფართო სპექტრის შშმ ადამიანებმა (სმენადაქვეითებულებმა პირებმა, შეზღუდული კოგნიტური უნარებისა მქონე ადამიანებმა ან უსინათლოებმა) შეძლონ, არამედ ასეთი დიზაინი ყველასათვის მოსახერხებელია. პანდუსები შენობაში შესვლას უადვილებს მაგალითად, ხანდაზმულ პირებს, ბავშვიან ადამიანებს და შეკვეთების დამტარებელი პირებს. ფართო შესასვლელები და ბერკეტიანი სახელურები (levered handles) ყველას უმარტივებს კარების გაღებასა და შესვლას. აბრების/ფირნიშების მიმართ მოთხოვნები ყველას უადვილებს მათ დანახვასა და გაგებას.

*ტერმინი „წვდომა“ და „ხელმისაწვდომობა“ მოიცავს ხუთ სხვადასხვა მიმართულებას: არქიტექტურულს, პროგრამულს, ტექნოლოგიურს, საკომუნიკაციო და ალტერნატიულ ფორმატებს.*

მიუხედავად იმისა, რომ ყოველთვის არ არის შესაძლებელი სრული ხელმისაწვდომობის მიღწევა, ჭეშმარიტად ინკლუზიური გარემო მუდმივად იხვეწება, რათა ხელმისაწვდომობის ხარისხი გაიზარდოს.

არქიტექტურული ხელმისაწვდომობა - არქიტექტურულ ხელმისაწვდომობაში იგულისხმება „ამენებული“ გარემო და ამ უკანასკნელში მოძრაობის საშუალებები, იქნება ეს მანქანების სადგომი, ავტობუსის გაჩერებები თუ ქუჩები. არქიტექტურული ხელმისაწვდომობის უქონლობა მრავალი სახის შეზღუდულ შესაძლებლობებზე ახდენს გავლენას. ადვილი წარმოსადგენია, როგორი გავლენა ექნებოდა მობილობის პრობლემების მქონე ადამიანებზე კიბეებს, მაგრამ არქიტექტურულად

ხელმისაწვდომ შენობებში გათვალისწინებულია ფართო სპექტრის შშმ პირების მოთხოვნები, მათ შორის მხედველობის, მობილობის, სმენის და კოგნიტური შეზღუდული შესაძლებლობების საჭიროებები. ზოგჯერ არქიტექტურულად ხელმისაწვდომ გარემოს „ბარიერებისგან თავისუფალს“ უწოდებენ.

**პროგრამული ხელმისაწვდომობა** - არქიტექტურული ხელმისაწვდომობის საკითხების გარდა და მათგან განცალკევებით, თქვენი პროგრამის მოთხოვნებმა, პოლიტიკამ ან ოპერაციულმა პროცედურებმა შეიძლება დამატებითი პროგრამული ბარიერები შეუქმნას სრულყოფილ წვდომას. მაგალითად, პროგრამის მიხედვით არის თუ არა საჭირო, რომ თქვენს მონაწილეებს მძღოლის მოწმობა ჰქონდეთ სკოლიდან სკოლაში მანქანით სამოდრაოდ, რათა სტუდენტებს მეცადინეობები სხვადასხვა ადგილზე ჩაუტარდეთ? ამ შემთხვევაში მანქანის ტარება არსებითი ფუნქციაა თუ უბრალოდ ერთი ადგილიდან მეორეზე გადაადგილების საშუალება? პროგრამულმა გაუზრებელმა ბარიერებმა არ უნდა შეუწყონ ხელი იზოლირებას. არის თუ არა საჭირო, რომ მონაწილეებმა, რომლებისთვისაც კომპიუტერული კვლევების ჩატარება არსებითი ფუნქციაა, დილის 8 საათიდან საღამოს 5 საათამდე იმუშაონ? ეს მოთხოვნა შეიძლება იყოს ბარიერი ადამიანებისთვის, რომლებიც ისეთ მედიკამენტებს იღებენ, რომ ურთულდებათ დილით ადრე გაღვიძება ან ისეთებისთვის, ვისთვისაც ხელმისაწვდომი ტრანსპორტის მოძრაობის გრაფიკი არაპროგნოზირებადია და მხოლოდ გარკვეულ საათებში მოძრაობს. მოქნილი გრაფიკი არის ამ პრობლემების გადაწყვეტის გასაღები.

**ტექნოლოგიური ხელმისაწვდომობა** - ტექნოლოგია ინკლუზიის გაზრდის უაღრესად ღირებული საშუალება გახდა ფართო სპექტრის შშმ ადამიანებისთვის. ზოგიერთ შემთხვევაში, ტექნოლოგია სპეციალურად იქმნება შშმ პირებისთვის. გამამდიერებელი საკომუნიკაციო

მოწყობილობები, ეტლები, მოლაპარაკე მონიტორის მკითხველები - ყველა ამ მოწყობილობას იყენებენ შშმ პირები ხელმისაწვდომობისა და ინკლუზიის გაზრდისათვის. გახსოვდეთ, რომ ტექნოლოგიური ხელმისაწვდომობა ყოველთვის კომლექსურ ელექტრონულ მოწყობილობას არ ნიშნავს, ეს შეიძლება იყოს სრულიად მარტივი, საწერ კალამზე დატანებული რეზინის გარსი (რათა უკეთესად შეძლონ კალმის დაკავება). სხვა შემთხვევაში, ხელმისაწვდომობა არის ჩაშენებული/გათვალისწინებული საყოველთაო მოხმარების ტექნოლოგიებში. კომპიუტერები, ვებ-გვერდები, სატელეფონო სისტემები, და ტელევიზორები სულ უფრო ხელმისაწვდომი და გამოყენებადი ხდება ფართო სპექტრის შშმ პირებისთვის, მათ შორის, მხედველობის, სმენის, მობილობისა და კოგნიტური შეზღუდული შესაძლებლობების შემთხვევებში. ასეთ ტექნოლოგიებს ხშირად „უნივერსალურ დიზაინს“ უწოდებენ, რადგან მათი გამოყენება ყველა ადამიანს შეუძლია, მიუხედავად მისი შეზღუდული თუ შეუზღუდავი შესაძლებლობებისა.

მნიშვნელოვნად გასათვალისწინებელი ფაქტორია თქვენს ვებგვერდზე ხელმისაწვდომობის საკითხი. გახსოვდეთ, რომ ნებისმიერი აუდიო ინფორმაცია დაწერილი სახითაც უნდა არსებობდეს. "Alt ჩანართები"(Alt tabs), რომლებიც გრაფიკას აღწერენ, ხელმისაწვდომს ხდიან ვებ-გვერდებს იმ ადამიანებისთვის, რომლებიც ეკრანის მკითხველებს იყენებენ. სასარგებლო ინფორმაცია თქვენს ვებგვერდზე ხელმისაწვდომობის საშუალებების ჩართვის შესახებ შეგიძლიათ იხილოთ ვებგვერდზე [www.cast.org](http://www.cast.org).

კომუნიკაციის ხელმისაწვდომობა - სმენის, მეტყველების, კოგნიტური ან განსაკუთრებული საგანმანათლებლო საჭიროების მქონე ადამიანები შეგიძლიათ უზრუნველყოთ საკომუნიკაციო ხელმისაწვდომობით. რაც ნიშნავს ტექნოლოგიებითა და სერვისებით უზრუნველყოფას, რომლებიც ალტერნატიული კომუნიკაციის საშუალებას

იმლევა. ასეთ შემთხვევებში ყურადღებას ამახვილებენ ექვივალენტურ გამოცდილებასა და ინფორმაციის ეფექტურ მიწოდებაზე. ეს კი ზოგჯერ სიტუაციაზე დაფიქრებასა და დისკუსიას მოითხოვს.

**ალტერნატიული ფორმატები** - მხედველობის დარღვევის მქონე ადამიანებს ბეჭდური მასალა ალტერნატიულ ფორმატში უნდა მიეწოდოთ. არსებობს ალტერნატიული ფორმატების ფართო სპექტრი, მათ შორის ბრაილი, ტექსტური ფაილი, მსხვილი პრინტი და აუდიო ჩანაწერი. მოთხოვნილი ფორმატი დროულად უნდა იყოს მიწოდებული. ინკლუზიური პროგრამა უზრუნველყოფს ალტერნატიულ ფორმატში ინფორმაციის მიწოდებას იმავე ვადებში, რომლებშიც ბეჭდვითი ინფორმაციის მიწოდება ხდება.

ალტერნატიული ფორმატის მაგალითებია:

- მსხვილი შრიფტით დოკუმენტების მოსამზადებლად, იკითხეთ რომელ ფონტს ანიჭებენ უპირატესობას და მასალა მსხვილი შრიფტის ამობეჭდეთ.
- კომპიუტერის ეკრანის მკითხველისთვის ხელმისაწვდომი დოკუმენტის მოსამზადებლად, შეინახეთ ის, როგორც ტექსტური ფაილი, შემდეგ დაურთეთ/მიაბით ელექტრონულ ფოსტას ან გააკეთეთ კოპირება დისკზე.

## სოციალური ინკლუზიის ეკოლოგიური მოდელი

სოციალური ინკლუზიის უზრუნველსაყოფად, მნიშვნელოვანია მისი კომპლექსურად განხილვა. ამის ერთ-ერთ მნიშვნელოვან სტრატეგიას წარმოადგენს ეკოლოგიური მიდგომა, რომელიც განიხილავს, თუ როგორ მოქმედებს ინდივიდუალური, ინტერპერსონალური, ორგანიზაციული, საზოგადოებრივი და სოციო-პოლიტიკური ცვლილებები ინტერპერსონალურ ურთიერთობებსა და საზოგადოებრივ ჩართულობაზე. სოციალური ინკლუზიის ეკოლოგიური მოდელი კარგად არის მორგებული განვითარების

შეფერხებების დარგის ფართო ტენდენციებთან, რომლებიც შეზღუდულ შესაძლებლობებს განიხილავენ, როგორც ინდივიდუალური, გარემოსა და სოციალური ფაქტორების პროდუქტს. ეკოლოგიურ პირობებს შეუძლიათ ხელი შეუწყონ ან შეუშალონ სოციალურ ინკლუზიას, ამგვარად, ამ ცვალებადობებს როგორც ხელსაყრელ, ისე ხელისშემშლელ პირობებად მივიჩნევთ. გარდა ამისა, ჩვენ ვაცნობიერებთ იმ გზებს, რომლებსაც სოციალური ინკლუზიის შესაძლო პოზიტიურ თუ ნეგატიურ შედეგებამდე მივყავართ. ჩვენი მაგალითები ეკოლოგიური პირობებისა და მათი შედეგების შესახებ არ არის ამომწურავი, ისინი უფრო იმ გზებს გვთავაზობენ, რომლებიც სამომავლო კვლევებში სოციალური ინკლუზიის მიმართ ეკოლოგიურ მიდგომას ითვალისწინებს.

**ინდივიდი** - ინდივიდუალური შეუზღუდავი/შეზღუდული პირობები მოიცავს პიროვნების ფუნქციონირების, თვითმოტივაციის, თავდაჯერებულობის, ტერიტორიისა და აქტივობების ცოდნისა და მიზანდასახულობის გამოყენების დონეს. სოციალური ინკლუზიის ინდივიდუალური შედეგები შეიძლება იყოს მომატებული ბედნიერების, კუთვნილების გრძნობა და გაუმჯობესებული თვითშეფასება.

**ინტერპერსონალური** - ინტერპერსონალური შეუზღუდავი/შეზღუდული პირობები შეიძლება მოიცავდეს ურთიერთობას პერსონალთან, მათ დამოკიდებულებას, ოჯახის დამოკიდებულებას, ოჯახებისა და პერსონალის ურთიერთობასა და ოჯახებში ურთიერთობას. ოჯახის წევრები და პერსონალი დიდ როლს თამაშობენ შეზღუდული ინტელექტუალური შესაძლებლობისა და განვითარების შეფერხებების მქონე ადამიანების ცხოვრებაში და ხელს უწყობენ მათი ურთიერთობების შენარჩუნებასა და საზოგადოებრივ ცხოვრებაში მონაწილეობას. პოზიტიური ინტერპერსონალური ურთიერთობები შეიძლება მოიცავდეს ადამიანებს შორის პატივისცემისა და ნდობის ჩამოყალიბებას და გაზრდილ სოციალურ კაპიტალს. ინტერპერსონალურ

ურთიერთობებს შეიძლება ნეგატიური შედეგები მოჰყვეს, როგორცაა დისკრიმინაცია დასაქმების სფეროში ან პარტნიორის მხრიდან ფიზიკური შეურაცხყოფა, თანამშრომლის, ოჯახის წევრის ან სერვისის სხვა მომხმარებლების მხრიდან შეურაცხყოფა. აქედან გამომდინარე, ზოგ ინტერპერსონალურ ფაქტორს შეიძლება მოჰყვეს სოციალური კაპიტალის შემცირება და თავმოყვარეობის შელახვა.

**ორგანიზაციული** - ორგანიზაციული პირობები არაფორმალური ქსელების (როგორცაა ოჯახი) და ფორმალური ქსელების (როგორცაა სამსახური ან ჯგუფური სახლები) შიგნით არსებობს. ორგანიზაციული დონის პირობები ოჯახებისთვის მოიცავს სოციო-ეკონომიკურ სტატუსს, სოციალურ კაპიტალსა და ოჯახურ კულტურას. ორგანიზაციული დონის პირობები ჯგუფური სახლების შიგნით მოიცავს ოჯახური სახლების კულტურას, მისიას, მენეჯერების დამოკიდებულებას, პერსონალისთვის ტრენინგების შესაძლებლობასა და საკომუნიკაციო სერვისების ხელმისაწვდომობას. თვითაღვოკატირების ორგანიზაციებს, რომლებშიც ამის საშუალება არსებობს, აგრეთვე, სხვადასხვა სახის ჯგუფური კულტურა აქვთ, იმის მიხედვით, თუ რა თვითმმართველობისა და თვითგამორკვევის შესაძლებლობები გააჩნიათ. ორგანიზაციული დონის პირობები მოიცავს საზოგადოების შიგნით არსებულ კულტურას, როგორცაა ეკლესიები, სკოლები, დასაქმების ცენტრები და სამართალდამცავი ორგანიზაციები. სოციალური ინკლუზიის ორგანიზაციული შედეგები შეიძლება მოიცავდეს ცვლილებებს ორგანიზაციულ კულტურაში, რადგან შესაძლებელია, რომ კულტურებმა უფრო გაამყაროს ინკლუზია. მტრულმა ან ამბივალენტურმა ორგანიზაციულმა კულტურებმა შეიძლება შეასუსტოს ხელშემწყობი პირობები ინდივიდუალურ და ინტერპერსონალურ დონეზე, ხოლო დადებითმა ორგანიზაციულმა კულტურებმა გააძლიეროს ინდივიდუალური და ინტერპერსონალური პირობების ეფექტურობა. აქედან



გამომდინარე, მნიშვნელოვანია, გვახსოვდეს პირობათა ურთიერთმიმართება სხვადასხვა დონეზე.

**საზოგადოება/თემი** - საზოგადოებრივი/სათემო დონის პირობები მოიცავს საცხოვრებლის ტიპს, როგორებიცაა: ზომა და გარემო; შესაბამისი სერვისებისა და ტრანსპორტის, ინტერნეტ - კავშირებისა და რესურსების არსებობასა და ხელმისაწვდომობას. სათემო პირობები, აგრეთვე, მოიცავს საზოგადოების დამოკიდებულებას, კულტურას, გეოგრაფიას, დისკურსს, შეხედულებებს. მაშინ, როდესაც შშმ პირებთან კონტაქტი უფრო პოზიტიურ დამოკიდებულებას უნდა მოასწავებდეს, ყოველთვის ასე არ ხდება. მკვლევარებმა დაადგინეს, რომ კონტაქტის ეფექტიანობა დამოკიდებულია მის ხარისხზე და რომ ზოგჯერ საქმიანი კავშირი აძლიერებს სტერეოტიპებს.

**სოციალურ-პოლიტიკური** - პოლიტიკური პირობები გულისხმობს კანონებს და სამართალდამცავ ორგანოებს, ბაზრის გავლენას, სახელმწიფოს პერსპექტივებს და სერვისის მიწოდების ისტორიას. მცირე კვლევა მიმოიხილავს, თუ არა გავლენას ახდენს სოციალური ინკლუზია პოლიტიკურ ცვლილებებზე, მაგრამ ვინაიდან პოლიტიკური ცვლილებები ხშირად ჯგუფების მობილიზაციის შედეგია - მშობლების, პროფესიონალებისა და თვითადვოკატების ჩათვლით - სოციალური ინკლუზიის გაზრდას შეიძლება პოლიტიკური შედეგებიც ჰქონდეს. უფრო მეტიც, პოლიტიკური დონის პირობები გავლენას ახდენს ქცევაზე, რადგან საკონონმდებლო შემცირებები უფრო მეტი წნეხის ქვეშ აქცევს ოჯახებს და ნეგატიურ გავლენას ახდენს ორგანიზაციულ კულტურასა და პერსონალის ქცევაზე.

ეკოლოგიური მოდელი უზრუნველყოფს სოციალური ინკლუზიის ყოვლისმომცველ და თანმიმდევრულ მოდელს, რომელიც მოიცავს სოციალურ ინკლუზიაზე გავლენის მქონე ფაქტორების სისტემურ პერსპექტივას.

## სოციალური ინკლუზიის კონცეფციის კავშირი სხვა კონცეფციებთან

როდესაც სოციალური ინკლუზიის განმარტებათა რიცხვი იზრდება და ერთმანეთს ემიჯნება, მაშინ ეს კონცეფცია სხვა კონცეფციებთან ტოლფასი/ურთიერთშენაცვლებადი ხდება - ეს შეხედულებათა სისტემები მოიცავს სოციალურ ურთიერთობებსა და კაპიტალს, საზოგადოებრივ ჩართულობას, დამოუკიდებელ ცხოვრებასა და კუთვნილების გრძნობის განცდას. როდესაც მკვლევრები, პოლიტიკოსები და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები სოციალურ ინკლუზიას, ძირითადად, ინტერპერსონალური ურთიერთობებით განსაზღვრავენ, სოციალური ინკლუზია სოციალურ ურთიერთობებთან ან ქსელებთან ტოლფასი ხდება.

სოციალური ინკლუზიის განმარტებანი ასევე შეიძლება ნაწილობრივ დაემთხვეს საზოგადოებრივი ჩართულობის კონცეფციას იმის გამო, რომ საზოგადოებრივ ჩართულობას ასევე აქვს ფართო განმარტებები, რომლებიც საზოგადოებრივ ჩართულობას ხსნის, როგორც მონაწილეობას ოჯახურ ცხოვრებაში, ინტერპერსონალურ ურთიერთობებში, ცხოვრების ძირითად სფეროებში, რომლებიც მოიცავს განათლებასა და დასაქმებას, საზოგადოებრივ, სამოქალაქო და სოციალურ ცხოვრებას.

სოციალური ინკლუზია ასევე შეიძლება ურთიერთშენაცვლებადი გახდეს სოციალურ კაპიტალთან მიმართებაში. ეს მაშინ ხდება, როდესაც სოციალური ინკლუზია გულისხმობს იმ უპირატესობას/სარგებელს, როგორცაა გაზრდილი ნდობა და პერსონალური ურთიერთობების ეფექტურობა, რაც სოციალური ქსელებისა და საზოგადოებრივი

ჩართულობის შედეგია. სოციალური ინკლუზიის მსგავსად, სოციალური კაპიტალიც კომპლექსურ მრავალგანმარტებიან კონცეფციას წარმოადგენს. რობერტ პუტნამი (სოციალური კაპიტალის თეორიის ერთ-ერთი წამყვანი სპეციალისტი) სოციალურ კაპიტალს განმარტავს, როგორც „სოციალური ცხოვრების ნიშნებს - ქსელებს, ნორმებს და ნდობას - რომლებიც საშუალებას აძლევს მონაწილეებს ერთად უფრო ეფექტურად იმოქმედონ საერთო მიზნების მისაღწევად“. თუმცა, სხვაგან, პუტნამი სოციალურ კაპიტალს შემდეგნაირად განმარტავს - „ქსელები და მასთან დაკავშირებული ნაცვალგების ნორმები, რომელთაც მნიშვნელობა/ღირებულება გააჩნია“.

როდესაც სოციალური ინკლუზიის განმარტებანი მოიცავს კუთვნილების სუბიექტურ გრძნობებსა და მიძღვრულობას, მაშინ სოციალური ინკლუზია კუთვნილების გრძნობასთან ურთიერთშენაცვლებადი ხდება.

ზოგიერთი მკვლევარი ამტკიცებს, რომ სოციალური ინკლუზიის კონცეფცია ურთიერთშენაცვლებადია დამოუკიდებელ ცხოვრებასთან. სოციალური ინკლუზიის ფართო განმარტებები მოიცავს დამოუკიდებელ ცხოვრებას განსაზღვრულ ფარგლებში. ზოგიერთი მკვლევარი კი ამტკიცებს, რომ დამოუკიდებელი ცხოვრება და სოციალური ინკლუზია ურთიერთდაკავშირებულნი არიან და შშმ პირთა უფლებათა კონვენცია ხელს უწყობს დამოუკიდებელ ცხოვრებას „სოციალური კავშირების გაძლიერების“ საშუალებით. სოციალური ინკლუზიის ჩვენი მიმოხილვის პერსპექტივით, კონცეფცია ასევე ურთიერთდაკავშირებულია საზოგადოებრივ ჩართულობასთან, კუთვნილებასა, და სოციალურ ურთიერთობებთან. ამდენად, იმ დროს, როცა ვიწრო კონცეფციები ნაკლებ მნიშვნელობას ანიჭებს საზოგადოებას, სოციალური ინკლუზიის ფართო განმარტებები

ურთიერთმენაცვლებადი ხდება საზოგადოებრივ ჩართულობასთან, სოციალურ კაპიტალსა და კუთვნილებასთან.

### რას ნიშნავს სოციალური კაპიტალი და რატომ არის იგი მნიშვნელოვანი სოციალური ინკლუზიისთვის

ტერმინი სოციალური კაპიტალი ფართოდ გამოიყენება ჯანდაცვის, საგანმანათლებლო და საზოგადოებრივ პროგრამებში. მაგალითად, მსოფლიო ბანკი (The World Bank) სოციალურ კაპიტალს იყენებს, როგორც ეკონომიკური ზრდის პეროდში გამოსაყენებელ საშუალებას, როგორც აუცილებელ სოციალურ მიზიდულობას, რომელიც გათავისუფლებულ ბაზარს სასწაულების მოხდენის საშუალებას აძლევს. პოლიტიკოსები და საზოგადოების დაგეგმვის ექსპერტები, როგორც წესი, სოციალურ კაპიტალს განსაზღვრავენ, როგორც სოციალური ურთიერთობების ქსელს, რომელიც ეხმარება ადამიანებს ურთიერთთანხმობაში იცხოვრონ და უფრო ეფექტურად იმოქმედონ, ვიდრე, როგორც ინდივიდებს, მარტო მოქმედების შემთხვევაში. ტერმინი თავსებადია ადამიანის ნდობასთან, ურთიერთგაგებასა და ნაცვალგებასთან და ისეთ ქმედებასთან, რომელიც ადამიანებს სარგებლობას მოუტანს, როგორც ინდივიდებს, ჯგუფებსა და საზოგადოების წევრებს. სოციალური კაპიტალი “ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის” (OECD) მიერ განმარტებულია, როგორც „ქსელები, გაზიარებულ ნორმებთან, ღირებულებებსა და წარმოდგენებთან ერთად, რომლებიც ჯგუფების შიგნით და ჯგუფებს შორის თანამშრომლობას უწყობს ხელს.“ ამ განმარტებაში ჩვენ შეგვიძლია მოვიაზროთ ქსელები, როგორც რეალურ სამყაროში არსებული ბმულები ჯგუფებსა და ინდივიდებს შორის. ესენია: მეგობართა, ოჯახური, ყოფილი კოლეგების ქსელები და ა.შ. ჩვენს მიერ გაზიარებული ნორმები, ფასეულობები და წარმოდგენები ნაკლებად

კონკრეტულია, ვიდრე ჩვენი სოციალური ქსელები.

არსებობს ორი საერთო მიდგომა სოციალური კაპიტალის მიმართ. პირველი განსაზღვრულია კოლემანის მიერ, როგორც რესურსი, რომელიც ემატება ინდივიდს მისთვის ხელმისაწვდომი კონტაქტების, კავშირებისა და გაერთიანებების საშუალებით. ის აღიარებს ქსელების მნიშვნელობას, როგორც ეფექტურ აქტივებს. ცხადია, ადამიანები, რომლებსაც შეუძლიათ თავისი ქსელების გაფართოება და მათი ეფექტურად გამოყენება, ითვლებიან სოციალური კაპიტალის მქონეებად. სოციალური კაპიტალი აგრეთვე განისაზღვრება, როგორც არსებული და პოტენციური რესურსების ერთობლიობა, რომლებიც დაკავშირებულია საერთო ნაცნობების მყარი ქსელის მეტ-ნაკლებად ინსტიტუციონალიზებულ ურთიერთობებსა და აღიარებასთან. ის მხოლოდ პრაქტიკულ მდგომარეობაში შეიძლება არსებობდეს (მატერიალური ან/და სიმბოლური ურთიერთგაცვლა, რომელიც ხელს უწყობს მის შენარჩუნებას). ის აგრეთვე შეიძლება სოციალურად წამოწყებული და გარანტირებული იყოს ოჯახის, კლასის, სკოლისა და პოლიტიკური პარტიის განაცხადის საფუძველზე.

**რას წარმოადგენს სოციალური კაპიტალი:** სოციალური კაპიტალის კონცეფცია პოპულარული გახდა შედარებით ცოტა ხნის წინ, მაგრამ ამ ტერმინს იყენებდნენ თითქმის საუკუნის მანძილზე, ხოლო მასში მოაზრებული იდეები გაცილებით უფრო მეტ ხანს ითვლის. „სოციალური კაპიტალი“ პირველად გამოჩნდა 1916 წელს, აშშ-ში გამოცემულ წიგნში, რომელშიც განხილული იყო, თუ როგორ უნდა იმუშაონ ერთობლივად მეზობლებმა სკოლების გასაკონტროლებლად. წიგნის ავტორი, ლიდა ჰანიფანი, განიხილავს სოციალურ კაპიტალს, როგორც „ადამიანთა ცხოვრებაში ყველაზე მნიშვნელოვან მატერიალურ აქტივებს: კერძოდ, კეთილგანწყობას, მეგობრობას, თანაგრძნობას და ინდივიდებსა და ოჯახებს შორის სოციალურ ურთიერთობას, რომელიც სოციალურ ერთეულს ქმნის“. ეს

აყალიბებს გარკვეულ შეხედულებას, თუ რა მოიაზრება სოციალურ კაპიტალში, თუმცა დღესდღეობით, რთული იქნებოდა შემოფარგვლა ერთი განმარტებით, რომელიც ყველას დააკმაყოფილებდა. სიმარტივისთვის, ჩვენ სოციალური კაპიტალი შეგვიძლია მოვიაზროთ, როგორც ბმულები, გაზიარებული ღირებულებები და წარმოდგენები საზოგადოებაში, რომლებიც საშუალებას აძლევს ინდივიდს და ჯგუფებს ენდონ ერთმანეთს და ერთად იმუშაონ. სოციალური კაპიტალი განსხვავდება სხვა სახის კაპიტალისგან, რადგან ის ფარდობითია და არ შეიძლება რომელიმე ერთი ინდივიდის საკუთრება იყოს. სოციალური კაპიტალი შექმნილია იმ ადამიანების მიერ, რომლებმაც მასში დრო და ძალისხმევა ჩადეს. ის ისტორიული, კულტურული, და სოციალური ფაქტორების შედეგია, რომლებიც წარმოშობენ სოციალურ ურთიერთობებს, ღირებულებებსა და ნორმებს, აერთიანებენ ადამიანებს ქსელებში, რომელთა საბოლოო შედეგია კოლექტიური ქმედებები.

### სოციალური კაპიტალის სახეები:

ბევრს კამათობენ სხვადასხვა ფორმაზე, რომელსაც სოციალური კაპიტალი ღებულობს, მაგრამ ერთი საკმაოდ სწორხაზოვანი მიდგომა მას სამ ძირითად კატეგორიად ყოფს:

- **კავშირები (Bonds):** საერთო იდენტობის („ჩვენნაირი ხალხი“) შეგრძნებაზე დაფუძნებული კავშირები - როგორებიცაა ოჯახი, ახლო მეგობრები და ადამიანები, რომლებიც იზიარებენ ჩვენს კულტურასა და ეთნიკურ კუთვნილებას. ისინი შეიძლება მოიცავდნენ კავშირებს ოჯახების წევრებს შორის, საერთო ინტერესების მქონე ადამიანებსა და ეთნიკურ ჯგუფებს შორის. ეს ხალხი მნიშვნელოვანია, რადგან ისინი იზიარებენ საერთო

კომუნიკაციებს, რომელიც მათ ერთმანეთს აახლოებს.

- **ხიდები (Bridges):** ბმულები, რომლებიც ვრცელდება იდენტობის გრძნობის მიღმა, მაგალითად შორეული მეგობრები, კოლეგები და თანამოაზრეები. 'ხიდის გადება' ნიშნავს ურთიერთობებს, რომელიც გვაქვს ჩვენგან განსხვავებულ ადამიანებთან. ეს შეიძლება იყვნენ ადამიანები განსხვავებული სოციალური წრიდან, თაობიდან ან კულტურული ჯგუფიდან. მათი არსებობა ძალიან მნიშვნელოვანია, რადგან მოაქვთ ახალი იდეები, პერსპექტივები და გადაწყვეტილებები.
- **ბმულები (Linkages):** ბმულები ხალხთან და ჯგუფებთან სოციალურ კიბეზე ასასვლელად ან ჩამოსასვლელად. სოციალური კაპიტალის 'დაკავშირება' გამოხატავს ურთიერთობებს, რომელიც ადამიანებს აქვთ ძალაუფლების მქონე პირებთან. სოციალური კაპიტალის დაკავშირება საშუალებას აძლევს ინდივიდებს და საზოგადოებრივ ჯგუფებს გამოიყენონ რესურსები, იდეები და ინფორმაცია ფორმალური ინსტიტუტებიდან, რომლებიც შეიძლება საზოგადოების გარეთ იდგნენ. ეს ხალხი მნიშვნელოვანია, რადგან ისინი ხშირად გადაწყვეტილების მიმღები საკვანძო პირები არიან.

სოციალური კაპიტალის პოტენციური სარგებლობა შეიძლება დავინახოთ სოციალურ კავშირებში. მეგობრებსა და ოჯახებს მრავალმხრივი დახმარების გაწევა შეუძლიათ - ემოციური, სოციალური და ეკონომიკური. დიდ ბრიტანეთში, მაგალითად, სამთავრობო მიმოხილვამ დაადგინა, რომ ბევრი ადამიანი პოულობს სამსახურს პირადი კონტაქტებისა და განცხადებების საშუალებით. ასეთი მხარდაჭერა კიდევ უფრო მნიშვნელოვანი შეიძლება იყოს ისეთ ქვეყნებში, რომლებშიც კანონის უზენაესობა სუსტია ან იქ სახელწიფოები ძალიან მწირ

სოციალურ სერვისებს სთავაზობენ: ოჯახურ კლანებს შეუძლიათ დააფინანსონ ნათესავების განათლება, სამსახურში მოწყობა, ობლებისა და ხანდაზმულების მოვლა. მაგრამ კავშირებს, ასევე, შეუძლიათ ხელი შეუშალონ ადამიანებს. თითქმის როგორც განმარტებაშია, მჭიდროდ შეკრულ საზოგადოებებს, როგორცაა ემიგრანტების ზოგიერთი ჯგუფი, მჭიდრო სოციალური კავშირები აქვთ, რომლებშიც ინდივიდები ძალიან არიან დამოკიდებული ნათესავების მხარდაჭერაზე. იმავდროულად, სოციალური ხიდების არარსებობას შეუძლია გადააქციოს ისინი ფართო საზოგადოებისგან მარადიულ “აუტსაიდერებად”, რაც ზოგჯერ აფერხებს მათ ეკონომიკურ პროგრესს. რა თქმა უნდა, სოციალური ექსკლუზია ორმხრივად მუშაობს: მჭიდროდ შეკრულმა ჯგუფებმა შეიძლება თვითონ გამორიცხონ/გარიყონ საკუთარი თავი საზოგადოებისგან, მაგრამ, ასევე შეიძლება გარიყულები იყვნენ ფართო საზოგადოებისგან. როგორც კაპიტალის ყველა სხვა ფორმას, სოციალურ კაპიტალსაც, შეუძლია ზიანი მიაყენოს სხვა ადამიანებს. კომპანიები და ორგანიზაციები შეიძლება დაზარალდნენ, თუ არასწორი სახის სოციალური კაპიტალი გააჩნიათ - ურთიერთობა კოლეგებს შორის, რომლებიც მხოლოდ საკუთარ თავზე ზრუნავენ და არ აინტერესებთ, რა ხდება გარე სამყაროში. ამის საპირისპიროდ, უნდა აღვნიშნოთ რომ სოციალურ კაპიტალს ბიზნესის ხელშეწყობაც შეუძლია.

საზოგადოებაში სოციალური კაპიტალის იდენტიფიცირების ერთ-ერთი გზაა აქტივების/რესურსების რუქის შედგენა. აქტივების/რესურსების შედარება არის შესაძლებლობების მოძიების/აღმოჩენის პროცესი, რომელიც ბუნებრივად ჩნდება საზოგადოების შიგნით მისივე გასაუმჯობესებლად. ‘საზოგადოება’ არის ადამიანთა ჯგუფი, რომელიც გაერთიანდა საერთო ნიშნებით, როგორცაა გეოგრაფია, დემოგრაფია ან ინტერესები. უნარები, ნიჭი, გამოცდილება (პროფესიული და/ან პირადი), რესურსები,



ლიდერობა და ქსელები - ეს ის აქტივებია, რომელნიც ინდივიდებს შეუძლიათ მიიტანონ საზოგადოებაში. საზოგადოების აქტივების რუკა საშუალებას იძლევა შედგეს პოტენციური დაგეგმვის პროცესის მონაწილეების სია. ის შეიძლება მოიცავდეს:

- ინდივიდები
- ჯგუფები, რომლებიც უკვე მუშაობენ საზოგადოების შიგნით, როგორებიცაა: ეკლესიები, საგანმანათლებლო დაწესებულებები, მოხუცებულთა სახლები, სასწრაფო/საგანგებო დახმარების განყოფილებები, საავადმყოფოები და ბიბლიოთეკები.
- ადგილობრივი, რაიონული და ცენტრალური დაწესებულებები, მცირე/საშუალო ბიზნესები და სატელეკომუნიკაციო კორპორაციები

## სოციალური კაპიტალი და შშმ პირები

ძალიან მნიშვნელოვანია ოჯახის/მშობლის მონაწილეობა და ადვოკატირება იმ ადამიანების ცხოვრებაში, რომლებმაც ახლად დაიწყეს სოციალური კაპიტალის მობილიზაციის საკუთარი საშუალებების განვითარება. სოციალური კაპიტალი გულისხმობს, რაც შეიძლება ბევრი კავშირის ჩამოყალიბებას და შენარჩუნებას, პიროვნების პირველად სოციალურ კავშირებს გარეთ.

დაკავშირება სოციალურ სტრუქტურებთან (მაგ. მოხალისეთა ორგანიზაციებთან, ადვოკატირების ასოციაციებსა და სამსახურთან დაკავშირებულ ჯგუფებთან) ძალიან მნიშვნელოვანია მეგობრობის ჩამოყალიბებასა და სხვადასხვა სოციალურ მხარდამჭერ ჯგუფებთან დაკავშირებაში.

## სოციალური კაპიტალი და ინტერნეტ-საზოგადოება.

ინტერნეტი შედარებით ახალი ასპარეზია, რომელშიც შშმ პირებს შეუძლიათ შექმნან ახალი ინტერნეტ საზოგადოებები. დღეს ითვლება, რომ ინტერნეტ ჩართულობა ინტერპერსონალურ ურთიერთობებში არსებული პრობლემების გადალახვის ერთ-ერთი გზაა. კიბერ/ინტერნეტ სივრცის სწრაფი ზრდის წყალობით, სოციალური კაპიტალის შექმნისა და განვითარების მრავალი გზა გაჩნდა. ინტერნეტს უდიდესი პოტენციალი აქვს სოციალური კაპიტალისა და ნდობის გაზრდისთვის, რადგან ის არ განასხვავებს შშმ და არა შშმ პირებს.

სამი კომპონენტი ასრულებს მნიშვნელოვან როლს მის განვითარებაში: (1) ინტერნეტ-ქსელების სტრუქტურა, (2) ქსელებში ინფორმაციის ნაკადი და (3) ქსელების შიგნით ადამიანური ურთიერთობების ფორმირება, რომელიც, ამკარაა, ინტერნეტში სოციალური კაპიტალის ყველაზე მნიშვნელოვანი შედეგია.

## 6. შშმ ახალგაზრდების დამოუკიდებელი ცხოვრების ხელშეწყობა

დამოუკიდებელი ცხოვრების ფილოსოფია

*დამოუკიდებელი ცხოვრება არის ფილოსოფია, შეზღუდული შესაძლებლობების მიმართ ხედვა, შშმ პირთა მსოფლიო მოძრაობა თვითგამორკვევის, თვითპატივისცემისა და თანაბარი შესაძლებლობების მისაღწევად.*

შეზღუდულ შესაძლებლობებზე არსებული, წინასწარ აკვიატებული ცნებები და ძირითადად, სამედიცინო შეხედულებები, ხელს უწყობს შშმ პირების მიმართ ნეგატიურ განწყობას. მათ ხშირად ხატავენ, როგორც ავადმყოფ, არასრულფასოვან და დევიანტურ პირებს, პროფესიული ჩარევის ობიექტებს, ტვირთს საკუთარი თავის, ოჯახისთვის და სხვა ადამიანების ქველმოქმედებაზე დამოკიდებულებს. მსგავსი, ღრმად გამჯდარი შეხედულებების შედეგია შეზღუდვები სოციალურ ინკლუზიაში, განათლების მიღებისას, დასაქმების დროს ან პირადი ცხოვრების უზრუნველყოფასა და საკუთარი ოჯახების შექმნაში.

თავდაპირველად აშშ-ში, 1960-იან წლებში დაფუძნებულია, სამოქალაქო უფლებების შედეგად აღმოცენებულმა დამოუკიდებელი ცხოვრების მოძრაობამ შეცვალა განათლებისა და რეაბილიტაციის სპეციალური ექსპერტების კონცეფცია ინტეგრაციის, ნორმალიზაციისა და რეაბილიტაციის შესახებ ახალი, თავად შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების მიერ შემუშავებული პარადიგმით. პირველი დამოუკიდებელი ცხოვრების იდეოლოგიები და ორგანიზატორები იყვნენ ფართო სპექტრის შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირები.

დღესდღეობით კი მოძრაობის გზავნილს კვლავ ყველაზე ადვილად იზიარებენ ის ადამიანები, რომელთა ყოფა დამოკიდებულია დახმარებაზე ყოველდღიურ ცხოვრებისეულ აქტივობებში, ვინაიდან ისინი ყველაზე მეტად საჭიროებენ მეურვეობას, პატერნალისტურ დამოკიდებულებასა და პროფესიონალების კონტროლს.

*დამოუკიდებელი ცხოვრების ფილოსოფია ამტკიცებს, რომ შშმ პირები თავისი საჭიროებების განსაზღვრაში საუკეთესო ექსპერტები არიან, მათ უნდა აიღონ ინიციატივა ხელში, როგორც ინდივიდებმა და ჯგუფებმა, საუკეთესო გადაწყვეტილებების მოსაფიქრებლად და ხელშესაწყობად და ორგანიზება გაუწიონ საკუთარ თავს პოლიტიკურ ძალად ჩამოყალიბებაში.*

გარდა დეპროფესიონალიზაციისა და თვითწარმომადგენლობისა, დამოუკიდებელი ცხოვრების იდეოლოგია ითვალისწინებს დეინსტიტუციონალიზაციას. დამოუკიდებელი ცხოვრების ფილოსოფიის თანახმად, შშმ პირები, პირველ რიგში, მოქალაქეებად განიხილებიან და მხოლოდ ამის შემდეგ ჯანდაცვის, რეაბილიტაციისა და სოციალური სერვისების მომხმარებლებად. როგორც დემოკრატიული საზოგადოებების მოქალაქეებს, მათ იგივე მონაწილეობის უფლება აქვთ, არჩევნის სპექტრი, თავისუფლების ხარისხი, კონტროლი და თვითგამორკვევის უფლება ყოველდღიურობასა და ცხოვრებისეულ პროექტებში, რაც დანარჩენ მოქალაქეებს ისედაც თავისთავად გააჩნიათ. ეს მოთხოვნები საჭიროებს ინფრასტრუქტურული, ინსტიტუციური და დამოკიდებულებითი ბარიერების მოხსნას და უნივერსალური დიზაინის პრინციპების მიღებას. იმის მიხედვით, თუ რა შეზღუდული შესაძლებლობები აქვს ინდივიდს, თანაბარი შესაძლებლობების მისაღწევად შეიძლება საჭირო გახდეს დამხმარე სერვისები, როგორებიცაა დამხმარე ტექნოლოგიები, შემოსავლის

დანამატები და პერსონალური მომსახურება. საჭიროებების შეფასება და სერვისის მიწოდება უნდა აძლევდეს მომხმარებელს საშუალებას გააკონტროლოს მათი მომსახურება, რათა კონკურენტ სერვის-პროვაიდერებს შორის თავისუფალი არჩევნის გაკეთების საშუალება ჰქონდეს და საზოგადოებაში ღირსეულად ცხოვრების შესაძლებლობა. ფულადი დახმარება უპირატესად იქნა მიჩნეული, ვიდრე სერვისები, მომხმარებლის ცხოვრების ხარისხისა და ხარჯების ეფექტურობის თვალსაზრისით.

დამოუკიდებელი ცხოვრების მიდგომა, ტრადიციული ჯგუფური თვითდახმარების გაგებით, დაფუძნებულია ურთიერთდახმარებასა და ადგილობრივ დონეზე დაწყებულ ინიციატივებში – როლურ მოდელირებაზე. ამ უკანასკნელთ უწოდებენ დამოუკიდებელი ცხოვრების ცენტრებს - **Centers for Independent Living (CIL)**, რომლებსაც მართავენ და აკონტროლებენ შშმ პირები. მსგავსი ცენტრები თავდაპირველად ჩამოყალიბდა აშშ-ში და შემდეგ სხვა ქვეყნებში. აშშ-ში დღესდღეობითაც ფუნქციონირებს ეს ცენტრები და ეწევა შშმ პირთა აქტიურ ადვოკატობას. მაგალითად, თანასწორი (**peer**), მსგავს სიტუაციაში მყოფი პირი, შეიძლება არა შშმ პროფესიონალზე უფრო ეფექტური იყოს სიტუაციების ანალიზის, სხვის სიცოცხლეზე პასუხისმგებლობის აღებისა და მდგომარეობასთან გამკლავების სტრატეგიების შემუშავების კუთხით. მოძრაობის თანახმად, თანასწორების დახმარებით, ყოველ ჩვენგანს - ფართო სპექტრის შშმ პირების ჩათვლით - შეუძლია მეტი ინიციატივის გამოჩენა და საკუთარი ცხოვრების გაკონტროლება. მაგალითად, თანასწორთა მხარდაჭერა გამოიყენება დამოუკიდებელი ცხოვრების უნარების შემსწავლელ პროგრამებში, რომელშიც საკუთარ ოჯახებში ან ინსტიტუციებში მცხოვრები ადამიანები სწავლობენ ყოველდღიური ცხოვრების მართვას და ემზადებიან დამოუკიდებელი ცხოვრებისთვის. იმის მიხედვით, თუ რა მომსახურებები

არსებობს ადგილობრივ საზოგადოებაში, CIL-ს შეუძლია დაეხმაროს მიმართვით საცხოვრებლით უზრუნველყოფასა და ადაპტაციაზე, პერსონალურ მხარდაჭერაზე ან იურიდიულ დახმარებაზე. როგორც წესი, ცენტრები ადგილობრივ და რეგიონალურ მთავრობებთან ერთად მუშაობენ ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებისთვის, შეზღუდული შესაძლებლობების შესახებ ცნობიერების ამაღლებისთვისა და კანონმდებლობის ლობირებისთვის, რაც ხელს უწყობს თანაბარ შესაძლებლობებს და კრძალავს სეგრეგაციასა და დისკრიმინაციას.

როგორც თავად შშმ პირები აცხადებენ - “დამოუკიდებელი ცხოვრება იმას არ ნიშნავს, რომ ჩვენ თვითონ გვინდა ყველაფრის გაკეთება ან არავინ არ გვჭირდება და იზოლაციაში ცხოვრება მოგვწონს. დამოუკიდებელი ცხოვრება ნიშნავს, რომ ჩვენ მოვითხოვთ იმავე არჩევანსა და კონტროლს ჩვენს ყოველდღიურობაზე, რაც ჩვენს არა შშმ დებსა და ძმებს, მეზობლებს და მეგობრებს თავისთავად აქვთ. ჩვენ გვინდა ჩვენს ოჯახებში გავიზარდოთ, მეზობლად მდებარე სკოლაში ვიაროთ, ისეთ თანამდებობებზე ვიმუშაოთ, რომლებიც ჩვენს განათლებასა და ინტერესებს შეესაბამება, თვითონ ვმართოთ ჩვენი ოჯახები. ჩვენ სრულიად ჩვეულებრივი ადამიანები ვართ, იგივე მოთხოვნებით - რომ ვიყოთ ჩართულები, აღიარებულები და ვუყვარდეთ”.

### ნახევრად-დამოუკიდებელი ცხოვრება

დამოუკიდებელი ცხოვრების კონცეფცია მოიაზრებს ნახევრად-დამოუკიდებელ ცხოვრების პარადიგმასაც. ნახევრად-დამოუკიდებელი ცხოვრება ყურადღებას ამახვილებს იმ ინდივიდების დახმარებაზე, რომლებიც დამოუკიდებლად ცხოვრობენ ან თვითონ აქვთ დამოუკიდებლად ცხოვრების სურვილი. დახმარება მოიცავს სასიცოცხლო უნარების ყველა ასპექტს, რომლებიც დამოუკიდებელ ცხოვრებას სჭირდება.

მომსახურება ხორციელდება პიროვნების სახლში ან საზოგადოებაში. სერვისის მოდელი მოიცავს ერთ-ერთზე/ინდივიდუალურ დახმარებას და ჯგუფური სწავლის შესაძლებლობას, მონაწილის უნარებისა და სწავლების სტილის მიხედვით. სამუშაოს შესრულების დრო და ხანგრძლივობა განისაზღვრება საჭიროებისა და ხელმისაწვდომობის მიხედვით.

საქართველოში ნახევრად დამოუკიდებელი ცხოვრების მოდელს იყენებს სახელმწიფო სათემო პროგრამა შშმ პირებისთვის და არასამთვარობო ორგანიზაციების ინიციატივები მცირე საოჯახო სახლების ფარგლებში, რომლებშიც ინტელექტუალური შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები ცხოვრობენ. აღნიშნულ სახლებში შშმ პირთა უმრავლესობა თავად უვლის თავს, ყოველდღიურ აქტივობების ახორციელებს და საჭიროებს დამხმარეს გარკვეული საქმიანობის დროს.

დამოუკიდებელი ცხოვრებისთვის მომზადება, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, შშმ ახალგაზრდებისთვის. განვითარების ეტაპიდან გამომდინარე, ყველა ახალგაზრდისთვის ერთ-ერთი წამყვანი ამოცანაა ზრდასრულობისთვის მომზადება. ეს მთელი ცხოვრების განმავლობაში მიმდინარე პროცესია, თუმცა სხვადასხვა ასაკში განსხვავებული ასპექტებია აქცენტირებული. ახალგაზრდის მშობლები, ნათესავები, მასწავლებლები და სხვა ზრდასრული პირები მნიშვნელოვან როლს თამაშობენ პიროვნების დახმარებაში მზადების ამ პროცესში არაფორმალური და ფორმალური მოდელირებისა და სწავლების მეშვეობით.

## საკანონმდებლო და სოციალური კონტექსტი

### შეზღუდული შესაძლებლობის სოციალური მოდელის განვითარება

სოციალური მოდელი შეზღუდულ შესაძლებლობას ძლიერ მხარეებზე დაფუძნებული მიდგომით განსაზღვრავს. ამ შეზღუდულების ჩამოყალიბებისთვის უმნიშვნელოვანესია შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის „მთლიან“, ღირებულ პიროვნებად აღქმა და იმის ხაზგასმა, რომ იგი ნებისმიერი სხვა ადამიანის თანასწორია.

შეზღუდული შესაძლებლობის სოციალური მოდელის მიხედვით, ადამიანი შეზღუდულია არა მისი ფიზიკური და/ან ინტელექტუალური შესაძლებლობის, არამედ იმ სოციალური და ეკონომიკური გარიყულობის გამო, რომელთან გამკლავებაც მას საზოგადოებაში უწევს.

### სოციალური მოდელის ძლიერი მხარე

სოციალური მოდელის ძლიერი მხარეა ის, რომ მისი მიზანია, დაუბრუნოს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ადამიანებს ღირსება და უზრუნველყოს, რომ ისინი საზოგადოების ღირებულ წევრებად მიიღონ. *ამ მოდელის მიხედვით, „შეზღუდული შესაძლებლობის“ კონცეფცია საზოგადოების ხელშია.* სწორედ ეს უკანასკნელი უნდა შეიცვალოს, რათა შექმნას პირობები შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ადამიანების, როგორც თემისა და საზოგადოების ღირებული წევრების, ჩართულობისა.

### დამოუკიდებელი ცხოვრებისთვის საჭირო უნარები

დამოუკიდებელი ცხოვრების უნარები მოიცავს ინფორმაციას იმის შესახებ, თუ როგორ უნდა დაეუჭიროთ



მხარი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ადამიანს, რათა მან განვიითაროს უნარები, რომლებიც დამოუკიდებელი ცხოვრებისთვის სჭირდება და გამოიყენოს ეს ცოდნა პრაქტიკაში.

რაც უფრო მეტი ამოცანის შესრულება შეუძლია ადამიანს დამოუკიდებლად, მით მეტი კონტროლი აქვს მას საკუთარ ცხოვრებაზე. განვითარებაზე ორიენტირებული მუშაობის მიზანია, ვასწავლოთ ადამიანს ამოცანების თავისთავად ან შედარებით დამოუკიდებლად შესრულება, რათა მას მხარდაჭერა ნაკლები დონით ან სიხშირით დასჭირდეს.

### დამოუკიდებელი ცხოვრების უნარების განვითარება

რა სჭირდებათ ახალგაზრდებს, რათა ისწავლონ, თუ როგორ განახორციელონ ამოცანები? - კონკრეტული ამოცანის შესრულების დასასწავლად, ადამიანებს სჭირდებათ, შეიძინონ ცოდნა და უნარები და შემდეგ შეძლონ მისი შესაბამის კონტექსტში გამოყენება. ხშირად ისეთივე მნიშვნელოვანია ვისწავლოთ, თუ რა უნდა გავაკეთოთ ჩვენი გეგმის გარე ფაქტორებით შეცვლის გამო, როგორც ის, რომ ამოცანის შესრულების ნაბიჯები გავითავისოთ. მაგალითად, თუ პიროვნება სწავლობს, როგორ გამოიყენოს საჯარო ტრანსპორტი, მას დასჭირდება იმის ცოდნა, რა გააკეთოს, თუ რაღაცა დაგეგმილის მიხედვით არ განხორციელდება. ისინი შეიძლება სხვა ავტობუსსა ან მატარებელზე აღმოჩნდნენ ან შეფერხების გამო ჩვეული სატრანსპორტო მარშრუტი შიცვალოს.

ამ შემთხვევაში შემთხვევის მენეჯერმა ან ფასილიტატორმა მხარი უნდა დაუჭიროს თითოეულ პიროვნებას, დაისწავლოს იმ ამოცანების შესრულება, რომლებიც მას დამოუკიდებლობისკენ გზაზე წინ წასწევს. ამ ამოცანების შერჩევას განსაზღვრავს თითოეული ადამიანის კონკრეტული საჭიროებების შეფასება მხარდაჭერის

თვალსაზრისით და დამოუკიდებელი ცხოვრების მიზნები, რომლებიც მის ინდივიდუალურ გეგმაშია დაფიქსირებული. პროგრამაში უნდა იყოს გამოყოფილი თითოეული პროცენტისთვის განსხვავებული მიზნები და განვითარების საჭიროების მქონე სფეროები.

**სასწავლო მიზნები** - სასწავლო მიზნებს განსაზღვრავენ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირი და ფასილიტატორი. ამის გაკეთება მხარდაჭერის საჭიროების შეფასების მრავალი ინსტრუმენტით შეიძლება და ფასილიტატორს დაეხმარება იმის განსაზღვრაში, რა არის პროცენტის გრძელვადიანი მიზნები და ასევე, რა დონისა და სიხშირის მხარდაჭერა სჭირდება შშმ ახალგაზრდას კონკრეტული ამოცანების შესასრულებლად სახლსა და საზოგადოებრივ ცხოვრებაში მონაწილეობის მისაღებად.

ქვემოთ მოყვანილია დამოუკიდებელი ცხოვრების უნარებისა და ამოცანების მაგალითები, რომელთა დასწავლაც ახალგაზრდას დამოუკიდებელი ცხოვრების მომსახურების პროგრამის ფარგლებში მოუწევს:

- საკუთარი იდენტობის განსაზღვრა
- თვითმოვლისთვის საჭირო ფუნქციური უნარების განვითარება
- საშინაო საქმეების მართვა (საკვები პროდუქტების მოწესრიგება, საკვების დამზადება, სახლის დასუფთავება და სარეცხის დარეცხვა);
- საცხოვრებლის მოძებნა და შენარჩუნება;
- საყიდლებზე სიარული და ეფექტიან მომხმარებლად ქცევა;
- ჯანდაცვა (საკუთარი თავის მოვლა, ოჯახის დაგეგმვა, სამედიცინო დახმარება);
- ფინანსების მართვა, ბიუჯეტირება, გადასახადების გადახდა, დაზოგვა
- თავისუფალი დრო (რეკრეაციული და პროფესიული საქმიანობა);

- პირად საკითხებზე გადაწყვეტილებების მიღება (მაგალითად, პრობლემის გადაჭრის უნარები);
- კომუნიკაციის უნარები
- სექსუალური განვითარებისა და ოჯახის დაგეგმვის ალტერნატივების შესახებ ინფორმაციის ფლობა.
- სახლში უსაფრთხოების დასაცავად საჭირო უნარები
- მგზავრობასთან დაკავშირებული ტრენინგი
- იმ ცოდნისა და უნარების შეძენა, რომლებიც საჭიროა სოციალურ და საზოგადოებრივ ღონისძიებებში მონაწილეობის მისაღებად.
- სათემო სისტემებისა და მომსახურების გამოყენება.

### დამოუკიდებელი ცხოვრებისთვის საჭირო უნარების განვითარების ფაზები

კონკრეტული ამოცანის შესრულების დასწავლის პროცესში ადამიანები დასწავლის ოთხ ფაზას გადიან. იმისთვის, რომ ადამიანმა მიაღწიოს მიზანს და შეძლოს ნასწავლის შესაბამის კონტექსტზე მორგება, დასწავლის თითოეული ფაზისთვის უნდა შემუშავდეს სასწავლო ამოცანები. ეს მიზნის მისაღწევად დასწავლის პროცესს პიროვნებისთვის დამლევად ნაბიჯებად დაჰყოფს. თითოეულ ფაზაზე ცოდნის შეთვისებას ხელს უწყობს სწავლების კონკრეტული სტრატეგიები, როგორც ეს ქვემოთაა მოცემული.

#### 1-ლი ფაზა: დაუფლება

დაუფლების ფაზაში ადამიანი ზუსტად ეუფლება ცოდნასა და უნარებს მინიმალური მხარდაჭერით. ამ დროს სწავლება გულისხმობს შემდეგს:

- პიროვნების მხარდაჭერა, მიიღოს ძირითადი ცოდნა და უნარები დასასწავლი მასალის შედარებით მცირე ნაწილებად დაყოფით, რათა მისი დაუფლება შეძლოს.
- დემონსტრირება იმისა, თუ როგორ უნდა მოხდეს

ცოდნის რეალობაში გამოყენება თანმიმდევრული ნაბიჯების სახით, რომლებსაც პიროვნება იმეორებს.

- საჭიროების შემთხვევაში, დამატებითი მხარდაჭერის უზრუნველყოფა, მაგალითად, სურათების ან ვიზუალური მასალის გამოყენებით.
- შეთვისებულის პრაქტიკული გამოყენებისთვის მრავალი შესაძლებლობის მიცემა.
- უკუკავშირის მიწოდება

### მე-2 ფაზა: სრულყოფილად ცოდნის ფაზა

ამ ფაზაში ინდივიდს დასწავლილი აქვს კონკრეტული უნარები. იგი უკეთ და უფრო სწრაფად ახდენს ნასწავლის პრაქტიკაში გამოყენებასა და ამოცანის შესრულებისას დაუფლებული უნარების დემონსტრირებას სულ უფრო მეტი სიზუსტით ახერხებს. ამ ფაზაში სწავლება გულისხმობს იმას, რომ ხშირად მივცეთ ადამიანს შესაძლებლობა პრაქტიკულად განახორციელოს ამოცანა. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, იმ ამოცანების ცოდნა, რომლებიც დროის გარკვეულ მონაკვეთში უნდა შესრულდეს. მაგალითად, ფულის გამოტანა ბანკომატიდან და გზის გადაკვეთა შესაბამისი საგზაო ნიშნის ანთების შემდეგ.

### მე-3 ფაზა: შენარჩუნება

შენარჩუნების ფაზაში ინდივიდი გარკვეული პერიოდულობით იხსენებს ცოდნასა და უნარებს და მათ დემონსტრირებას ზუსტად და სრულყოფილად ახერხებს. ამ ფაზაში სწავლება გულისხმობს ცოდნისა და უნარების გამეორებას და მათ პრაქტიკაში გავარჯიშებას დაგეგმილი ინტერვალებით. პირველად გამეორება ხშირად უნდა ხდებოდეს, მაგალითად, პიროვნების უნარი, შეასრულოს კონკრეტული ამოცანა, კვირაში ერთხელ უნდა მოწმდებოდეს. დროთა განმავლობაში გამეორება ნაკლები სიხშირით მოხდება, ჯერ ორ კვირაში ერთხელ, შემდეგ თვეში ერთხელ და ა.შ. ეს

დროითი ინტერვალები განსხვავებული იქნება უნარზე, ადამიანის მიერ მისი გამოყენების სიხშირესა და არასწორად შესრულების შემთხვევაში მის წინაშე არსებულ რისკზე დამოკიდებულებით.

#### მე-4 ფაზა: განზოგადება

განზოგადების ფაზაში ადამიანი ცოდნასა და უნარებს სხვადასხვა კონტექსტს განსხვავებულად არგებს. ამ ფაზაში უნარების სწავლება მოიცავს შესაძლებლობების შექმნას პიროვნებისთვის, უნარი ან ამოცანა სხვადასხვა კონტექსტს განსხვავებულად მიუსადაგოს. მაგალითად, ადამიანს შეეძლება, ახალი უნარი სხვა დამხმარე პირთან, უცხო მაღაზიაში საყიდლებზე წასვლისას ან განსხვავებული გაჩერებიდან ავტობუსზე ასვლისას გამოიყენოს.

#### მეგობრებთან ურთიერთობა

ახალგაზრდას, რომელთანაც თქვენ მუშაობთ, რეგულარულად უნდა მიეცეს შესაძლებლობა, გაატაროს დრო მის მიერ არჩეულ ადამიანებთან. მნიშვნელოვანია, რომ პიროვნებამ გაიგოს მეგობრის ცნება, მაგალითად, მეგობრობის შემდეგი ასპექტები:

- თვისებები, რომლებიც განასხვავებენ მეგობრებს ადამიანთა სხვა ჯგუფებისგან, როგორებიც არიან: მეზობლები, მზრუნველები და სხვა ადამიანები, რომელთაც ვხვდებით.
- მეგობრობა ორმხრივია და მოიცავს რაღაცის გაცემასა და მიღებას.
- მეგობრული ურთიერთობა თანასწორობას ეფუძნება. ეს მნიშვნელოვანია ურთიერთობაში თითოეული ადამიანის უსაფრთხოებისთვის. ყოველ პიროვნებას აქვს თანაბარი ძალაუფლება და ასევე, უფლება, თქვას, რასაც ფიქრობს.

- მეგობრობა გულისხმობს ღია და გულახდილ კომუნიკაციას.
- მეგობრები აფასებენ ერთმანეთს; ისინი გვირჩევენ და მოვწონვართ იმის გამო, თუ როგორები ვართ ჩვენ.
- მეგობრებს საერთო ინტერესები აქვთ.

მეგობრობა ძალიან მნიშვნელოვანია შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ადამიანებისთვის და ამას ისინი უფრო კარგად იაზრებენ, ვინც მხარს უჭერენ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ადამიანს. მეგობრობა უმნიშვნელოვანესია იმის გამო, რომ შემდეგის შესაძლებლობას იძლევა:

- სიახლოვის გრძნობა, მეგობრული ურთიერთობა და სიყვარული
- გაზიარებული გამოცდილება
- საშუალება, მოიპოვო იდენტობა, როგორც ინდივიდმა ოჯახს გარეთ
- შესაძლებლობა, იგრძნო თავი დაფასებულად
- შესაძლებლობა, გქონდეს გამბედაობა, წახვიდე რისკზე
- ემოციური მხარდაჭერა
- ადამიანის მხარდაჭერა, შეეეწყოს გარემოსა და მიმდინარე მოვლენებს
- მარტოობის, იზოლაციისა და შფოთვის პრევენცია
- მხარდაჭერა კრიზისის დროს
- ფიზიკური და ფსიქოლოგიური ჯანმრთელობა

## პრობლემების გადაჭრის უნარი

პრობლემების გადაჭრა ყველა სოციალური ურთიერთობის მნიშვნელოვანი ნაწილია. აქ შემდეგი ასპექტებია გასათვალისწინებელი:

- შშმ პირს, განსაკუთრებით ახალგაზრდას, შეიძლება უჭირდეს საკუთარი გრძნობების ამოცნობა და სახელის

დარქმევა.

- ზოგჯერ ადამიანებს არ მოსწონთ უარყოფითი გრძნობების აღიარება/გაზიარება.
- შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბევრი ადამიანი, განსაკუთრებით მოზარდი და ახალგაზრდა, ძალიან არის დამოკიდებული სხვა ადამიანებზე. ზოგჯერ ეს უბიძგებს მათ, გასცენ ისეთი პასუხები, რომლებიც მათი აზრით, სხვებს ასიამოვნებს (ან არ გამოიწვევს პრობლემებს), იმის ნაცვლად, რომ იყვნენ გულახდილნი.
- შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ზოგი პირი, განსაკუთრებით ახალგაზრდა, მიჩვეულია, რომ მათ ნაცვლად სხვა, ხშირ შემთხვევაში მშობელი, საუბრობს და მათ არ ეძლევათ შესაძლებლობა, ისაუბრონ საკუთარ გრძნობებზე, ოცნებებსა და იმაზე, თუ რა უნდათ ცხოვრებაში.
- თქვენ შეგიძლიათ მხარი დაუჭიროთ ახალგაზრდას პრობლემების გადაჭრაში შემდეგი ქმედებებით:
- იმის აღიარება, რომ უარყოფითი გრძნობების განცდა მისაღებია. თუ ადამიანის სხეულის ენით ხვდებით მის ემოციას, შეგიძლიათ უთხრათ, მაგალითად: „ამან, ალბათ, გაგბრაზათ“ ან „ალბათ, იმედგაცრუებული ხართ“.
- იმის განმტკიცება, რომ არაფერია იმდენად ცუდი, რომ არ შეიძლებოდეს ვინმესთვის გაზიარება.
- იმის აღიარება, რომ შეცდომების დაშვება მისაღებია. როგორც შემთხვევის მენეჯერმა, ფასილიტატორმა, მნიშვნელოვანია, თავად მისცეთ პიროვნებას მაგალითი და აღიაროთ, როცა შეცდომას დაუშვებთ; ასევე, გაანდოთ თქვენი აზრები და სტრატეგიები მომავალში მდგომარეობის გამოსასწორებლად.

## ინტიმური ურთიერთობები

ერთ-ერთი სფერო, რომელმაც, შეიძლება, კონფლიქტი განაპირობოს ოჯახებთან მუშაობის დროს, არის შშმ ახალგაზრდის სურვილი, ჰქონდეს ინტიმური ურთიერთობა. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ადამიანებს ისეთივე მრავალფეროვანი სქესობრივი საჭიროებები და სურვილები აქვთ, როგორც ყველა სხვა ადამიანს. თუმცა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს ხშირად შეზღუდული აქვთ შესაძლებლობა, ჰქონდეთ სქესობრივი ხასიათის ურთიერთობები რიგი მიზეზების გამო, რომელთა შორისაა პრივატულობის არქონა, სხვა ადამიანების შეხედულებები მსგავსი ურთიერთობისთვის მათი მზაობის შესახებ და სხვებზე დამოკიდებულება ყოველდღიურ ცხოვრებაში.

მამასადამე, მნიშვნელოვანია, რომ ადამიანებს ჰქონდეთ შესაძლებლობა, გაიგონ მეტი ინტიმური ურთიერთობების შესახებ, რადგან მათ შეიძლება მხარდაჭერა დასჭირდეთ იმაში, რომ გაითავისონ ურთიერთობათა სირთულე და ინტიმურ ურთიერთობებთან დაკავშირებული უფლებები და პასუხისმგებლობები.

### დამოუკიდებელი ცხოვრების ხელშეწყობის ინიციატივა, როგორც მისი ერთ-ერთი მოდელი

დამოუკიდებელი ცხოვრების ხელშეწყობაზე ორიენტირებული მომსახურების ინიციატივა ეხმარება შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ადამიანებს, რომელთაც მცირე ან საშუალო დონის მხარდაჭერა ესაჭიროებათ. მოდელის მიზანია, დამოუკიდებელი ცხოვრების უნარების სწავლების გზით, პიროვნება საკუთარ ოჯახზე ნაკლებად დამოკიდებული გახადოს. ამავდროულად, იგი შეიძლება ოჯახში ცხოვრებას განაგრძობდეს ან მის თემში არსებულ საცხოვრებელში გადავიდეს.



ამ ინიციატივის ძირითადი მიზანია, დაეხმაროს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ადამიანებს, სხვებზე სრულად დამოკიდებულნი აღარ იყვნენ და საკუთარ თემში ფორმალური და არაფორმალური ქსელის მხარდაჭერით მეტად დამოუკიდებელი ცხოვრება წარმართონ. ეს პროგრამა მიმართულია შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ადამიანების გასაძლიერებლად, რათა ღირსეული ცხოვრებით იცხოვრონ თემში და იქვე იმ დონის მხარდაჭერა მიიღონ, რაც საშუალებას მისცემთ, სრულად გამოავლინონ საკუთარი პოტენციალი. პროგრამაში მხარდამჭერი პერსონალი პიროვნებაზე ორიენტირებული დაგეგმვის მეთოდს იყენებს, რათა დაეხმაროს ინდივიდსა და ოჯახს წინასწარ განსაზღვრონ ყოველდღიური ცხოვრება, გააძლიერონ საკუთარი მხარდაჭერის ქსელი და ჩამოაყალიბონ მნიშვნელოვანი და ღირებული კავშირები საკუთარ თემში.

### პიროვნებაზე ორიენტირებული დაგეგმვა

პიროვნებაზე ორიენტირებული დაგეგმვის დროს ხდება იმ სასწავლო თემების პრიორიტეტიზაცია, რომლებიც ყველაზე მნიშვნელოვანია ინდივიდისა და მისი კეთილდღეობისთვის. სასწავლო თემები, რომლებიც ყველაზე მნიშვნელოვანია პიროვნებისთვის, მოიცავს მის ოცნებებსა და მისწრაფებებს. ის თემები კი, რომლებიც უმნიშვნელოვანესია პიროვნების კეთილდღეობისთვის, მოიცავს იმ უნარებსა და ამოცანებს, რომლებიც მისი უსაფრთხოების, ჯანმრთელობისთვის და ინკლუზიისთვის არის საჭირო.

პიროვნებაზე ორიენტირებული დაგეგმვა გულისხმობს, მოვუსმინოთ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ადამიანს და გავითავისოთ მისი სურვილი, იყოს დაფასებული, საზოგადოებაში საკუთარი წვლილი შეიტანოს და ამ საზოგადოებასთან მიკუთვნებულობის გრძნობა ჰქონდეს.

ჩვეულებრივ, პიროვნებაზე ორიენტირებულ დაგეგმვას შემდეგი ელემენტები ახასიათებს:

- ყურადღების ცენტრშია პიროვნება
- უნდა მოვუსმინოთ პიროვნებას
- უნდა გავითვალისწინოთ პიროვნების ინდივიდუალური სურვილები და შეხედულებები.
- აქცენტი კეთდება პიროვნების ძლიერ მხარეებზე
- უნდა ვიმუშაოთ სხვა რესურსების მოძიებასა და გამოყენებაზეც, გარდა იმ მომსახურებისა, რომლის შემოთავაზებაც ამ ეტაპზე კონკრეტული მომსახურების მიმწოდებელს შეუძლია.

პიროვნებაზე ორიენტირებული დაგეგმვა ახალი მიდგომა არ არის; თუმცა ამგვარად მუშაობისას გამოწვევა იმაში მდგომარეობს, რომ ვიპოვოთ გზები, რომელთა მეშვეობითაც შესაძლებელი იქნებოდა მისი პრაქტიკაში დანერგვა და ასევე, ორგანიზაციის მართვის, ამოცანების დასახვისა და განხორციელების ყველა ასპექტით გათვალისწინება.

დამოუკიდებელი ცხოვრების მომსახურების ინიციატივა პიროვნებაზე ორიენტირებულ მიდგომებსა და ინსტრუმენტებს იყენებს, რათა დაეხმაროს ადამიანებს, მიაღწიონ საკუთარ მიზნებსა და დამოუკიდებლობის უფრო მაღალ დონეს. მუშაობის პროცესში ყურადღება შემდეგ ასპექტებზე მახვილდება:

- პიროვნებაზე ორიენტირებული პროფესიული მსჯელობა და დაგეგმვა;
- პიროვნებისა და მისი ოჯახის ჩართვა;
- პიროვნების შესახებ ინფორმაციის შეგროვების/შეფასების პროცესი.

თომპსონი, კილბეინი და სანდერსონი (2008 წელი) (Thompson, Kilbane, & Sanderson) პიროვნებაზე ორიენტირებულ პროფესიულ მსჯელობას განსაზღვრავენ, როგორც აქტიური მოსმენის პროცესს, როდესაც მთავარი ყურადღება პიროვნებაზე, მის ოჯახსა და მეგობრებზე მახვილდება და

რომლის მიზანიც მათი ამჟამინდელი და სამომავლო გეგმების გაგება, მათ განხორციელებაზე მუშაობაა. პიროვნება ყოველთვის გადაწყვეტილების მიღების პროცესის ცენტრშია. ინდივიდი, მისი ოჯახი, მზრუნველები და მეგობრები დაგეგმვის პროცესში პარტნიორებს წარმოადგენენ. ისინი ერთად მუშაობენ და ამ პროცესში ძირითადი აქცენტი პიროვნების შესაძლებლობებსა და სათემო მხარდაჭერის რესურსების გამოვლენაზე კეთდება. დაგეგმვისას მნიშვნელოვანია იმის განსაზღვრა, თუ რა არის შესაძლებელი და არა მართო იმისა, რა არის ხელმისაწვდომი. დაგეგმვა მოქნილი, დინამიური პროცესია და თითოეული პიროვნების ამჟამინდელ მდგომარეობას ასახავს.

ქვემოთ მოცემულია პიროვნებაზე ორიენტირებული დაგეგმვის ხუთი პრინციპი:

1. რწმენა იმისა, რომ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ადამიანებს იგივე უფლებები და შესაძლებლობები უნდა ჰქონდეთ, როგორც საზოგადოების ყველა სხვა წევრს. ამ პრინციპს მხარს უჭერს გაერთიანებული ერების შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენცია
2. მკაფიოდ განსაზღვრული ღირებულებების ბაზა, რომელიც ეყრდნობა უნივერსალურ და არა მხოლოდ კლინიკურ საჭიროებებს; მაგალითად, მოიცავს საცხოვრისს, ურთიერთობებსა და პიროვნებისთვის მნიშვნელოვან საქმიანობას.
3. ყურადღების გამახვილება მუშაობის პროცესზე. პიროვნებაზე ორიენტირებული დაგეგმვის მეთოდის გამოყენებისას, გაცნობიერებული უნდა გვქონდეს, რომ მნიშვნელოვანია, მუშაობის პროცესთან დაკავშირებულ ისეთ ასპექტებზე ყურადღების გამახვილება, როგორებიცაა, მაგალითად, ის, თუ ვინ არის ჩართული დაგეგმვის მიზნით გამართულ შეხვედრებში, რა კითხვები ისმის და როგორ ხდება დისკუსიის მართვა და

ჩანაწერების გაკეთება.

4. შესაძლო მომავალი ცვლილებების გათვალისწინება. პიროვნებაზე ორიენტირებული დაგეგმვის მეთოდის გამოყენება გულისხმობს, რომ ადამიანებს აქვთ მომავალი, მათი მიზნები შეიცვლება და გაიზრდება, მხარდაჭერის შეთანხმებული გეგმა კი მუდმივი არ არის.
5. პიროვნებაზე ორიენტირებული დაგეგმვა გვიბიძგებს მისი საჭიროებების დასაკმაყოფილებლად ახალი და განსხვავებული მიდგომები მოვიძიოთ.

*პიროვნებაზე ორიენტირებული მიდგომა ხელს უწყობს ცვლილების შეტანას იმ კუთხით, რომ სხვებმა კი არ შეადგინონ გეგმები შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პიროვნების სახელით, არამედ თავად ამ ადამიანმა, საკუთარი ოჯახისა და მხარდაჭერის ქსელის დახმარებით, შექმნას საკუთარი ინდივიდუალური გეგმა და თავისი ცხოვრების სადავეები ეჭიროს ხელთ.*

დამოუკიდებელი ცხოვრების მომსახურების პროგრამის კოორდინატორთან შეხვედრა - კარგი იქნება, თუ პროგრამის კოორდინატორი პიროვნებასა და მის ოჯახს/მზრუნველს მანამ შეხვდება, სანამ მათთვის ფასილიტატორის შერჩევა მოხდება. ამ შეხვედრისას პროგრამის კოორდინატორი „ყინულის გაღობის“ სტრატეგიით იწყებს და შეუძლია, უპასუხოს დამატებით კითხვებს, რომლებიც პიროვნების ან მისი ოჯახისთვის ცვლილების მომავალ პროცესთან ასოცირდება.

პატივისცემა - ფასილიტატორსა და პიროვნებას შორის ურთიერთობა ურთიერთპატივისცემას ეფუძნება. კარგია, თუ თავიდანვე დადებით პირობას, რომ ერთმანეთთან გულახდილნი იქნებით იმის შესახებ, რას გრძნობთ ამა თუ იმ საკითხთან დაკავშირებით. ხელი შეუწყვეთ პიროვნებასა და მის ოჯახს, რომ თქვენთან გამოხატონ საკუთარი შემფოთება, წუხილი, როგორც კი ისინი გაუჩნდებათ. აუხსენით ადამიანს,

როგორია გასაჩივრების პროცედურა პროგრამის კოორდინატორთან, თუ მას არ მოსწონს, როგორ მიმდინარეობს მუშაობა.

**პიროვნების შესახებ ინფორმაციის შეგროვების/შეფასების პროცესი** - პიროვნების შესახებ ინფორმაციის შეგროვება/შეფასება გულისხმობს პროცესს, რომლის დროსაც ადამიანები საუბრობენ იმაზე, თუ ვინ და სად არიან ამჟამად საკუთარ ცხოვრებაში. დამოუკიდებელი ცხოვრების მომსახურების პროგრამაში მოვლენათა ეს განვითარება, როგორც წესი, რამდენიმე კვირა გრძელდება და ამავდროულად, ხდება ინდივიდის, მისი ოჯახისა და მზრუნველების გაცნობა. ეს საინტერესო პროცესია, რომელიც საშუალებას გაძლევთ, ბევრი რამ შეიტყოთ პიროვნების, მისი ცხოვრებისა და ოჯახის შესახებ. ეს შეიძლება პიროვნებისთვის საკუთარი თავის აღმოჩენის ტოლფასიც იყოს. ხშირად საკუთარი თავის შესახებ ჩვენს თავზევე საუბრით ვსწავლობთ. თუმცა უნდა გვახსოვდეს, რომ არ ვაიძულებთ პიროვნებას ყველაფერი გაუზიაროს ფასილიტატორს. მან მხოლოდ იმ საკითხებზე უნდა ისაუბროს, რომლებზე საუბარიც მისთვის კომფორტულია. ინდივიდს ნებისმიერ პროცესში მაქსიმალური კონტროლი უნდა ჰქონდეს. მნიშვნელოვანია, დავიმახსოვროთ, რომ ყველა ადამიანი განსხვავებულია და სხვადასხვა უნარები და ძლიერი მხარეები აქვს.

**ოჯახი და მეგობრები** - ჩამოთვალეთ ყველა ადამიანი, რომლებიც ახლოს არიან პიროვნებასთან და რომელთა გარეშე ცხოვრებაც მას ვერ წარმოუდგენია. კარგი აზრია ინდივიდთან ერთად მისი ოჯახის ფოტოალბომის დათვალიერება – რა თქმა უნდა, ოჯახის თანხმობით! ეს ადამიანთა უმეტესობას მოსწონს და საუკეთესო გზაა, გავიგოთ მეტი პიროვნებისა და მისი ახლობელი ადამიანების შესახებ. ამ დროს შეიძლება ძალიან დაგეხმაროთ ოჯახთან გასაუბრებაც.

**ფართო თემი** - შეადგინეთ ადამიანების სია სოციალური ჯგუფებიდან, ორგანიზაციებიდან, სამსახურიდან,

ახალგაზრდული კავშირებიდან და რელიგიური დაწესებულებებიდან. ეს სია, ასევე, უნდა მოიცავდეს იმ ადამიანებსაც, რომლებიც პიროვნებას მომსახურებას ან მხარდაჭერას აწვდიან, მაგალითად, სამედიცინო და ჯანდაცვის სფეროს პროფესიონალები ან მაგალითად, ადგილობრივი მაღაზიის გამყიდველი, რომელიც მას ხშირად ხვდება.

**მნიშვნელოვანი მოვლენები** - რა მნიშვნელოვანი მხიარული ან სევდიანი მოვლენები მომხდარა ადამიანის ცხოვრებაში? მისი ისტორიის აგებისთვის შეგიძლიათ დახატოთ ცხოვრების მოვლენათა მარტივი ქრონოლოგიური გრაფიკი. არ ილელვოთ იმაზე, რომ 100%-ით ზუსტად უნდა დააფიქსიროთ თითოეული შემთხვევის თარიღი და დრო. მას შემდეგ, რაც ცხოვრების გზის ან ქრონოლოგიურ გრაფიკს ააგებთ, შეიძლება, კარგი აზრი იყოს ძირითადი ინფორმაციის სიზუსტის ახლო ოჯახის წევრთან ან მხარდამჭერთან გადამოწმება.

**რა მოსწონს და რა არ მოსწონს პიროვნებას** - რისი ვაკეთება მოსწონს ადამიანს? რა აინტერესებს? როგორი საქმელი, რომელი სატელევიზიო გადაცემა, ტანსაცმელი, ფერები, მუსიკა, ფილმები, სპორტია სასურველი მისთვის? ასევე, განიხილეთ ის, თუ რა ხდის მას ბედნიერს ან რა გვრის მას სევდას.

**ძლიერი მხარეები და უნარები** - პიროვნების ძლიერი მხარეები და უნარები შეიძლება მოიცავდეს ყველაფერს, დაწყებული „კომპიუტერის კარგად ცოდნიდან“ და „კარგი მზარეულობიდან“, დამთავრებული „საყვარელი, კეთილი ღიმილის ქონით“ და იმით, რომ „სხვებს განსაკუთრებულად აგრძნობინებს თავს“. რომელია იმ ადამიანის ძლიერი მხარეები და უნარები, რომელთანაც თქვენ მუშაობთ?

**პიროვნული ხედვა** - უდიდესი მნიშვნელობა აქვს იმას, რომ ინდივიდს შეეძლოს საკუთარი ხედვის გამოხატვა ფასილიტატორთან მისი პიროვნებისა და ამჟამინდელი მდგომარეობის შესახებ ინფორმაციის შეგროვების პროცესში.

პიროვნების მოსაზრებები შეიძლება განსხვავდებოდეს ოჯახის წევრებისა და სხვების მოსაზრებებისგან, რომლებიც ზოგჯერ ამ ინდივიდის ნაცვლად საუბრობენ.

თუ პიროვნებას არ შეუძლია საკუთარი აზრის ვერბალურად გამოთქმა, იფიქრეთ სხვა მეთოდების გამოყენებაზე ამ ინფორმაციის მისაღებად. მაგალითად, ადგილობრივი სავაჭრო ცენტრის ერთობლივად მონახულებამ ბევრი რამ შეიძლება გითხრათ ადამიანის შესახებ, იქიდან გამომდინარე, თუ რომელ მაღაზიებში შესვლა მოსწონს მას და რა ნივთები აინტერესებს.

ზოგ პიროვნებას შეიძლება მისცეთ ფოტოაპარატი, თუ მას სურს, გადაუღოს სურათები თავის საყვარელ ადამიანებს, საკუთრებაში არსებულ ნივთებს, შინაურ ცხოველებს, საქმიანობას და ა.შ. ასევე, თუ ვიდეო აპარატი ხელმისაწვდომია, შეგიძლიათ, ვიდეო გადაიღოთ. შეიძლება წიგნების ან ჟურნალების დათვალიერებაც დაგეხმაროთ იმ სურათების საპოვნელად, რომლებიც პიროვნებას მოსწონს.

საგულისხმოა გახსოვდეთ, რომ ეს მნიშვნელოვანი სამუშაოა. ამ ინფორმაციის გარკვეული ნაწილის პიროვნების ჟურნალში ჩაწერით შექმნით წლების განმავლობაში უნიკალურ პირად პორტფოლიოს, რომელიც შეიძლება გამოადგეს მას, როცა შემდგომში საკუთარი ცხოვრების სტილის შესახებ გადაწყვეტილება ექნება მისაღები.

**ოჯახებთან მუშაობა** - დამოუკიდებელი ცხოვრების მომსახურების ინიციატივა შეიძლება რიგ გამოწვევებთან და ამავდროულად, შესაძლებლობებთან იყოს დაკავშირებული, როცა ინდივიდებთან თემში ვმუშაობთ. ეს თავი ყურადღებას ამახვილებს იმ ძირითად საკითხებზე, რომლებიც შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებთან, მათ ოჯახებსა და მზრუნველებთან მუშაობისას უნდა გაითვალისწინოთ:

- ეთიკა და საზღვრები
- ძირითადი პროფესიული ღირებულებები – კეთილსინდისიერება, ანგარიშვალდებულება და

### პროფესიონალური პრაქტიკა

- საბაზისო წესების დათქმა
- სირთულეები, რომელთა წინაშეც დგანან ოჯახები მათი წევრის უფრო დამოუკიდებელი ცხოვრების სტილზე გადასვლის პროცესში
- კულტურული ფაქტორები

სირთულეები, რომელთა წინაშეც დგანან ოჯახები მათი წევრის უფრო დამოუკიდებელ ცხოვრების სტილზე გადასვლის პროცესში - შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ოჯახების ნაწილი ხშირად ამხვილებს ყურადღებას კონკრეტულ სირთულეებზე, რომელთა წინაშეც ისინი დგანან და არა იმ დადებით მხარეებსა და სიხარულზე, რომელიც მსგავს გამოცდილებას მოაქვს. ამან შეიძლება განაპირობოს, ზოგადად, თემის სხვა წევრების მიერ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის ოჯახის წევრად ყოლის გამოცდილების უარყოფითად აღქმა, რაც სინამდვილისგან შორსაა. მზრუნველის როლთან დაკავშირებული სტრესი, რა თქმა უნდა, შეიძლება პრაქტიკული და ფსიქოლოგიური კუთხით აისახოს ოჯახის წევრებზე, მაგრამ განსხვავდება ამ გავლენის ბუნება და ხარისხი სხვადასხვა ოჯახში. მნიშვნელოვანია, გავიგოთ, როგორი გავლენა აქვს ყოველი ოჯახის გამოცდილებაზე პიროვნებათაშორის ურთიერთობებს, მხარდაჭერის დონეს, ფინანსურ საკითხებსა და პიროვნულ ისტორიებს. აუცილებელია აღვნიშნოთ, რომ ოჯახური ცხოვრება, მზრუნველობის გაწევა, მომსახურების მიწოდება და პიროვნების შეზღუდული შესაძლებლობა, ასევე, მუდამ იცვლება.

მშობლების მიერ გამოთქმული წუხილი საკმაოდ ფართო სპექტრს მოიცავს, როგორცაა მაგალითად, მომსახურების ნაკლებობა მათი შვილებისთვის გარდატეხისა და ზრდასრულ ასაკში, იმის შესაძლებლობა, რომ მათი შვილი საზოგადოებისგან გაირიყოს და ისიც, რომ როცა მშობლები ახლოს აღარ იქნებიან, მათი შვილების ცხოვრების დაგეგმვა არ



მოხდება. გამოკითხვაში მონაწილე მშობლები ითხოვდნენ მომსახურების გაფართოებას, რათა მათი შვილი არ ყოფილიყო მათზე დამოკიდებული მაშინ, როცა თავად მშობლები უკვე ხანდაზმულ ასაკს მიაღწევდნენ. მშობლებმა, ასევე, შეიძლება დააფიქსირონ, რომ სურთ, თანასწორი პარტნიორები იყვნენ მომსახურების მიწოდების პროცესში და რომ მოხდეს მათი გაძლიერება, რათა შეძლონ, მონაწილეობა მიიღონ იმ გადაწყვეტილებებში, რომლებიც აისახება მათზე და მათ შვილზე.

მხარდაჭერა მშობლებისთვის - რადგან მშობლებმაც უნდა გაიარონ ის პროცესი, რომლის დროსაც მათი შვილი უფრო დამოუკიდებელი ხდება, მნიშვნელოვანია, გავითვალისწინოთ მათი საჭიროება, მათაც ჰქონდეთ მხარდაჭერა და უზრუნველყოთ ამისი დაკმაყოფილება. შერჩეული გარემო შეიძლება იყო ფორმალური, არაფორმალური ან ორივე ტიპის.

პროგრამაში ჩართული ინდივიდებისა და ოჯახების ერთმანეთთან დაკავშირება -თანატოლთა მხარდაჭერა ყველასთვის მნიშვნელოვანია ცხოვრების მრავალ ეტაპზე; დამოუკიდებელი ცხოვრების მომსახურების ინიციატივაში ჩართული ადამიანები და ოჯახები არ წარმოადგენენ ამ მხრივ გამონაკლისს. ყველა ჩართული პირისთვის შეიძლება ძალიან დამხმარე და პროდუქტიული იყოს ერთმანეთთან დაკავშირება, შეკრება, ახალი მეგობრების გაჩენა და გამოცდილების, ინფორმაციისა და აზრების გაცვლა

## გამოყენებული ლიტერატურა:

- Bruijn, P., Regeer B., Cornielje, H., and et.al. *Count me in: Include people with disabilities in development projects*
- Creating an Inclusive Environment: A Handbook for the Inclusion of People with Disabilities  
in National and Community Service Programs (2004)
- Mannix, D. (2009). *Life Skills Activities for Secondary Students with Special Needs*. Wiley Imprint
- OECD Insights: Human Capital. What is social capital?
- Rimmerman, A. (2013). *Social Inclusion of People with Disabilities: National and International Perspectives*. Cambridge University Press
- [www.ndmig.com](http://www.ndmig.com) Communicating Effectively With People Who Have A Disability
- <http://www.ilsa.net.au> Independent Living Skill Initiative